

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა



**ECONOMICS and BUSINESS**  
**ЭКОНОМИКА и БИЗНЕС**

მარტი-აპრილი

2011

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთა-  
შორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

**International refereed and reviewed scientific and practical journal of  
the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University**

**Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса Тбилисского  
государственного университета  
имени Ив. Джавахишвили**



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ  
Published since January, 2008 once in two month  
**Выходит с Января 2008 года раз в два месяца**

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
ოსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ., ტელ. 30-36-68, 899-10-38-16  
e-mail: [ebf.journal@tsu.ge](mailto:ebf.journal@tsu.ge)

## სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე,  
ლეო ჩიკავა.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: იური ანანიშვილი,  
რამაზ აბესაძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე,  
ეკა ლეკაშვილი, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა  
მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, ნუგზარ პაიჩაძე, მურმან ტურავა, მირიან ტუქაშვილი, ეთერ  
ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხადური, თემურ შენგელია,  
ემზარ ჯგერენაია.

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of  
Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze,  
Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili,  
Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mekvabiishvili,  
Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Murman Turava, Mirian Tukhashvili, Eter  
Kharashvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Temur Shengelia,  
Emzar Jgerenaia.**

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор доктор экономических наук,  
профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимир  
Папавა, Автандил Силагадзе, Лео Чикава.**

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананишвили,  
Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Нугзар Тодуа, Ираклий  
Ковзанадзе, Ека Лекашвили, Муртаз Маградзе, Майя Маргвелаშვილი, Кетеван  
Маршава, Элгуджа Мекვაбишвили, Якоб Месхия, Нугзар Пайчадзе, Мурман  
Турава, Мириан Тухашвили, Етер Хараишвили, Элене Харабадзе, Роман  
Харбедия, Нодар Хадური, Темур Шенгелия, Эмзар Джгеренаია.**

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, პარადლ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

**FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University’s Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

**ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:**

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, სააღდგომო ეპისტოლე ..... 10

**ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ელგუჯა მამუბაბიშვილი. კარლ მარქსი და ჰაიმან მინსკი .....19  
ინეზა ბაზნიძე. საქართველოს საერთაშორისო საგანმანათლებლო კავშირები – ეკონომიკაში ცოდნის სამკუთხედის მოდელების ფორმირების წინაპირობა. .... 31  
ენვერ ლაბვილაძე. ინფორმატიკის სწავლების კონცეპტუალური საკითხები ..... 41  
არჩილ იაკობაშვილი. ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკური ასპექტები სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში..... 59  
მერაბ ხმალაძე. საქართველოში დემოგრაფიის და დემოგრაფიული სტატისტიკის განვითარების ისტორიიდან ..... 73

**მიკრო-მაკროეკონომიკა**

ნოღარ ხაღური. საინვესტიციო გარემოს ფორმირების მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური ფაქტორები..... 79  
ლევით ვაჟა, ნინო შარქაშვილი. საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების თავისებურებები და განვითარების ტენდენციები..... 89  
ეთერ ხარაიშვილი, ეკატერინე გვილაძე. ნედლი ხილის ევროპული ბაზარი და წარმოების პოტენციული საქართველოში .97

ნუგზარ თოდუა, დინარა ლომინაძე. საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა (ინგლ. ენაზე) ..... 113

ირსე მასურაშვილი. მენეჯმენტის ზოგიერთი თავისებურება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში..... 127

მამუკა სარჩიშვილი. დამნაშავეობის სტატისტიკის ზოგიერთი საკითხი..... 137

სიალა ბენაშვილი. საადრიცხო-ფინანსური და მმართველობითი პრობლემები საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ..... 143

ფინანსები და საბანკო საქმე

ლავით ნარმანი. საჯარო ფინანსების მართვა სრულყოფას მოითხოვს ..... 161

მარინე მაისურაძე. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ძირითადი ასპექტები. .... 169

ნინო ლომიძე. ფინანსური შედეგების აღიარების თავისებურება სამშენებლო კომპანიაში..... 177

ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ-რეინვენტთა აზრი?

რევაზ ბოგოხიძე. მეცნიერული გაწაფულობის ღირსეულ მსურველთა გზამკვლევი..... 187

„ლინი საქმენი“ – ახალი გამოცემა ..... 188

მედიკალიზაცია აკადემიკოს პაატა ბუბუშვილის ხსოვნას

იმოლა ჭილაძე. დაგვიანებული მაღლობადიდ მოძღვარს.... 190

სახელოვან აღამიანთა გალერეა

პროფესორი რევაზ ბოგოხიძე – 75..... 197

*Ilia II, Catholicos Patriarch of All Georgia. Easter Epistle ..... 10*

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

**ELGUJA MEKVABISHVILI.** K. Marks and H. Minsky about Crisis Essence of Financial Capitalism ..... 19

**INEZA GAGNIDZE.** International Educational Relations of Georgia - a Prerequisite for the Formation of Knowledge Triangle .....31

**ENVER LAGVILAVA** Conceptual Issues of Treaning Informatics ..... 41

**ARCHIL JACOBASHVILI.** Political Aspects of Inflation Targeting under the Currency Substitution ..... 39

**MERAB KHMALADZE.** The History of Georgian Demography and the Demographic Statistics ..... 73

MICRO AND MACROECONOMICS

**NODAR KHADURI.** Macroeconomic and Institutional Factors in the Formation of Investment Environment .....79

**DAVIT VEKUA, NINO PARESASHVILI.** Peculiarities of Insurance Market Formation in Georgia and its Development Trends .....89

**ETER KHARAISHVILI, EKATERINE ZVIADADZE.** European Fresh Fruit Market and Production Potential in Georgia .....97

MANAGEMENT, MARKETING, TOURISM

**NUGZAR TODUA, DINARA LOMINADZE.** Marketing Research of Consumer Behavior in the Medical Service Market of Georgia .....113

**IOSEB MASURASHVILI.** Some Peculiarities of Management in the

---

|  |     |
|--|-----|
| World's Developed Countries .....  | 127 |
| <b>MAMUKA SARCHIMELIA.</b> Several Issues of Crime Statistics ...  | 137 |
| <b>TSIALA BENASHVILI</b> Accounting, Financial and Managerial Problems in Health Care Sistem of Georgia..... | 143 |

### FINANCES AND BANKING

|   |     |
|---|-----|
| <b>DAVIT NARMANIA.</b> Public Finance Management Requires Improvement .....                     | 161 |
| <b>MARINA MAISURADZE.</b> Main Aspects of Preparation and Submission of Financial Reports ..... | 169 |
| <b>NINO LOMIDZE.</b> Recognition Features of Financial Results in Construction Companies .....  | 171 |

### NEW BOOKS: WHAT IS THE OPINION OF PROFESSIONAL REVIEWERS?

|  |     |
|--|-----|
| <b>REVAZ GOGOKHIA.</b> Guidelines for the worthy ones, willing to improve scientific skills..... | 187 |
| “Great Deeds”–New addition .....   | 188 |

### DEDICATED TO THE MEMORY OF ACADEMICIAN PAATA GUGUSHVILI

|   |     |
|---|-----|
| <b>IZOLDA CHILADZE.</b> Belated Thanks to the Great Preceptor ..... | 190 |
|---|-----|

### THE GALLERY OF NOTABLE PEOPLE

|   |     |
|---|-----|
| <i>Professor Revaz Gogokhia – 75.</i> ..... | 197 |
|---|-----|

---

### СОДЕРЖАНИЕ

|  |           |
|--|-----------|
| <b>Католикос патриарх всей Грузии Илья II. Пасхальное Послание .....</b> | <b>10</b> |
|--|-----------|

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

|   |           |
|---|-----------|
| <b>ЭЛГУДЖА МЕКВАБИШВИЛИ. К. Маркс и Гаиман Мински. .19</b>  |           |
| <b>ИНЕЗА ГАГНИДЗЕ. Международные общеобразовательные связи Грузии – предпосылка моделей формирования треугольника знания.....</b> | <b>31</b> |
| <b>ЭНВЕР ЛАГВИЛАВА Концептуальные вопросы обучения информатики .....</b>  | <b>41</b> |
| <b>АРЧИЛ ЯКОБАШВИЛИ. Политические аспекты таргетирования инфляции в условиях валютной субституции .....</b>                       | <b>59</b> |
| <b>МЕРАБ ХМАЛАДЗЕ. Из истории развития демографии и демографической статистики в Грузии. ....</b>                                 | <b>73</b> |

### МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

|  |           |
|--|-----------|
| <b>НОДАР ХАДУРИ. Макроэкономические и институционные факторы формирования инвестиционной среды. ....</b>               | <b>79</b> |
| <b>ДАВИД ВЕКУА, НИНО ПАРЕСАШВИЛИ. Особенности становления страхового рынка и тенденции развития.....</b>               | <b>89</b> |
| <b>ЭТЕР ХАРАИШВИЛИ, ЭКАТЕРИНЕ ЗВИАДАДЗЕ. Европейский рынок фруктового сырья и потенциал производства в Грузии.....</b> | <b>97</b> |

### МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

|  |  |
|--|--|
| <b>НУГЗАР ТОДУА, ДИНАРА ЛОМИНАДЗЕ. Маркетинговое исследование потребительского поведения на рынке медицинского</b> |  |
|--|--|

|   |            |
|---|------------|
| обслуживания в Грузии (на английском языке).....  | 113        |
| <b>ИОСИФ МАСУРАШВИЛИ. Некоторые особенности менеджмента в развитых странах мира.....</b>                  | <b>127</b> |
| <b>МАМУКА САРЧИМЕЛИЯ. Некоторые вопросы статистики преследования.....</b>                                 | <b>137</b> |
| <b>ЦИАЛА БЕНАШВИЛИ Учебно-финансовые и управленческие проблемы в системе здравоохранения Грузии .....</b> | <b>143</b> |

**ФИНАНСЫ И БАНКОВСКОЕ ДЕЛО**

|  |            |
|--|------------|
| <b>ДАВИД НАРМАНИЯ. Управление публичными финансами требует совершенствования.....</b>            | <b>161</b> |
| <b>МАРИНА МАИСУРАДЗЕ. Подготовка и представление финансовой отчетности. ....</b>                 | <b>169</b> |
| <b>НИНО ЛОМИДЗЕ. Особенности признания финансовых результатов в строительных компаниях. ....</b> | <b>177</b> |

**НОВЫЕ КНИГИ: КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛ-РЕЦЕНЗЕНТОВ?**

|   |            |
|---|------------|
| <b>РЕВАЗ ГОГОХИЯ. Путеводитель научных навыков для достойных желающих. ....</b> | <b>187</b> |
| <b>«Большие дела» – Новое издание. ....</b>                                     | <b>188</b> |

**ПОСВЯЩАЕТСЯ ПАМЯТИ АКАДЕМИКА ПААТА ГУГУШВИЛИ**

|   |            |
|---|------------|
| <b>ИЗОЛЬДА ЧИЛАДЗЕ. Запоздавшая благодарность большому наставнику. ....</b> | <b>190</b> |
|---|------------|

**ГАЛЕРЕЯ ПРОСЛАВЛЕННЫХ ЛЮДЕЙ**

|   |            |
|---|------------|
| <b>Профессору Ревазу Гогохия - 75 .....</b> | <b>197</b> |
|---|------------|

**უწმიდესისა და უნებარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, აბიჭინბისა და სს. უმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II**

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონაზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთიკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენი ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

გუგუნებენ ეკლესიათა ზარები და მსოფლიოს ამცნობენ, რომ დადგა დღე დღესასწაულთა დღესასწაულისა.

„დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთრვალი“, შეიმუსრა ჯოჯოხეთი, განქარდა ბნელეთის ძლიერება და კაცობრიობა გათავისუფლდა ეშმაკის ტყვეობისაგან.

„სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი? სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?!“

ქრისტე აღდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ პირველად მენელსაცხებლედ დედებს ეხარათ, დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს, მოციქულებმა – თავიანთ სამწყსოებს და, აი, უკვე მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი ხმობს:

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

მაინც რას ნიშნავს უდიდესი საიდუმლოებით მოცული ეს სასწაული, ანუ რა არის მიზეზი ჩვენი ასეთი ბედნიერებისა?

სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი საწყისი – ყოვლადძლიერი, ყოვლადკეთილი, ყოვლადბრძენი, ყოვლისშემომქმედი ღმერთი – ყოვლადწმიდა სამება, რომელიც ყველგან არის და ყოველივეს ადავსებს მაღლითა თვისითა. იგი თავისი მარადიული ნეტარების წიადისაკენ იზიდავს მთელ სამყაროს და ყოველივე ქმნულს, რომელიც, თავის მხრივ, მიისწრაფვის მისკენ და აღიღებს მას.

ფასლმუნში ვკითხულობთ: „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა; აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას



ყოველნი ძალნი მისნი; აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ვარსკულაენი და ნათელნი; აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელს ცათანი... აქებდით უფალსა ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი; ცეცხლი, სეტყუაი, თოვლი, მყინვარი, სული ნიაქარისაჲ, რომელნი ჰყოფენ სიტყუასა მისსა; მთანი და ყოველნი ბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი; მხეცნი და ყოველნი პირუტყენი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ფროთვანნი” (ფს. 148, 1-4,7-11).

ამ ღვთაებრივ ჰარმონიას ურჩობისა და ამპარტავნების გამო თავისი ნებით განეშორა პირველქმნილნი ადამიანი; თუმცა შემოქმედს მასზე ზრუნვა არ მიუტოვებია. ეს მდგომარეობა ბასილი დიდმა ასე გამოხატა: „შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ, შენ სინანულად მომიწოდებ და მე ურჩ გექმნები, შენ მხადი და მე გელტვი, ესრეთ ყოვლითურთ წინააღმდეგომ შენდა არს ცხოვრებაი ჩემი”.

და აი, თითქმის 2000 წლის წინ მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა: ყოვლადღაუტყვენელმა განკაცება ინება და კაცობრივი ბუნებით სიკვდილს დაექვემდებარება, ჯოჯოხეთში შთავიდა, რათა მართალთა სულნი ეხსნა და კაცობრიობისათვის დასშული ზეციური კარიბჭენი აღეხვნა.

რა შეეძარება იმ განძს, რაც მან ამ წუთისოფელში დროებით მყოფ თითოეულ ჩვენგანს გვიბოძა?! როგორ გამოეხატოთ ჩვენი მადლიერება ამ გამოგნებელი თავგანწირვის, სიყვარულისა და მოწყალებისადმი?!

უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ ჩვენივე გადარჩენისთვის გვთავაზობს, ჩავჭიდოთ ხელი მის მხსნელ მარჯვენას და ჩვენი გული და სული მისკენ მივმართოთ, რათა ღვთის მადლით ცოდვის ჭაობს განვეშოროთ და შიგ არ დავინთქათ.

ამ სასწაულთა სასწაულს ვზეიმობთ ახლა. ამიტომაც სიხარულითაა მოცული დედამიწა; ჩვენს გამო ხარობს ყოვლადწმიდა სამება და ანგელოზთა დასი, რადგან ხორციელი სიკვდილი აღარ არის მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭე, არამედ იგი მორწმუნეთათვის წარუვალ ნეტარებაში აღმყვანებელ საშუალებად იქცა.

ამიერიდან ესა თუ ის პიროვნება ან ეშმაკის და მისი ანგელოზების ხვედრი შეიქმნება და მარადიული ტანჯვისათვის გაიწირება, როგორც ეს ადრეც იყო, ანდა უფლისა და ანგელოზთა წიადში დამკვიდრდება.

სხვა არჩევანი არ არსებობს.

ბუნებრივია, ყველას სამოთხეში დამკვიდრება სურს, მაგრამ ეს უშრომლად არ მიიღწევა; მთავარია, ჩვენი ცხოვრების მიზნად სხვისთვის მსახურება დავისახოთ, რომ ქრისტეს მიმბაძველნი გავხდეთ.

პაისი ათონელი წერს: „თუ ადამიანი არ ფიქრობს მეორე ადამიანზე, არ გამოდის თავისი „მე“-დან და გამუდმებით თავისი თავის გარშემო ტრიალებს,... ის იმ ღერძს მიღმაა, რომელიც ქრისტეა”.

წმიდა მამები იმასაც გვაწავლიან, რომ აბსოლუტურად ბოროტი

და ცოდვილი კაცი არ არსებობს და რომ ყველაზე უარეს მათგანშიც კი არის რაღაც ნაწილი სიკეთისა. მაგ., თუ მას გულწრფელად უყვარს შვილები, მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები, უყვარს თუნდაც ცხოველები ან ბუნება, ე.ი. მასში არის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც ათბობს და ანათებს მის დაბნელებულ სულს; ყველას ვაღიბა, ეს ნაპერწკალი საკუთარ თავში გაადვივოს და ღვთაებრივ ცეცხლად აქციოს.

საერთოდ, ქრისტეანის ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლაა, გულის სიწმინდისათვის ზრუნვაა; ეს არის სინანული და მცდელობა იმისა, რომ ღმერთი მოვიძიოთ და ჩვენს გულებში გავამყოთ.

გული არის სულის საფანე, სული კი – ერთგვარი ჭურჭელი, რომელშიც ღვთის მადლი იღვრება. მადლის სიდიდე ჩვენს პიროვნულ დეაწლზე და ძალისხმევაზე დამოკიდებულია.

ბოროტისაგან ჩვენი გულისა და სულის მთავარი დამცველი ჩვენი სინდისია.

სინდისი არის ღვთის ხმა და იგი ყოველთვის გვიბიძგებს სწორი ქმედებისაკენ. მთავარია, ყური დაუგდოთ მას. მაგრამ ადამიანთა ნაწილი სწორედამ რომ საპირისპიროდ იქცევა, - ცდილობს ჩაახშოს იგი; სხვის დასანახად ვითომ ესმახურება უფალს, გული კი განშორებული აქვს ღვთისაგან. მაცხოვარი ბრძანებს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათაისა. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაისწარმეტყველებდითა?... და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ექმენით? მას უამსა ვრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნით თქვენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმენი უსჯულოებისანი (მათე 7,20-23).

ღმერთმა გვიხსნას ამ მდგომარეობისაგან.

და მაინც როგორ მივხვდეთ, ჩვენს გულში ვის უდვას ტახტი?

ამის პასუხს სახარება იძლევა: გულში, სადაც ცოდვა და ეგოიზმი ბატონობს, ბობოქრობს ღვარძლი, ავსიტყვაობა, შური, შუღლი, ამპარტავნება და სხვა ვნებანი, იქ უფლის მადლი არ მკვიდრობს. მაგრამ არის გული სიყვარულითა და სიკეთით სავსე, მიმტვევებელი, სამართლიანი, მოწყალების გამცემი, სხვაზე მზრუნველი...”.

ასე რომ, ძნელი არ არის გავერკვეთ, ვისი მსახურნი ვართ და, ვიდრე ჯერ კიდევ დრო გვაქვს, გადავდგათ გადამრჩენელი ნაბიჯები.

საერთოდ უფალი ადამიანებს სხვადასხვა ნიჭს და, აქედან გამომდინარე სხვადასხვაგვარ პასუხისმგებლობებს აკისრებს. ზოგს ერთ ტალანტს აძლევს, ზოგს – ორს, ზოგს – ხუთს ან ათს; პასუხისმგებლობაც შესაბამისია: ვისაც ერთი ტალანტი ებოძა, მას ათი ტალანტისა არ მოეთხოვება; მსუბუქია მისი ჯვარი და უფლის წინაშე მისი ვალდებულებაც, ხოლო ვისაც მეტი მიეცა, მას მეტიც მოეთხოვება.

მაგალითად, ზოგიერთს მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა მართებს, ესაა მისი

პასუხისმგებლობა, ნაწილს, – ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, სოფლის ან ქალაქის ხელმძღვანელობა; სხვებს კი მთელი ქვეყნის ტვირთი აწევთ და ამ დონის მსახურება ევალებათ.

იერარქიის არსი ქრისტიანობაში, სხვებთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებულია და იგი ქვემდგომებისადმი უანგარო სიყვარულსა და მათთვის ზრუნვას გულისხმობს.

უფალი ბრძანებს: ვინც თქვენს შორის მოისურვებს უფროსობას, ის იქნება თქვენი მსახური, ხოლო ვინც მოინდომებს პირველობას, – ყველას მონა; და ამის უდიდესი და უთვალსაზიროესი მაგალითი, პირველ რიგში, თვითონ მოგვცა.

ასეთი დამოკიდებულება მოეთხოვება ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს.

მსოფლიოში დღეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი პიროვნებათა თანასწორობისა და ღირსების დაცვისა სწორედ ქრისტიანულ სწავლებას ეყრდნობა, მაგრამ ზოგიერთათვის ეს ცნებები უკვე განსხვავებულ შინაარსს ატარებს.

რა თქმა უნდა, არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმიდა მაქსიმე აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშემდგომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული.

ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი სჭარბობს.

მაგალითად, ავიღოთ ქრისტიანული ოჯახი; ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო, თუ მათ ეს საფუძველი გამოეცალათ, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირი კონფლიქტის საფუძველი ხდება.

ნაცვლად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებას ეზრუნა ოჯახში ქრისტიანული ღირებულებების დასამკვიდრებლად, დაიწყეს უკვე დანგრეული ურთიერთობების ხელოვნურად მოგვარება, რაც შედეგს ვერ გამოიღებს და ცოლის და ქმრის ურთიერთობას კიდევ უფრო არასწორი გზით წარმართავს.

ოჯახის სიმტკიცისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ელემენტარული სოციალური პირობებისა და ზნეობრივი გარემოს შექმნას. პირველ ფაქტორს ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა. მე ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ყოველდაუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა,

მიწისადმი ხალხისათვის ინტერესის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს და დოტაციური და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამაგრებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარებისა) დღესაც ხორციელდება.

რაც შეეხება ზნეობრივ გარემოს, ეს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე, მის ორიენტაციაზეა დამოკიდებული.

სავსებით ნათელია, რომ ძალადობრივი, ნიჰილისტური და უხამსი ფილმებითა და გადაცემებით აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის და ოჯახსაც მნიშვნელოვნად დააზიანებს. არადა, როგორი მონდომებაა, რომ უძლიერესი ფსიქოლოგიური საშუალებით – მასმედიით ბოროტება და ცოდვითი ცხოვრება აღზევდეს, ვულგარიზებული, ტექნოლოგიური სზოგადოება ჩამოყალიბდეს და მის ბატონ-პატრონად ფული იქცეს, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, სწორი ორიენტაციები დაკარგონ და ქრისტეს მცნებები წარსულის გადმონაშთად მიიჩნიონ.

რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოქმედებს ხალხზე, დღეს უკვე ადამიანებს გაცილებით უადვილდებათ ოჯახის დანგრევა, თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, მამათმავლობის ჩვეულებრივ მდგომარეობად წარმოჩენა, ოჯახური ანომალიების გახმაურება...

არავინ ასწავლის თუნდაც იმას, რომ აბორტის გაკეთება და საკუთარი შვილის სიცოცხლის ხელყოფა ან ე.წ. „სუროგატი დედების“ ინსტიტუტის შექმნა უმძიმესი დანაშაულია, რომლის გამოსყიდვა ადვილი არ არის.

ძალიან სამწუხაროა, რომ ხდება ეგოისტური აზროვნების წახალისება. ასეთი ადამიანები მოყვასს მოიაზრებენ მხოლოდ თავისი მიზნების განხორციელების საშუალებად, რაც მაღლიერების გრძნობასაც გამორიცხავს და, ამასთან, აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი გამეტება და სიცოცხლის ხელყოფა ეადვილებათ. თუმცა ცოდვითი ცხოვრების მიმდევართა და პროპაგანდისტთა შორისაც ვხედავ ბევრს ისეთს, რომელნიც, უფლის წყალობით, შეცვლიან თავის ცხოვრების წესს და ჭეშმარიტი სიკეთის მთესველნი გახდებიან.

ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოებისა და ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, მათ სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მაინც ინარჩუნებს ტრადიციულ ღირებულებებს და ქართული იდეის მატარებელნი არიან.

საერთოდ, ყველა ერს თავისი იდეა აქვს.

რა არის ჩვენი იდეა და რაში ვლინდება იგი?

ეს შეიძლება გამოვთქვათ ერთი ყოვლისმომცველი სიტყვით – ჭეშმარიტების მსახურება, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება უფლისადმი ჩვენს უდიდეს სიყვარულში, მისდამი ერთგულებასა და თავგანწირვასში.

დიახ, უხენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა, ამიტომაც გვიანდერმა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა!“ და მართლაც, ჩვენი ერი ჯვარს ეცვა ჯვარცმული ღვთისთვის.



პეტრიწონის (ბულგარეთი) ქართული მონასტრის წარწერაც ამაზე მიგვანიშნებს: „ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“.

ქართული იდეის განვრცობის არეალი გიორგი მერჩულემ ასე განსაზღვრა: „ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულებს“, ხოლო ენასა ამას შინა „ყოველი საიდუმლოდ დამარხულ არს“ (იოანე-ზოსიმე).

აქ, არ იგულისხმება ენა, როგორც მხოლოდ მეტყველების საშუალება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ერის მსოფლმხედველობის გამოვლინება, რომელიც თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, არის ერთი და ერთიანი.

ქართველისათვის პატრიოტიზმიც ღვთისმსახურებაა. იგი სამშობლოს პატრონობს და საკუთარი სისხლის ფასად იცავს, რადგან ამაში ხედავს ღვთის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. მას სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ დროებით დაკარგულ თავის ტერიტორიებსა და ხალხს კი ყოველთვის თავისად მიიჩნევს.

ჩვენი სულისკვეთება კარგად ჩანს ამ სიტყვებში: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“. დიახ, ქართული იდეისთვის უცხოა ექსპანსია და აგრესია. ამიტომაცაა მთელი ჩვენი ისტორია უანგარობის, გულწრფელობის, ვაჟაკობისა და ზნეობრიობის გამოხატულება.

ქართულ იდეაში ასევე სრული სისავსით არის განხორციელებული ქრისტიანული მცნება მოყვასის სიყვარულისა. ჩვენ სისხლში გვაქვს გამჯდარი ეს დამოკიდებულება: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად“ (რუსთაველი), რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიკეთის მსახურებას გულისხმობს. ბოროტ საქმეში მეგობრობა და ერთგულება კი ეშმაკთან თანაზიარებაა.

ქართულმა იდეამ საუკუნეთა მანძილზე ჩამოაყალიბა ჩვენი ხასიათი, ჩვენი კულტურა და ყოფა.

ქართული იდეა არის იმ ჭეშმარიტი ღვთისმსახურების გაგრძელება, რომელიც უფალმა დაუდგინა ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს... ოღონდ ეს არის ახალ ისრაელად სახელდებული ერის მსახურება (ცხოვრების წესი) ზეციური იერუსალიმის დასამკვიდრებლად.

ასეთია ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული გზა; გზა ძნელი, მაგრამ საამაყო, ვიწრო, მაგრამ გადამრჩენელი, დროებითი ტკივილით დამძიმებული, მაგრამ ქრისტესმიერი მარადიული სიხარულით სავსე.

სწორედ ამ სულისკვეთების მქონე პიროვნებები ქმნიან ღვთისმშობლის წილხვედრ ქართველ ერს, ხოლო ის ქართველები, რომელნიც ასეთი წესით არ ცხოვრობდნენ და არ ცხოვრობენ, თავისთავად განეშორებიან ან უპირისპირდებიან მის წილს და ქართული იდეის ნაწილად ვერ მი-

ინევიან.

ისინი არიან ვახის ნახსლავნი, რომელთა შორის სიცოცხლე არ არის.

ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული იდეისათვის მარტო გენეტიკურ ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

გავიხსენოთ მეფე ლუარსაბ დიდის ერთ-ერთი შვილი დავითი და მეფე თეიმურაზ I.

ეგოსტური და ანგარებიანი ინტერესებიდან გამომდინარე, დავითი ღვიძლ ძმასაც დაუპირისპირდა და საქართველოსაც, სარწმუნოებაც შეიცვალა და დაუდ-ხანად ქცეული მტრის ინტერესების დამცველი და მათი იდეის განმახორციელებელი გახდა. მაშინ, როდესაც თეიმურაზ I რწმენისა და მამულის დაცვას დედაც და შვილებიც შესწირა და თავისი ცხოვრებაც მუდმივ ბრძოლასა და ტანჯვა-წამებაში გაატარა, ბოლოს კი ბერობაში აღესარულა; მისი ცხოვრება ხალხისთვის მისაბამ მაგალითად იქცა.

ასე, რომ ქართული სამყარო, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ერის წიადი, მხოლოდ გენეტიკური ნიშნით არ შემოიფარგლება. სწორედ ეს აზრია ჩადებული ფარისევლებისადმი თქმულ მაცხოვრის ამ სიტყვებში: „უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ... სიტყუაი ჩემი ვერ დაეტყვის თქვენ შორის... უკეთუმცა შეილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთაცა აბრაჰამისთა იქმოდეთ... თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქმათა მამისა თქვენისათა გნებავს ყოფად; რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს. ამისთვის არა ისმენთ თქვენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან“ (იოანე 8, 37, 39, 44, 47).

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული იდეის შემოქმედნი იყვნენ არაქართველნიც. მაგალითად, სპარსი რაჟდენ პირველმოწამე და ევსტათი მცხეთელი, ტომით სომეხი დიდებული ასული შუშანიკ დედოფალი, არაბი აბო, ასურელი წმიდა მამები და სხვანი.

სწორედ ქართული იდეიდან გამომდინარეობს ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტობაც, რაც იყო საფუძველი აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ჩვენი ჭირ-ვარამის გაზიარებისა და საქართველოსთვის მსახურებისა.

საუკუნეთა განღავლობაში სხვებთან ერთად, ქართული იდეის და ქართული სახელმწიფოს თანაშემოქმედნი იყვნენ აფხაზები. ქართული სამყაროს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ყოველთვის იყო აფხაზეთი. ამაზე მეტყველებს აქ არსებული უძველესი ქრისტიანული ტაძრები და წარწერები, ქართველ მეფეთა ტიტულატურა. ამაზე მეტყველებს აფხაზეთში, ბედიის მონასტერში დაკრძალული ერთიანი საქართველოს პირველი მონარქის, – ბაგრატ III-ის საფლავი. ამაზე მეტყველებს ჩვენს შორის არსებული სისხლისმიერი ნათესაობა და ნათელ-მირონობა...

ჩვენ ერთი ღმერთის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და საერთო წმიდანების მიმართ ვლოცულობთ. მათი შეწევნით, ვიმედოვნებთ, მტერი

ვერ გაგვითმავს. აფხაზეთის მიტროპოლიტად კათოლიკოს-პატრიარქის დადგინებაც ჩვენი გაყოფის მოსურნეთა საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო.

მე განსაკუთრებით ვლოცულობ თქვენთვის და ადღვომის ბრწყინვალე დღესასწაულსაც განსაკუთრებით ვულოცავ ჩემს უშუალო სამწყსოს – ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, საქართველოს ყველა კუთხის შვილს, ვულოცავ ჩვენს მართლმადიდებელ სამწყსოს: ოსებს, ბერძნებს, ასირიელებს, აფხაზებს, რუსებს, სომხებს, იეზიდებს, აზერბაიჯანელებს, მცირერიცხოვან, მაგრამ უძველესი ისტორიის მქონე უღებს... უცხოეთში დროებით მყოფ თანამემამულეთ, აგრეთვე ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის, ფერეიდანის, მაზანდარანის, ჰერეთის მკვიდრთ და უფალს თქვენთან ერთად შევდალაღებ:

„ადღვომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩუენცა ღირს მყვენ ქუეყანასა ზედა წმიდით გულით დიდებად შენდა!“

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

ილია II  
სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი

ადღვომა ქრისტესი  
თბილისი, 2011 წელი

პარლ მარქსი და ჰაიმან მინსკი ფინანსური  
კაპიტალიზმის კრიზისული ბუნების შესახებ

ელგუჯა მქაბაბიშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

გლობალიზაციის ეპოქის ეკონომიკური კრიზისები, განსაკუთრებით კი 2007-2009 წლების ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, საფუძველს გვაძლევს ახალი კუთხით შევხედოთ ეკონომიკური კრიზისების პრობლემის დიდი ისტორიისა და ტრადიციების მქონე მეცნიერულ კვლევას და გარკვეული პარალელები გავავლოთ სხვადასხვა ეპოქისა თუ მიმართულების მეცნიერთა ნააზრევში. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოდ მიგვაჩნია კაპიტალიზმის ფინანსურ სისტემაზე მუშათა კლასის ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლის, კ. მარქსისა და ცნობილი ნეოკეინზიანელის, კ. მინსკის შეხედულებათა შედარებითი ანალიზი. კ. მარქსის ბიოგრაფია კარგადაა ცნობილი, განსაკუთრებით უფროსი და საშუალო თაობის ქართველი მკითხველისათვის, რასაც ვერ ვიტყვი კ. მინსკის შესახებ. ამიტომ ძალიან მოკლედ მისი მეცნიერული პორტრეტის რამდენიმე შტრიხზე შევჩერდებით.

ჰაიმან მინსკი დაიბადა 1919 წელს აშშ-ში, ჩიკაგოში, ბელორუსიდან ემიგრირებული ებრაელი მენშევიკის ოჯახში. დაამთავრა ჩიკაგოს უნივერსიტეტი მათემატიკოსის დიპლომით და ჰარვარდის უნივერსიტეტი ეკონომიკაში ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხით. მუშაობდა ეკონომიკის პროფესორად სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტში. სიცოცხლის ბოლო წლებში მოღვაწეობდა ჯეროში ლევის ეკონომიკის ინსტიტუტის ბარდის კოლეჯში მეცნიერ-მკვლევარად. მისი ნაშრომები ძირითადად შეეხება თანამედროვე კაპიტალიზმის ფინანსური სისტემის პრობლემების კვლევას და გამოირჩევა კაპიტალიზმის მძაფრი კრიტიკით, რის

გამოც ამერიკის ისტებლიშმენტი ეჭვითა და ათვალწუნებითაც კი უყურებდა ამ მეცნიერს. ჰ. მინსკი გარდაიცვალა 1996 წელს და მას შემდეგ მოიპოვა განსაკუთრებით დიდი აღიარება. ჯეროში ლევის ეკონომიკის ინსტიტუტში რეგულარულად იმართება ჰ. მინსკის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი კონფერენციები, იბეჭდება მოხსენებათა კრებულები. მისი ძირითადი ნაშრომები თარგმნილია მსოფლიოს რამდენიმე ენაზე.

კ. მარქსი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში და მისი ცხოვრების მხოლოდ ბოლო პერიოდში იჩინა თავი ფინანსური კაპიტალიზმის პირველმა ნიშნებმა, რომლებიც აისახა მის მთავარ ნაშრომში – “კაპიტალი”. კ. მარქსი მსჯელობს ფიქტიური კაპიტალის შესახებ, რომლის ქვეშ გულისხმობს საფონდო ბირჟებზე მიმოქცევა და შემოსავლების მომტან ფასიან ქაღალდებს. ფიქტიური კაპიტალის საფუძველი რეალური კაპიტალია, ანუ როგორც კ. მარქსი შენიშნავს: “ფიქტიური კაპიტალი ტიტულურია ნამდვილი კაპიტალის მიმართ”.<sup>1</sup> ფიქტიური კაპიტალი ეკონომიკის განვითარების პროცესში წყდება თავის საფუძველს და საკუთარ დამოუკიდებელ სიცოცხლეს იძენს. ფიქტიურ კაპიტალში “კაპიტალის ღირებულების ნამდვილი ზრდის პროცესთან კავშირის ყოველი კვალი დაკარგულია და განმტკიცებულია წარმოდგენა კაპიტალზე, როგორც ავტომატიურად თვითშარდ ღირებულებაზე”.<sup>2</sup> კ. მარქსი გამოჰყოფს ფიქტიური კაპიტალის ისეთ ნიშნებს, როგორიცაა მისი ილუზორული<sup>3</sup> და სპეკულაციური ხასიათი.<sup>4</sup>

კ. მარქსი აფიქსირებს იმ კანონზომიერებას, რომ ფიქტიურ კაპიტალს კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებასთან ერთად გაფართოების ტენდენცია ახასიათებს და დასძენს: “განსაზ-

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2. თბ., 1959, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>3</sup> კ. მარქსი წერს: “ ამ ქაღალდების (იგულისხმება ფასიანი ქაღალდები – ე.მ.) კაპიტალიზმის წმინდა ილუზორულია... ანუ მისი ღირებულების სიდიდე შეიძლება ეცემოდეს და მაღლა იწევდეს იმ ნამდვილი კაპიტალის ღირებულებისაგან სრულიად დამოუკიდებლად, რომლის ტიტულსაც ის წარმოადგენს” – დასახელებული ნაშრომი, გვ. 23.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 10.

ღერული თავდაპირველი ნომინალური ღირებულების მქონე ეს წარმოსახვითი სიდიდე ფართოვდება კაპიტალისტური წარმოების განვითარების მსვლელობაში”.<sup>1</sup> კ. მარქსი გვთავაზობს კაპიტალისა და კაპიტალისტური საზოგადოების სიმდიდრის შემდეგ კლასიფიკაციას:

|                      |                            |
|----------------------|----------------------------|
| "წარმოებულ კაპიტალს" | "ნაყოფი (ნაძვინდ) ხმარება" |
| "ხაქისლერი კაპიტალი" | "ფუნდის ხმარება"           |
| "ფუნდის კაპიტალი"    | "ფიქტიური ხმარება"         |
| "ფიქტიური კაპიტალი"  |                            |

კ. მარქსის თანახმად, ნამდვილი კაპიტალი საქონლური კაპიტალისა და მწარმოებლური კაპიტალის ერთობლიობაა, ფუნდური კაპიტალი კი გარდამავალი რგოლია ნამდვილ კაპიტალსა და “ჭეშმარიტად ფიქტიურ კაპიტალს”, ანუ სახელმწიფო ქაღალდებს, ხაზინის მოწოდებებს, ყოველგვარ აქციებს, თამასუქებს, ჰიპოთეკებს შორის.<sup>2</sup> ამრიგად, კ. მარქსის მიერ პირველად შექმნილი და შესწავლილი რამდენიმე კანონზომიერება, რასაც, ჩვენი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია თანამედროვე ფინანსური კაპიტალიზმის და, კერძოდ, თანამედროვე ფინანსური კრიზისების შესასწავლად. ესენია: პირველი – ფიქტიური კაპიტალის კატეგორიის გამოყოფა; მეორე – ფიქტიური კაპიტალის ილუზორული და სპეკულაციური ხასიათის ჩვენება; მესამე – ფიქტიური კაპიტალის განუხრელი ზრდის ტენდენციაზე ხაზგასმა და მეოთხე – ფიქტიური კაპიტალის ჭარბწარმოების ეკონომიკურ კრიზისებთან დაკავშირება.<sup>3</sup>

თანამედროვე ფიქტიური კაპიტალი შეიძლება განხილულ იქნეს კ. მარქსის ეპოქის ფიქტიური კაპიტალის მემკვიდრედ. ამასთანავე, რიგი ფაქტორის (ინფორმაციული ტექნოლოგიები, კორპორატიული-ქსელური ბაზრები და სხვ.) ზემოქმედებით იგი

<sup>1</sup> კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2. თბ., 1959, გვ. 25.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 21-22; 42.

<sup>3</sup> “ფიქტიური კაპიტალის ზრდა ჭარბწარმოებასთან და უზომო სპეკულაციასთან ხელიხელნაკიდებული მიმდინარეობს”. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2. თბ., 1959, გვ. 22.

განსხვავდება “ძველი” ფიქტიური კაპიტალისაგან. ეს განსხვავება გამოიხატება თანამედროვე ფიქტიური კაპიტალის ვირტუალიზაციის გაცილებით უფრო მაღალ ხარისხში. შეიძლება ითქვას, რომ ჩამოყალიბდა თანამედროვე ვირტუალური კაპიტალი, როგორც ფიქტიური კაპიტალის განსაკუთრებული სახეობა. ვირტუალური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმაა ვირტუალური ფული, რომელიც მთლიანად თანამედროვე საინფორმაციო კომუნიკაციური ტექნოლოგიების პროდუქტია. ვირტუალურ კაპიტალს ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ წარმოებული (მეორეული) ფინანსური ინსტრუმენტები, ანუ დერივატივები, რომლებიც განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება თანამედროვე პირობებში. ვირტუალური ფინანსური კაპიტალის ბაზაზე ყალიბდება ეკონომიკის ფიქტიური (ვირტუალური) სექტორი, როგორც განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, რომლის ჩარჩოებში არსებობს გარდაქმნილი (ირაციონალური) ფიქტიური აგრეგატების ერთობლიობა და არ იქმნება არც მატერიალური დოვლათი, არც კულტურული ფასეულობები. ფიქტიური კაპიტალის და ეკონომიკის ფიქტიური სექტორის გადაჭარბებული მასშტაბებით არსებობა ბევრი ეკონომისტის მიერ თანამედროვე ფინანსური კაპიტალიზმის არასტაბილურობის მნიშვნელოვან მიზეზადაა მიჩნეული.<sup>1</sup>

მონეტარისტული თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია კ. მარქსის მიერ კრედიტის როლის ანალიზი კაპიტალისტური წარმოების კრიზისების წარმოშობაში. როგორც ცნობილია, კ. მარქსი კაპიტალიზმის ეკონომიკური კრიზისების მთავარ მიზეზად მიიჩნევდა კაპიტალიზმის ძირითად წინააღმდეგობას, ანუ წინააღმდეგობას წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო კაპიტალისტურ ფორმას შორის. ამ უკანასკნელის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმად იგი განიხილავდა წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის. მარქსის აზრით, კაპიტალისტი საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით, აფართოებს საქონლისა და მომსახ-

<sup>1</sup> ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, 2009, №1. გვ. 83-89; Kindleberger C. Manias, Panics and Crashes. Macmillan, 1996; Summers L. Interantional Financial Crisis: Causes, Prevention and Cures – American Economic Review, 2000, ტ. 90, №2 და სხვ.

ურების წარმოებას და მიწოდებას. ამასთანავე, იგი ცდილობს შეამციროს მუშების ხელფასი, რაც იწვევს მოთხოვნის შემცირებას და კაპიტალისტის მიერ შექმნილი პროდუქტის რეალიზაციის ბაზრის შეზღუდავს. აღნიშნულს, კ. მარქსის აზრით, თან მოსდევს ჭარბწარმოების კრიზისი, რომელიც კაპიტალისტურ ეკონომიკაში დაგროვილი პრობლემების ძალდატანებითი გადაჭრაა. კრიზისი აღადგენს ეკონომიკაში წარმოშობილ დისბალანსებს, რის შემდეგაც ეკონომიკა იწყებს ზრდას, კვლავ ჩნდება ახალი დისბალანსები, რასაც ახალ კრიზისებამდე მივყავართ და ა.შ. კრედიტი წარმოადგენს კაპიტალისტური გაფართოებული კვლავწარმოების ერთ-ერთ ფაქტორს. ეკონომიკური აღმავლობის პირობებში, რასაც თან ახლავს მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდა, ბანკები თავს უყრიან დიდი რაოდენობის თავისუფალ სახსრებს და აფინანსებენ მრეწველობას, ვაჭრობას, რითაც ზრდიან მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე. ამ თვალსაზრისით, კრედიტი დროებით ხსნის წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის. ფიქტიური მოთხოვნის შექმნით ბანკები წარმოებას უბიძგებენ რეალური გადახდისუნარიანი მოთხოვნის ჩარჩოების გადალახვისაკენ, რითაც ქმნიან ახალი კრიზისების წარმოშობის ობიექტურ საფუძველს. სწორედ ამით აიხსნება ისტორიაში გავრცელებული ფაქტები, როცა ფულად-საკრედიტო სფეროს კრიზისები წინ უსწრებდა ეკონომიკის რეალური სფეროს კრიზისებს. ამასთანავე, კ. მარქსი ყოველთვის მიიჩნევდა, რომ შინაარსობრივად ფულად-საკრედიტო კრიზისები წარმოადგენდა სამრეწველო კრიზისების შედეგს.

XX საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ინტენსიურად დაიწყო ფინანსური გლობალიზაციის პროცესი, რომელსაც ახასიათებს: ა) ეროვნული ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია მსოფლიო (გლობალურ) ფინანსურ ბაზარში; ბ) მეორეული (წარმოებული) ფინანსური ინსტრუმენტების გიგანტური ზრდა; გ) ეკონომიკის ფინანსური სექტორის მოწვევება რეალური სექტორისაგან და დ) მსოფლიო (გლობალურ) ფინანსურ ბაზარზე სპეკულაციური ოპერაციების არნახული გაფართოება.<sup>1</sup> აღნიშნული პროცესების



შედგება ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისა და მსოფლიო ეკონომიკამ გადაყირავებული პირამიდის ფორმა მიიღო, რომელშიაც ეკონომიკის ზედნაშენური, მომსახურე, ვირტუალური ნაწილი დომინირებს საბაზისო, მწარმოებლურ, რეალურ ნაწილზე. ეს მდგომარეობა მთლიანად კაპიტალისტური ეკონომიკისათვის, განსაკუთრებით კი მისი ფინანსური სისტემისათვის, არასტაბილურობის დიდი მუხტის მატარებელია.

ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც აღნიშნულ გარემოებას მიაქცია ყურადღება და საფუძვლიანად გამოიკვლია თანამედროვე კაპიტალიზმის ფინანსური სისტემის არასტაბილურობის პრობლემა, იყო ჰაიმან მინსკი. მან აქტიურად გაილაშქრა ნეოკლასიკური ორთოდოქსიის წინააღმდეგ, რომელიც ემყარებოდა ლეონ ვალრასის საერთო წონასწორობის თეორიას. ამ თეორიის მიხედვით, ეკონომიკური (ბაზრის) აგენტების ქცევა ყოველთვის რაციონალურია, რის გამოც საბაზრო ეკონომიკა ავტომატური რეჟიმით უზრუნველყოფს რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან განაწილებას-გამოყენებას. საბაზრო ეკონომიკა ორიენტირებულია საზოგადოების შიგნით სხვადასხვა კლასებსა და სოციალურ ფენებს შორის ჰარმონიაზე ყველასა და თითოეულის კეთილდღეობაზე. კაპიტალისტურ ეკონომიკაში კრიზისები და სხვა უარყოფითი მოვლენები, ნეოკლასიკოსთა აზრით, შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მხოლოდ ეგზოგენური ფაქტორებით: სახელმწიფოს ეკონომიკური აქტიურობით, პროფკავშირების საქმიანობით, ინსტიტუციური ხასიათის სისუსტეებით და ა.შ.

ვალრასის თეორია განვითარდა და დაკონკრეტდა ეკონომიკის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატების კენეტ ეროუსა და ჟერარ დებრეს ეკონომიკურ-მატემატიკურ მოდელებში, რომლებმაც ანალიზში, რიგი ხელოვნური დაშვების გამოყენებით, სცადეს თავისუფალი კონკურენციის პირობებში, წონასწორობის არსებობის მათემატიკური დასაბუთება. როგორც აღვნიშნეთ, ჰ. მინსკი კატეგორიულად არ ეთანხმება ნეოკლასიკოსებს და შენიშნავს: “იქამდე,

<sup>1</sup> ლ. ლარუში. მსოფლიო საფინანსო ეკონომიკური სისტემა და ეკონომიკური ზრდის პრობლემა, წიგნი – “მსოფლიო შეთქმულება”, თბ., 2000, გვ. 144.

ვიდრე ეკონომიკას კაპიტალისტური ხასიათი აქვს, იგი ფინანსურად არამდგრადი იქნება”.<sup>1</sup> სხვა ნაშრომში იგი კიდევ უფრო ანვითარებს ამ მოსაზრებას: “კაპიტალიზმის ყველა ტიპი არასტაბილურია... ამასთანავე, ზოგიერთი უფრო მეტად არასტაბილურია, ვიდრე სხვა. ფუნდამენტური არასტაბილურობით გამოწვეული სისტემური მახასიათებლები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს”.<sup>2</sup> ჰ. მინსკიმ ჩამოაყალიბა კაპიტალიზმის სისტემური ფინანსური სიმციფის ორიგინალური თეორია, რომლის თანახმადაც ფინანსური სიმციფე კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ფინანსური სისტემის განუყოფელი მახასიათებელია. ფინანსური სიმციფის სისტემურობა ნიშნავს, რომ არამდგრადი (მციფე) ფინანსური სტრუქტურა არის კაპიტალისტური ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების შედეგი, ხოლო ფინანსური სისტემის მდგრადობა ან არამდგრადობა განისაზღვრება არსებული ფინანსური მექანიზმების ერთობლიობით.<sup>3</sup> ჰ. მინსკიმ დაასაბუთა, რომ სისტემური ფინანსური სიმციფე წარმოადგენს რამდენიმე ფაქტორის კომბინაციის შედეგს. ეს ფაქტორებია: ა) სპეკულაციური ოპერაციები; ბ) საკრედიტო ექსპანსია (ვალის დაგროვება); გ) ფინანსური ინოვაციები და დ) ინვესტორთა ფსიქოლოგია. მეცნიერი აღნიშნავს, რომ “სპეკულაცია, რომელიც უოლ-სტრიტთანაა ასოცირებული, ბიზნეს-ციკლებს, მისთვის დამახასიათებელი საშინელი დეპრესიით, ეკონომიკური პროცესების ნორმალურ შედეგად უფრო მეტად აქცევს, ვიდრე წონასწორობის მოძიებასა და შენარჩუნებაზე ორიენტირებული ნებისმიერი ქცევა”.<sup>1</sup> მინსკის აზრით, სპეკულაცია “იწვევს საკრედიტო ექსპანსიას, რასაც ხშირად ღრმა დეპრესიამდე და კრახამდე მიჰყავს კაპიტალისტური ეკონომიკა. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საკრედიტო ექსპანსიის ყველა არსზე კონტროლის უზრუნველყოფა”.<sup>2</sup> მინსკის ფინანსური

<sup>1</sup> Minsky H. Financial Crises: Systemic or Idiosyncratic. Jerome Levy Economics Institute, Bard College, Working Paper №51, 1991, გვ. 77.

<sup>2</sup> Minsky H. Finance and Stability: The Limit of Capitalism. Jerome Levy Economics Institute, Bard College, Working Paper №99, 1993, გვ. 135.

<sup>3</sup> Papadimitriou D. Wray R. Minsky's Analysis of Financial Capitalism. Jerome Levy Economics Institute, Bard College, Working Paper №275, 1999, გვ. 323.

მოდელის მთავარი ელემენტია ვალის დაგროვება, რომელიც დაკავშირებულია სპეკულაციური აქტივების შექმნასთან მისი შემდგომი გადაყიდვის მიზნით. ამ თეზისის დასასაბუთებლად მეცნიერი აღწერს ინვესტიციების დაფინანსების სამ შესაძლო ფორმას. ესენია: ა) ჰეჯირებული, ანუ უზრუნველყოფილი დაფინანსება; ბ) სპეკულაციური დაფინანსება; დ) პონცი – დაფინანსება,<sup>3</sup> რომელიც სპეკულაციური დაფინანსების სპეციფიკური ფორმაა. მისი არსი შემდეგია: დაუფარავ ვალებზე სარგებელი გადაიხდება ახალი ვალების აღებით, ანუ ვალი იზრდება მაშინაც კი, როცა არ ხდება შემოსავლის მომტანი რაიმე ახალი აქტივის შექმნა. ეკონომიკის საერთო სტაბილურობა ინვესტიციების დაფინანსების აღნიშნული სამი წყაროს თანაფარდობით განისაზღვრება. ხელსაყრელი კონიუნქტურის დროს კერძო ბიზნესის დაფინანსებაში მოკლევადიანი სესხების ხვედრითი წონა იზრდება, ნაღდი ფულისა კი – მცირდება. ამ დროს ძლიერდება ეკონომიკური აგენტების ოპტიმისტური განწყობა, რაც განაპირობებს სპეკულაციური და პონცი დაფინანსებების წილის ზრდას. ფინანსური კრიზისი იწყება მაშინ, როცა კომპანიებს იმაზე მეტი ნაღდი ფული ჰკირდებათ, ვიდრე მათი მიღება შეუძლიათ ჩვეულებრივი წყაროებიდან. ამ შემთხვევაში, ისინი იძულებულნი არიან მიმართონ სხვა წყაროებს. მაგ., მოახდინონ საბაზრო პოზიციათა ლიკვიდირება. ფინანსურ ბაზრებზე ყოველი ასეთი ლიკვიდირებული პოზიცია რეალური სექტორის საწარმოებს უხშობს დაფინანსების წყაროებს. წარმოიშობა ეკონომი-

<sup>4</sup> Minsky H., John Maynard Keynes. Columbia University Press, 1975, გვ. 33.

<sup>2</sup> Minsky H. Can 'it' Happen Again? M. E. Sharpe, 1982, გვ. 101.

<sup>3</sup> კარლო პონცი იყო წარმოშობით იტალიელი ფინანსისტი, რომელიც ემიგრირდა აშშ-ში. აქ მან შექმნა ე.წ. “პონცი-სქემა”: იგი მაღალი პროცენტებით ნაცნობ-მეგობრებისაგან იღებდა სესხებს, რომლებსაც დიდი მოგების მომტანი სარისკო ოპერაციებში აბანდებდა, სესხებზე პროცენტებს კი იხდიდა ახალი სესხების აღებით. “პონცი-სქემა” ფაქტობრივად აფიორა იყო, რომლისგანაც აშშ-ს დაახლოებით 40 მლნ მოქალაქე დაზარალდა, მისი ავტორი კი აშშ-ს ციხეში მრავალწლიანი პატიმრობის შემდეგ ბრაზილიაში გაემგზავრა და იქ გარდაიცვალა სრულ სიღატაკეში. გარდაცვალების შემდეგ კ. პონცის 79 დოლარი “დანაზოგი” აღმოაჩნდა, რომელიც მისი დაკრძალვის ხარჯებს მოხმარდა.

მიკაში სერიოზული ფინანსური დაძაბულობა, რომელიც იწვევს ეკონომიკურ დაქვეითებას და უმუშევრობის ზრდას.

ამერიკელმა ეკონომისტმა მარტინ ბინსვანგერმა გამოიყვანა ფინანსური სექტორის რეალურ სექტორზე უარყოფითი ზეგავლენის რამდენიმე მიმართულება.<sup>1</sup> პირველი, “გამოდევნის ჰიპოთეზა” – ფინანსური რესურსების ინვესტირება შესაძლებელია როგორც რეალურ, ისე ფინანსურ აქტივებში. როცა ეს უკანასკნელი ინვესტორს უფრო მაღალ მოგებას აძლევს, ბუნებრივია, ფინანსურ კაპიტალში მეტი თანხები ინვესტირდება, რაც რეალურ სექტორს აკლდება და აზარალებს; მეორე, “ფინანსური დომინირების ჰიპოთეზა” – ისეთ მანქვენებლებზე, როგორცაა საპროცენტო განაკვეთი და სავალუტო კურსები, მზარდ ზეგავლენას ახდენს სპეკულაციები, რომლებიც არ ასახავს ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას. მაშასადამე, ფინანსური სექტორი დომინირებს რეალურ სექტორზე, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური ოპერატორები განსაზღვრავენ რეალურ სექტორში საქმიანობის სტანდარტებს. მესამე, “კაზინოს ჰიპოთეზა” – სპეკულაციური გარიგებების სიჭარბის პირობებში, საფონდო ბაზრის ფასები ზუსტად არ ასახავს ფუნდამენტურ ეკონომიკურ მანქვენებლებს. ფინანსურ ბაზრებზე ყალიბდება საკუთარი სპეკულაციური დინამიკა, რომელიც ხშირად განსაზღვრავს ინვესტორთა ირაციონალურ ქცევას. მეოთხე, “მოკლევადიანობის ჰიპოთეზა” – ფინანსური ბაზრები აქტიურად იზიდავს სპეკულანტებს, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მოკლევადიან ოპერაციებზე. ფირმის მენეჯერები სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ ფინანსური ბაზრების მოკლევადიან ტენდენციებს. აქედან გამომდინარე, ისინი უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტაზე, ვიდრე სტრატეგიულ მიმართულებებზე. ამის მიზეზია ის, რომ მათი შრომა ნაზღაურდება ფირმების ფინანსური მანქვენებლებიდან გამომდინარე. მეხუთე, “ფინანსური არასტაბილურობის ჰიპოთეზა” – ავტორი აქ ემყარება ჰ. მინსკის თვალსაზრისს, რომ ეკონომიკური ბუმის დროს კრედიტი სულ

<sup>1</sup> Binswanger M. Co-evolution Between the Real and Financial Sectors: The Optimistic “New Growth Theory”. View versus the Pessimistic Keynesian View. 1999.



უფრო მეტად გამოიყენება სპეკულაციური ოპერაციების საწარმოებლად, ვიდრე რეალურ სექტორში სხვადასხვა პროექტის დასაფინანსებლად. ამის შედეგად იზრდება ფინანსური სტრუქტურების სიმყიფე და ბიზნეს-ციკლი მთავრდება ვალის გაუფასურებით, რაც იწვევს ეკონომიკის დაცემას.

ყველა ჩამოთვლილი ჰიპოთეზა ურთიერთკავშირშია და ახასიათებს უარყოფით კორელაციას ფინანსური სექტორის გაფართოებასა და რეალური სექტორის ზრდას შორის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარი დამოკიდებულება მუდმივი ხასიათისაა. ზემოაღნიშნული ჰიპოთეზები უპირატესად შეეხება კაპიტალისტური ეკონომიკის ევოლუციის იმ ეტაპს, როცა ფინანსური სექტორი იზრდება რეალური სექტორის ხარჯზე.

გლობალიზაციის ეპოქაში, რომელსაც ახასიათებს ფინანსური ბაზრების განუხრელი ლიბერალიზაცია და მზარდი ექსპანსიონიზაცია, სისტემური რისკებისა და ვალის დაგროვების პრობლემები არნახულად მწვავედება. გლობალური კაპიტალიზმის ფუნქციონირება სულ უფრო მეტად ემსგავსება გიგანტურ პონცი-სქემას: წარმოდგენილად ფართოვდება სპეკულაციური ოპერაციების, ნასესხები თანხებით აქციების გამოსყიდვის და ე.წ. “ჭუჭყიანი” ობლიგაციების მოცულობები. კაპიტალის ბაზარზე გაბატონებული განწყობები და მაქსიმალური მოგების მინიმალურ ვადებში მიღების სურვილი განსაზღვრავს როგორც ნაციონალური სახელმწიფოების, ასევე ტრანსნაციონალური კომპანიების ეკონომიკური სტრატეგიებს. საფინანსო, სადაზღვევო და უძრავი ქონების სექტორები სულ უფრო მეტად შორდება ეკონომიკის რეალურ განვითარებას. ეკონომიკის რეალური და ფინანსური სექტორების დიქტომია გლობალურ ხასიათს იძენს. კაპიტალიზმის სისტემური ფინანსური სიმყიფის ჰ. მინსკის თეორია გლობალურ ეკონომიკაზე ვრცელდება და გლობალიზაციის ეპოქის ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების მიზეზების, ხასიათის, შედეგების კვლევის თეორიულ ინსტრუმენტად იქცევა.

ამრიგად, ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისებზე კ. მარქსისა

და ჰ. მინსკის შეხედულებათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა. პირველი, ორივე მეცნიერი კრიზისებს მიიჩნევს არა კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე ეგზოგენური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, არამედ ამ სისტემისათვის იმანენტურად დამახასიათებელ მოვლენად; მეორე, ორივე მკვლევარი ეკონომიკური კრიზისების შესწავლაში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მონეტარულ ფაქტორს. კერძოდ, კრედიტისა და დავალიანების როლის ანალიზს; მესამე, კაპიტალიზმის კრიზისული ბუნების დაძლევის ერთადერთ გზად კ. მარქსი განიხილავს არსებული სისტემის რევლუციურ შეცვლას, ჰ. მინსკი კი საერთოდ არ აყენებს ამ პრობლემას; მეოთხე, კაპიტალიზმისათვის იმანენტურად დამახასიათებელი ეკონომიკური კრიზისების ანალიზში კ. მარქსი ძირითად აქცენტს აკეთებს მატერიალურ წარმოებაზე, ჰ. მინსკი კი – ფინანსების სფეროზე; მეხუთე, ჰ. მინსკის მიერ კაპიტალიზმის კრიტიკა, რომელიც უფრო ახლოა დღევანდელ სინამდვილესთან, შესაძლებელია გაერთიანდეს ორთოდოქსალური ლიბერალიზმის სხვა ალტერნატივებთან, მაგალითად, ი. შუმპეტერის ინსტიტუციური ცვლილებების ევოლუციურ თეორიასა და ნ. კონდრატევის ციკლის გრძელი ტალღების თეორიასთან. ამ გაერთიანების შედეგად საგრძნობლად ფართოვდება ჰ. მინსკის ფინანსური სიმყიფის თეორიის შემეცნებით-ანალიტიკური პოტენციალი.

**K. Marks and H. Minsky about  
Crisis Essence of Financial Capitalism**

*E Mekvabishvili*

The in-depth analysis of contemporary financial and economic crisis requires comparative description of the opinions suggested by the economists of different period and direction. The paper discusses

some views by K. Marks and H. Minsky regarding economic crisis and provides several conclusions. Both scientists consider economic crisis not as the result of the impact of exogenous factors on the functioning of capitalist economy, but as immanence of capitalism. In their studies K. Marks and H. Minsky pay considerable attention to monetary factors, such as credits and liabilities. K. Marks considers revolutionary change of existing capitalist system as the way of overcoming economic crisis. But H. Minsky thinks that the solution is the improvement of the functioning mechanism of capitalist economy.

The final conclusion of article is that combining Marks and Minsky's opinions makes it possible to investigate contemporary financial and economic crisis more precisely.

საქართველოს საერთაშორისო საბანკანაოთლებლო კავშირები – ეკონომიკაში ცოდნის სამკუთხედის მოღელის ფორმირების წინაპირობა

ინეზა ბაზნიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ქართველი კაცის განათლებისადმი განსაკუთრებული სწრაფვა ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იღებს სათავეს, რასაც ამ მცირერიცხოვანი ერის მიერ, მსოფლიოს 14 ანბანიდან ერთ-ერთის შექმნა მოყვა შედეგად. ერის განათლებისადმი აღნიშნულმა განწყობამ დიდ სირთულეებსა და ქარტყილებს გაუძლო მისი ისტორიის მანძილზე, თუმცა, ხშირად, სწორედ ეს მისწრაფება იყო მისთვის მხნედი.

დღეს, როცა განვითარებულ ქვეყნებში სამთავრობო პოლიტიკის დომინანტი ცოდნის ეკონომიკის მეშვეობით, ინოვაციური ეკონომიკისკენ გადაადგილდა, დღის წესრიგში დადგა „ცოდნის სამკუთხედის“ შემადგენელ მხარეებს შორის (განათლება, სამეცნიერო კვლევები და ინოვაცია (ბიზნესი)) ეფექტიანი კავშირის უზრუნველყოფა. ცოდნის სამკუთხედის ორი მხარეა, განათლება და სამეცნიერო კვლევები, რომელთა ეფექტიანი კავშირს დიდი როლი ენიჭება ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ხელშეწყობაში. აღნიშნულის გამო, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძლიერ კატალიზატორად სწორედ განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მიგვაჩნია. ამ მიმართულებით კი, თანამედროვე სტანდარტებამდე სწრაფი მისვლა, სწორედ ეფექტიანი საერთაშორისო კავშირებითაა შესაძლებელი. ასეთი კავშირები საქართველოში უკვე მრავლადაა.

2003 წელს ევროკავშირის ქვეყნებმა დაიწვეს უმაღლესი განათლების პროგრამების რეორგანიზაცია ახალი მიდგომის საფუძველზე, რომელსაც XVI საუკუნის ჰოლანდიელი ჰუმანისტის ერაზმ როტელამელის პატივსაცემად უწოდეს ერაზმუს მუნდუსი. დღეისათვის ერაზმუს მუნდუსი არის თანამშრომლობისა და მობილობის პროგრამა უმაღლესი განათლების სფეროში, რომელიც მიმართულია ევროპული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და ხელს უწყობს დიალოგსა და ურთიერთგაგებას ხალხებსა და კულტურებს შორის მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის საფუძველზე. ერაზმუს მუნდუსის 2009-2013 წლების მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 1 მლრდ ევროს<sup>1</sup>.

ერაზმუს მუნდუსის გარე თანამშრომლობის ფანჯარა, სამოქმედო მიმართულება 2, არის ევროკავშირის საგანმანათლებლო სქემა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების სფეროში თანამშრომლობის გამყარება ევროკავშირის ქვეყნების უნივერსიტეტებსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებთან. ამ პროგრამის შემადგენელი ნაწილია ლოტი 6<sup>2</sup>, რომელიც ფარავს სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, უნივერსიტეტების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას ევროკავშირის ქვეყნებში. აღნიშნული პროგრამა საშუალებას აძლევს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს, ასევე პოსტ-დოქტორანტებს სამხრეთ კავკასიიდან, აიმაღლონ ლინგვისტური, კულტურული და საგანმანათლებლო გამოცდილება ევროპაში აკადემიური სწავლით.

ერაზმუს მუნდუსის აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს 87 ბენეფიციარს I სამიზნე ჯგუფიდან<sup>3</sup>, 15 ბენეფიციარს II სამიზნე

<sup>1</sup> [http://eacea.ec.europa.eu/erasmus\\_mundus/tools/documents/emleaflet\\_en.pdf](http://eacea.ec.europa.eu/erasmus_mundus/tools/documents/emleaflet_en.pdf).p.1.  
<sup>2</sup> <http://www.erasmusmundus5.gr/>  
<sup>3</sup> I სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი რეგისტრირებული უნდა იყოს მესამე ქვეყნის რომელიმე პარტნიორ უმაღლეს სასწავლებელში. ბაკალავრიატის სტუდენტს წარმატებით უნდა ჰქონდეს დამთავრებული სულ მცირე ერთი სასწავლო წელი მაინც.

ჯგუფიდან<sup>1</sup> და 24 ბენეფიციარს III სამიზნე ჯგუფიდან<sup>2</sup>, სამხრეთ კავკასიის პარტნიორი და ასევე არაპარტნიორი ინსტიტუტებიდან, ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან.<sup>3</sup>

საქართველოდან ერაზმუს მუნდუსის პარტნიორობაში ჩართული არიან: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და გორის უნივერსიტეტი. ევროპული უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან პროექტის პარტნიორები არიან: თესალონიკის უნივერსიტეტი ათეი (საბერძნეთი), სვანხეას მეტროპოლიტენ უნივერსიტეტი (გაერთიანებული სამეფო), რომის საპიენზას უნივერსიტეტი (იტალია), ვიანა დო კასტელოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (პორტუგალია), რუსეს უნივერსიტეტი (ბულგარეთი), რეზეკენეს აუგუსტსკოლა (ლატვია) და ბრიუსელის ვრიჯის უნივერსიტეტი (ბელგია).

ერაზმუს მუნდუსის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში გარე თანამშრომლობის ფანჯრის პროექტით, 2010-2011 აკადემიური სასწავლო წელს საქართველოდან გათვალისწინებულია 18 ბაკალავრის, 15 მაგისტრანტის, 10 დოქტორანტის, 3 პოსტ-დოქტორანტისა და 4 აკადემიური პერსონალის მონაწილეობა.<sup>4</sup>

მნიშვნელოვანია ის საერთაშორისო კავშირები, რომელიც ჩამოყალიბდა ტემპუსის პროექტებში მონაწილეობით. ტემპუსი ევ-

<sup>1</sup> II სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი უნდა იყოს რეგისტრირებული ლოტით განსაზღვრული მესამე ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (რომელიც არ არის ჩართული პარტნიორობაში) ან ჰქონდეს საუნივერსიტეტო ხარისხი ან ამ მესამე ქვეყნის ინსტიტუტის ეკვივალენტური ხარისხი. მათ უნდა დაასაბუთონ - რა სარგებელს მისცემთ საზღვარგარეთ ყოფნა (და როგორ იმოქმედებს მათ სოციო-ეკონომიკურ გარემოზე) და ინდივიდუალურ განაცხადთან ერთად მოეთხოვებათ მხარაჭერის წერილები.  
<sup>2</sup> III სამიზნე ჯგუფისთვის სტუდენტი უნდა იყოს სამი ქვეყნიდან რომელიმე ეროვნების და წარმოადგენდეს სოციალურად დაუცველ ჯგუფს.  
<sup>3</sup> [http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com\\_content&view=article&id=18&Itemid=34](http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com_content&view=article&id=18&Itemid=34)  
<sup>4</sup> წყარო: [http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com\\_content&view=article&id=13&Itemid=29](http://www.erasmusmundus5.gr/index.php?option=com_content&view=article&id=13&Itemid=29)

როკავშირის პროგრამაა, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში. პროგრამა შეიქმნა 1990 წელს და მოქმედებს 27 ქვეყანაში.

ტემპუსი ითვალისწინებს პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ევროპული სტანდარტების დანერგვას, თანამედროვე სასწავლო პროგრამების შემუშავებას, უახლესი სასწავლო ლიტერატურით მომარაგებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას, უნივერსიტეტების მენეჯმენტის გაუმჯობესებას, საუნივერსიტეტო რეფორმას, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და განვითარებას, უნივერსიტეტის ბაზაზე არაკადემიური კადრების მომზადებას და სხვა აქტივობებს.

1996-2009 წლებში საქართველოში განხორციელდა ტემპუსის 31 პროექტი<sup>1</sup>. 1995 წლიდან ტემპუსის ფარგლებში, საქართველოსთვის გამოიყო 13 მლნ ევროზე მეტი.

2010 წელს საქართველოში მიმდინარეობდა ტემპუსის 12 პროექტი<sup>2</sup>, რომლებშიც საქართველოდან შემდეგი უნივერსიტეტები მონაწილეობენ: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი, წნორის კოლეჯი, ბათუმის საზღვაო აკადემია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო თანამშრომლობის ერთ-ერთი მიმართულებაა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები. საქსტატის მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში სასწავლებლად

<sup>1</sup> <http://www.tempus.ge/files/Tempus%20in%20Georgia%20-%20data%202009.pdf>.

<sup>2</sup> <http://www.tempus.ge/ge/currentprojects.html>

შემოვიდა (როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სასწავლებელში) 832 სტუდენტი (შესაბამისად: 452; 380), ხოლო საქართველოდან გაგზავნილი იქნა სულ 215 სტუდენტი (125; 90).<sup>1</sup>

საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო კავშირები ყველაზე დიდი მასშტაბით, თავს იყრის სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში. ფონდი დაარსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის ბრძანებით. იგი არის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) უფლებამონაცვლე.<sup>2</sup>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი პროექტებს აფინანსებს 10 სამეცნიერო მიმართულებით, ესენია: ქართველოლოგიის მეცნიერებები; ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური მეცნიერებები; საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები; საინფორმაციო ტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები; მათემატიკური მეცნიერებები; ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; სამედიცინო მეცნიერებები; დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები და გარემო; აგრარული მეცნიერებები.

2006-2009 წლებში საგრანტო კონკურსის ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 600-მდე სამეცნიერო პროექტი დაფინანსდა, საერთო ბიუჯეტით 25 მლნ ლარამდე.<sup>3</sup> პროექტების შეფასებაში მონაწილეობა მიიღო 1195 უცხოელმა და 35 ქართველმა ექსპერტმა.

2006-2009 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მსოფლიოს 52-ზე მეტ ქვეყანაში გასამგზავრებლად დაფინანსდა 311 მეცნიერი (საერთო ბიუჯეტი - 749303 ლარი). 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა კიდევ 70-მდე მეცნიერი მსოფლიოს 18 ქვეყანაში გასამგზავრებლად (საერთო ბიუჯეტი - 176855 ლ.).<sup>4</sup>

<sup>1</sup> [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=205&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=205&lang=geo)

<sup>2</sup> <http://www.mes.gov.ge/content.php?id=80&lang=geo>

<sup>3</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=23&id=423](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=423)

<sup>4</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=23&id=432](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=432)



საკონფერენციო გრანტების კონკურსით 2008-2010 წლებში დაფინანსდა 10 საგრანტო კონფერენცია.<sup>1</sup>

მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მათი სამეცნიერო პროექტების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, 2007-2009 წლებში დასაფინანსებლად შეირჩა 134 პროექტი (10 სამეცნიერო მიმართულებით), საერთო ბიუჯეტით 1812522 ლარი.<sup>2</sup>

უცხოეთში ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების საგრანტო პროექტის ფარგლებში 2009 წელს კონკურსი გამოცხადდა 4 სამეცნიერო მიმართულებით და დაფინანსდა 3 მეცნიერი საერთო ბიუჯეტით - 26906 ლარი. 2010 წელს კონკურსი გამოცხადდა 8 მიმართულებით, დაფინანსდა 16 მეცნიერი საერთო ბიუჯეტით - 137 953 ლარი.<sup>3</sup>

საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის სრულყოფილი განვითარებისთვის აუცილებელია წამყვანი ქვეყნების აკადემიურ სფეროსთან თანამშრომლობის გააქტიურება, გამოცდილების გაზიარება, ერთობლივ კვლევებში ჩართულობის გაზრდა და სხვა. ამ მიმართულებით საქმიანობის განხორციელების მიზნით ფონდი აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან, კერძოდ: ფონდში ფუნქციონირებს NATO-ს პროგრამის "მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის" (NATO SPS) ეროვნული საინფორმაციო ბიურო, რომელიც ახორციელებს პროგრამის შესახებ შესაბამის ინფორმაციას ავრცელებს და ქართველ მეცნიერთა საკონსულტაციო დახმარებას ეწევა.<sup>4</sup>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი ახორციელებს ერთობლივ „ბიზნეს-პარტნიორობის პროგრამას“, რომლის მიზანია

<sup>1</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=23&id=427](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=427)

<sup>2</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=23&id=430](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=430)

<sup>3</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=23&id=429](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=23&id=429)

<sup>4</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=37&id=483](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=37&id=483)

გამოავლინოს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე სამეცნიერო პროექტები, ხელი შეუწყოს მათი ავტორების კოოპერაციას ადგილობრივ საწარმოებთან, სტიმული მისცეს ახალი ტექნოლოგიების გადაცემას და მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებას.<sup>1</sup>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და უკრაინის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი ახორციელებენ ერთობლივ „მიზნობრივი ინიციატივების პროგრამას“. პროგრამით გათვალისწინებულია ერთობლივი კონკურსის ორგანიზება, რომლის მიზანია საქართველოში გამოყენებითი კვლევების დონის ამაღლება, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნასთან დაკავშირებულ სამეცნიერო თემებში ადრე დაკავებული ქართველი მეცნიერების ჩართვა მშვიდობიან/კონვერსიულ პროექტებში, უცხოელ კოლეგებთან თანამაშრომლობის გაფართოება.<sup>2</sup>

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი ახორციელებენ ერთობლივ „საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამას“, რომლის ფარგლებშიც სრულდება ერთობლივი სამეცნიერო პროექტები სამ პრიორიტეტულ სფეროში: მათემატიკა, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები, დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები. 2011 წლის გაზაფხულზე იგეგმება პროგრამის ფარგლებში მეორე ერთობლივი კონკურსის გამართვა.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, როგორც საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის უფლებამონაცვლე, დაკავშირებულია იტალიის კვლევების ეროვნულ საბჭოსთან - „შეთანხმებით სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ“.<sup>3</sup> ფონდი ასევე მონაწილეობს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის სამეცნიერო სექტორის მუშაობაში.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

<sup>1</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=37&id=482](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=37&id=482)

<sup>2</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=37&id=481](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=37&id=481)

<sup>3</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic\\_id=37&id=479](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=detals&topic_id=37&id=479)

მონაწილეობს ევროკავშირის კომისიის მიერ ევროკავშირის კვლევისა და განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ორ პროექტში:

1. „აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში“ (IncoNetEECA). პროექტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთი ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეცნიერთა კოოპერაციის გაღრმავებას ევროკავშირის ქვეყნებთან და მეცნიერების პოლიტიკის ჰარმონიზაციას, ერთობლივი კვლევების ხელშეწყობას, ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას, რეგიონის მეცნიერთა მე-7 ჩარჩო პროგრამაში მონაწილეობის ხელშეწყობას და სხვა. პროექტში მონაწილეობს 21 ქვეყნის 23 ორგანიზაცია. ხანგრძლივობა შეადგენს 54 თვეს (2008 წლის იანვარი – 2012 წლის ივნისი);

2. „შავი ზღვის რეგიონში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების დამყარება“, პროექტის ძირითადი მიზანია შავი ზღვის აუზის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის ამაღლება, ეროვნული პროგრამების ურთიერთკოორდინაცია, ერთობლივი რეგიონული კონკურსის ორგანიზება, რეგიონისთვის სამეცნიერო პროგრამის მომზადება. პროექტში მონაწილეობს 13 ქვეყნის 17 ორგანიზაცია, ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს (2009 წლის იანვარი – 2011 წლის დეკემბერი).<sup>1</sup>

დაწვებულია მოლაპარაკებები გერმანიის სამეცნიერო ფონდთან სამეცნიერო-ტექნოლოგიური თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადების თაობაზე. ასევე გააქტიურებულია მუშაობა საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრთან სამეცნიერო და ტექნოლოგიური ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადების მიმართულებით.<sup>2</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მყარი საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო კავშირები საქართველოში უკვე სახეზეა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კავშირები მთლიანად საქართველოს მასშტაბითაა განფენილი, რასაც მიუთითებს საერთაშორისო პროექტებში მონაწილე რეგიონული უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ჩამონათვალი.

<sup>1</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=details&topic\\_id=37&id=478](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&page=details&topic_id=37&id=478)

<sup>2</sup> [http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&topic\\_id=37](http://www.rustaveli.org.ge/index.php?module=topic&topic_id=37)

ეს რეგიონებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას გაცვლით გაამარტივებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მიგვაჩნია, რომ:

- აუცილებელია შემუშავდეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგია მისი იმ დარგების გამოყოფით, რაშიც ქვეყანას აქვს რეგიონში კონკურენტული უპირატესობები (განათლება და მეცნიერება; მედიცინა; სოფლის მეურნეობა; ტრანსპორტი; ტურიზმი);

- აუცილებელია განისაზღვროს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის ნაწილი და მასთან თავსებადი;

- განათლებისა და მეცნიერების განვითარების პოლიტიკა უნდა შემუშავდეს მრავალი მიმართულებით, კერძოდ: განათლება განათლებისთვის, განათლება როგორც ბიზნესი, განათლება – მეცნიერების საერთაშორისო კვლევებში ჩასართავად; განათლება ქვეყნის პრიორიტეტული დარგების მიხედვით (მედიცინა; სოფლის მეურნეობა; ტრანსპორტი; ტურიზმი; ასევე თითოეული მათგანის მრავალი ქვე-მიმართულება). აღნიშნულის შესახებ ჩვენ ადრეც ვწერდით<sup>3</sup>:

- პირველ ეტაპზე უნდა განისაზღვროს ცოდნის სამკუთხედის სამი მხარის (განათლება, მეცნიერება, ინოვაცია-ბიზნესი) მიხედვით პრიორიტეტულ დარგებში არსებული რგოლები;

- იმ დარგებში, სადაც არ იქნება ცოდნის სამკუთხედის მოდელის შემადგენელი მხარეები, უნდა დაიგეგმოს მათი შექმნა. იქ კი, სადაც სამკუთხედის სამივე მიმართულებით ფუნქციონირებენ სუბიექტები, ხელი უნდა შეეწყოს მათ შორის ეფექტიანი კავშირების ჩამოყალიბებას და კლასტერების აგებას;

<sup>3</sup> ი. გაგნიძე, კლასტერების ინიციატივები ევროპაში და საქართველო, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბ., №1, 2010, გვ.81-90; ი. გაგნიძე, განათლება და მეცნიერება საქართველოში მსოფლიო და გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების ასპექტით, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები“, თსუ, ნოემბერი, 2010 წ., გვ. 15-19.



- კლასტერში სინერგიული ეფექტების მიღება სწრაფად მიმდინარეობს. აქ ფორმალური და არაფორმალური განათლება ერთმანეთს ავსებს, ბიზნესის დასაწყებად ბარიერები დაბალია, ინვესტიციები მიზანმიმართულად შემოდის, განათლება მაღლდება, დასაქმება იზრდება და დარგის განვითარებას მდგრადი ხასიათი აქვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემთხვევაში, ეფექტობით, გაცილებით სწრაფად შეიძლება მიღწეული იქნეს დასაქმების დონის ამაღლება, ინვესტიციების მოზიდვა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც დღეს საქართველოს მთავრობას აქვს პრიორიტეტებად აღიარებული.

### International Educational Relations of Georgia - a Prerequisite for the Formation of Knowledge Triangle

#### I. Gagnidze

The article deals with the educational and scientific relations of Georgia. Namely, the country's participation in Tempus and Erasmus Mundus programs, international relations of Shota Rustaveli Science Foundation and materials of Geostat about international student mobility.

Proceeding from the above, we may conclude that strong international educational and scientific relations in Georgia are already a reality. It is noteworthy that these links cover the whole territory of Georgia. Involvement of regional Universities and Institutes in international projects confirms this.

The analysis of the current situation shows that working out the economic development strategy of the country focusing on the industries, in which the country has regional competitive advantages (education and science, medicine, agriculture, transport, tourism) is essential; According to this strategy the integrated multi-level policy of education and science development (by priority industries) should be designed. The situation in priority industries should be assessed against the three dimensions of knowledge triangle (education, science, innovation and business). The dimensions of knowledge triangle model should be created in those industries, where they do not exist; where the agents operate in the three parts of the triangle, formation of effective ties and clusters among them should be encouraged; Within clusters synergies are gained quickly and formal and informal education is combined together. The barriers of starting business are low, investment inflows are purposeful, knowledge is deepened, employment grows and the development of industries is stable.

## ინფორმაციის სწავლების კონსექტუალური საკითხები

ინეზა ბაზნიძე

თსუ ასოცირებული პროფესორი,  
ეკონომიკისა და ბიზნესში ინფორმაციული  
ტექნოლოგიების  
კათედრის ხელმძღვანელი,

XX საუკუნის დასასრულისთვის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში განათლების სისტემის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მისი ინფორმაციზაცია წარმოიხინდა. ამასთანავე, ისიც ცხადია, რომ ინფორმაციზაცია განათლების რეფორმის არა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი, არამედ ურთულესი მრავალფუნქციური და მრავალპლანიანი კომპონენტია. განათლების სისტემა წარმოადგენს საზოგადოების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების ეფექტიან საშუალებას. იგი საზოგადოების მართვის უძლიერესი მსოფლმხედველობრივი საშუალება და იარაღია. თითქმის დღევანდელ ეპოქამდე ყველა ხელისუფლება ცდილობდა შეენარჩუნებინა კონტროლი განათლებაზე და ჩამოეყალიბებინა მისთვის პრიორიტეტული სისტემა. თანამედროვე გლობალურმა ინფორმაციზაციამ და შესაბამისად ინფორმაციულ-კომუნიკაციური სისტემების უსწრაფესმა გავრცელებამ, ინფორმაციისა და შესაბამისად განათლებაზე მონოპოლიის პირობები მოშალა, ხოლო თვით ინფორმაციისა და ცოდნის "ძალაუფლება", პირიქით, გაძლიერდა<sup>1</sup>.

ზოგადი ფორმა, ინფორმაციზაციის არსებითი პროცესების კვლევისა შესაძლებელია წარიმართოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- ინფორმაციული პროცესების უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების შესწავლა;
- საზოგადოებისა და ბუნების მოვლენების შესწავლა ინფორ-

<sup>1</sup> ლავგილავა ე. განათლების როლი ინფორმაციულ საზოგადოებაში. სამეცნიერო შრომების კრებული, "მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველო". თბ., 2009, გვ.223-228.

მატიკის თანამედროვე მეთოდებითა და საშუალებებით;

➤ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით პროფესიული ამოცანების გადაწყვეტის მეთოდებისა და ხერხების დაუფლება;

➤ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება შემეცნების, სწავლების, პროფესიის დაუფლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სფეროში.

ინფორმაციის სწავლების სფეროში მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით, ინფორმაცია განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც სასწავლო პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერის მნიშვნელოვანი პირობა, ეფექტიანი პედაგოგიური ინსტრუმენტი, სრულფასოვანი განათლების მიღების აუცილებელი საშუალება, არამედ როგორც მეტადისციპლინა.

ფართო გაგებით, განათლების ინფორმაციზაცია გულისხმობს განათლების შინაარსის გადახედვას, მის რადიკალურ ცვლილებებს ყველა დონეზე საზოგადოების ინფორმაციზაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით<sup>1</sup>. ეს ცვლილებები ორიენტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ინფორმაციის სწავლების სფეროზე, არამედ შესასწავლი დისციპლინების სტრუქტურის, მათი შინაარსისა და მოცულობის ოპტიმიზაციაზე, რაც ხელს შეუწყობს სპეციალისტის ახალ საინფორმაციო სფეროში საქმიანობისთვის საჭირო უმნიშვნელოვანესი მახასიათებლების ფორმირებასა და სრულყოფას.

ინფორმაციის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი ძირითადი მახასიათებლები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

1. მრავალსაგანიანობა. ინფორმაცია აერთიანებს მრავალ დისციპლინას, რომელთაც ხშირად არც გააჩნიათ ჩამოყალიბებული, მკვეთრი საზღვრები და შესაბამისად, ადგილი აქვს თემებისა და საკითხების მეტ-ნაკლებად დუბლირებას სხვადასხვა დისციპლინაში;

2. ინფორმაცია მოიცავს, როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიურ, ასევე პრაქტიკულ-გამოყენებით დისციპლინებს, რაც გარკვეულწილად ართულებს ინფორმაციის სწავლების ერთიანი, სისტემური, პედაგოგიური და მეთოდოლოგიური საფუძვლების დამუშავებას;

<sup>1</sup> ლაგვილაშვილი ე., ხაინდრავა რ. ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების სრულყოფის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ ზე შრომები III., 2007, გვ.114-120.

3. ინფორმაცია ისწავლება ნებისმიერი საფეხურის, დონისა და ტიპის სასწავლებლის ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე, რაც აყენებს დამატებით მოთხოვნებს სწავლების მექანიზმებითობისა და დარგობრივი დიფერენცირების თვალსაზრისით;

4. ინფორმაციის დისციპლინები ორადი ხასიათისაა: ერთი მხრივ, ინფორმაციის დისციპლინები ცალკე შესწავლის საგნებია, ხოლო მეორე მხრივ, დამხმარე საშუალებაა სხვა დისციპლინების შესასწავლად;

5. ინფორმაციული ტექნოლოგიების მრავალფეროვნების, ვიწრო მიმართულებებისა და გამოყენებით ამოცანებთან მისი მაქსიმალურად დაახლოების გამო, ხშირად იშლება ზღვარი სპეციალობათა პროფესიულ და ინფორმაციის დისციპლინებს შორის.

ზემოაღნიშნულმა თავისებურებებმა განაპირობა შემდეგი გარემოებები:

– ინფორმაცია ჯერ კიდევ განიხილება როგორც უპირატესად ზოგადსაგანმანათლებლო სფერო;

– ინფორმაციის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური აპარატის ჩამოყალიბება არ არის დამთავრებული;

– არ არის შექმნილი ინფორმაციის დისციპლინათა საგანმანათლებლო სტანდარტები.

ამასთან, უკანასკნელ წლებში აშკარად შეიმჩნევა ინფორმაციის დისციპლინათა “თეორიულიდან პრაქტიკულად გამოყენებითისკენ”. ტრანსფორმირების ტენდენცია. სწავლების სფეროში დამკვიდრებული ტერმინი “ინფორმაცია” ბოლო პერიოდში შეიცვალა საგნობრივი სფეროების ან ცალკეული დისციპლინების აღმნიშვნელი ტერმინებით: ეკონომიკური ინფორმაცია, ბიზნეს-ინფორმაცია, ბიოლოგიური ინფორმაცია, ფარმაცევტული ინფორმაცია, იურიდიული ინფორმაცია და ა.შ. ხოლო უკანასკნელ წლებში კი “ინფორმაციას” ცვლის ტერმინი “ინფორმაციული ტექნოლოგიები”, რომელმაც შეიძინა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული დატვირთვა, ხოლო საგნობრივ-პრაქტიკული მიმართულებების აღმნიშვნელია “ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკაში”, “ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიოლოგიაში” და ა.შ. ეს ტენდენციაც მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაციის დისციპლინების სწავლების, მისი შინაარსისა და სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ამრიგად, დღის წესრიგში დგას ინფორმაციის ტრადიციული

კურსების სწავლების კონცეფციის გადასინჯვის აუცილებლობა. მიზანშეწონილია, რომ ინფორმატიკის კურსის განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტიული მიმართულებები განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემა. მიუხედავად ამ პრობლემის შესწავლისა და განვითარების შესახებ მრავალი, განსხვავებული შეხედულების არსებობისა, მას გააჩნია ძირითადი გამაერთიანებელი იდეა: მოსწავლეთა აზროვნებაში ინფორმატიკის მეთოდოლოგიური როლის შეცვლა, მისთვის ისეთი ფუნდამენტური დისციპლინის როლის მინიჭება, რომელიც დიდ წვლილს შეიტანს მსოფლოს თანამედროვე ინფორმაციული სურათის ფორმირებაში. სწორედ აღნიშნული იდეა უნდა დაედოს საფუძვლად ინფორმატიკის დისციპლინების სწავლების კონცეფციის სრულყოფას.

ინფორმატიკის სწავლების თანამედროვე კონცეფცია – ეს არის ინფორმატიკის მიზნების, ამოცანების, როლისა და დანიშნულების გააზრება განათლების თანამედროვე სისტემაში; ინფორმატიკის მიზნების, მისი არსის, მთავარი იდეის გადმოცემა კურსის შინაარსში და მათი რეალიზაციის ხერხების განსაზღვრა. აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა ექვემდებარება არა იმდენად ზუსტი, ფორმალისტული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას, რამდენადაც წამყვანი მეცნიერ-პედაგოგების მიერ შემოთავაზებულ, ხშირად საკმაოდ განსხვავებულ აზრებსა და დებულებებს.

ზემოაღნიშნულმა განაპირობა, რომ ინფორმატიკის სწავლების ერთიანი, ზოგადი, სრულყოფილი კონცეფცია ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. კონცეფციის ერთიანობა და ზოგადობა გულისხმობს ინფორმატიკის კურსის შინაარსისა და სტრუქტურის განსაზღვრას, მის წარმოდგენას სხვადასხვა დისციპლინის ერთობლიობის სახით, აღნიშნული დისციპლინების გადანაწილებას სწავლების სხვადასხვა საფეხურზე: დაწყებითი, საბაზო, პროფესიული, სპეციალიზებული და უმაღლესის შემდგომი.

ინფორმატიკის სწავლების ერთიანი სისტემის კონცეფციის სრულყოფისთვის აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრა:

- კონცეფციის განახლება-სრულყოფის მიზეზებისა და მიზნების დადგენა, განახლების პრინციპული და აქტუალური მიმართულებების განსაზღვრა;
- ინფორმატიკის კავშირის გარკვევა სხვა სასწავლო დისცი-

პლინებთან, ინფორმატიკის როლისა და ადგილის განსაზღვრა მთლიან სასწავლო გეგმაში, დისციპლინათშორისი კავშირების გამოვლენა;

- დისციპლინის შინაარსისა და სტრუქტურის განსაზღვრის პრინციპების ჩამოყალიბება;

- კურსის სტრუქტურის განსაზღვრა სწავლების საფეხურებისა და პროფილების გათვალისწინებით;

- სათანადო ცვლილებების შეტანა საკანონმდებლო ბაზაში. კერძოდ: სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტების შექმნა-კორექტირება; კურსდამთავრებულთა სპეციალიზაციების მიხედვით ინფორმატიკის სფეროში მათი მომზადების დონის მოთხოვნების განსაზღვრა, საბაზო განათლების შინაარსის დაზუსტება;

- სასწავლო პროცესების ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;

- ძირითადი მოთხოვნების ჩამოყალიბება ახალი პროგრამებისა და გეგმების, სასწავლო-მეთოდიკური მასალების, კომპიუტერული უზრუნველყოფის მიმართ;

- ინფორმატიკის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების განსაზღვრა.

შევნიშნავთ, რომ ჩვენი კვლევის მიზანია არა ინფორმატიკის სწავლების არსებული კონცეფციების ანალიზი და მათგან შედარებით ეფექტიანის შერჩევა, არამედ დასაბუთება იმისა, რომ აუცილებელია ინფორმატიკის სწავლების მეთოდის თვისებრივად ახალი, ერთიანი კონცეფციისა და სასწავლო კურსებში მათი რეალიზაციის ხერხების შემუშავება. ასეთი კონცეფციის ფარგლებში ახლებურად უნდა გავიაზროთ და შევაფასოთ ინფორმატიკის კურსის დანიშნულება, როლი და ადგილი სწავლებისა და განათლების ერთიან სისტემაში, მისი განვითარების ნებისმიერ ეტაპზე.

ინფორმატიკის სწავლების ახალ კონცეფციაში ცალკე უნდა გამოიყოს განათლების სფეროს ინფორმატიზაციის პრობლემა. უეჭველია, რომ განათლების პერსპექტიულ სისტემაში წამყვანი როლი მიენიჭება ინფორმაციულ კომპონენტებს. რადგანაც დღევანდელ სტუდენტებს საქმიანობა მოუწევთ ინფორმაციულ საზოგადოებაში, სადაც პრიორიტეტი მიენიჭება ფუნდამენტურ ცოდნას საზოგადოებასა და ბუნებაში ინფორმაციული პროცესების შესახებ, ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს<sup>1</sup>. ამასთან დაკავშირებით, მეტად აქტუალურია ახალი თაობის პედაგოგიური კადრების მომზადება ინფორმატიკაში. იკვეთება

ინფორმაციის სპეციფიკური მიმართულება – პედაგოგიკური ინფორმაცია. მისი განვითარება ხელს შეუწყობს ისეთი პრობლემების ეფექტიან გადაწყვეტას, როგორცაა:

- საგანმანათლებლო დაწესებულებათა აღჭურვა ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებით და მათი გამოყენება ახალი პედაგოგიკური ინსტრუმენტების სახით, რაც არსებითად აამაღლებს საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანობას;

- საგანმანათლებლო პროცესის ინფორმაციული მხარდაჭერისთვის თანამედროვე ინფორმაციის საშუალებათა, ინფორმაციული სატელეკომუნიკაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების გამოყენება, პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ინფორმაციის მოძიების გაადვილება;

- დისტანციური სწავლების განვითარება და მისი როგორც სწავლებისა და თვითსწავლების რეალიზაციის ახალი მეთოდის სულ უფრო ფართოდ გამოყენება;

- განათლების შინაარსის გადასინჯვა და სისტემური ცვლილებების განხორციელება მის ყველა დონესა და საფეხურზე საზოგადოების ინფორმაციზაციის სწრაფი განვითარების კვალობაზე. ინფორმაციის სწავლება უნდა განვიხილოთ როგორც განათლების ინფორმაციზაციის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის სხვა კომპონენტებთან ურთიერთკავშირით.

ინფორმაციის სწავლების ახალი კონცეფციის შემუშავების აუცილებლობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მსოფლიოში ინფორმაციისა და ინფორმაციზაციის სფეროში წარმოშობილი შემდეგი გარემოებებით:

- ინფორმაციის სწავლებაში აქცენტირება გადადის ინფორმაციული (კომპიუტერული) ტექნოლოგიების მიმართულებით. ინფორმაციის შესწავლის ძირითადი მიზანი უკვე აღარ არის “კომპიუტერული წიგნიერების” ფორმირება;

- სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში ინფორმაციის დისციპლინების შინაარსი მეტწილად წარმოდგენილია პროფესიული ინფორმაციის თემატიკით, ე.ი. შეიცვალა ინფორმაციის, როგორც მეცნიერული ცოდნის დარგის შინაარსი;

<sup>1</sup> ლაგვილაძე ე., ხაინდრავა რ. განათლება და პროფესიული მომზადება ინფორმაციული ეკონომიკის პირობებში, ჟურნ. „ეკონომიკა“, № 9-10., 2006, გვ.129-137.

- განათლების ინფორმაციზაციის მეშვეობით იზრდება ინფორმაციის, როგორც თანამედროვე ადამიანის არა მხოლოდ ზოგადი განათლების, არამედ მისი პროფესიული კომპეტენტურობის უმთავრესი მახასიათებლის მნიშვნელობა.

ნებისმიერი საგანმანათლებლო სფეროს კომპონენტების ერთობლიობა განისაზღვრება იმ საბაზო დებულებებით, რომელთა საფუძველზეც იგი შედის განათლების საერთო სისტემის შემადგენლობაში. ასეთი საბაზო დებულებების ფორმულირება წარმოადგენს ნებისმიერი კონცეფციის აგების ერთ-ერთ უმთავრეს ეტაპს. ინფორმაციის სწავლების კონცეფციისათვის საბაზო დებულებებად უნდა ჩაითვალოს:

- სასწავლო კურსის მიზნები, მისი კონკრეტიზება სწავლების ყოველი საფეხურის მიხედვით, აგრეთვე, ამ მიზნების ცვლილებათა შესაძლო მიმართულებები;

- შედეგები, რომლებიც უნდა იქნეს მიღწეული კურსის ათვისების საფუძველზე.

უახლესი ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე, დღევანდელი ინფორმაციული საზოგადოების პირობებში, ინფორმაციის კურსის ძირითადი მიზნები ყველაზე ზოგადი სახით შეიძლება შემდგენიარად ჩამოვყალიბოთ: საზოგადოების განვითარების დღევანდელი ეტაპის – ინფორმაციული საზოგადოების შესაბამისი, პიროვნების ინფორმაციული კულტურის, მისი განვითარებისა და თვითდამკვიდრებისთვის ინფორმაციასთან მუშაობის უნარ-ჩვევების, როგორც ადამიანის საერთო კულტურის განუყოფელი კომპონენტის ფორმირება.

ინფორმაციის სწავლების მიზნები გამომდინარეობს განათლების სისტემის ძირითადი სტრატეგიული მიზნებიდან. მათგან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი:

- სპეციალისტის ახალი ინფორმაციული კულტურის ფორმირება, რაც წარმოადგენს სოციალური, პროფესიული და ეთიკური ქცევის ნორმების ერთობლიობას XXI საუკუნის ადამიანთა ცხოვრების მაღალავტორიტეტულ ინფორმაციულ გარემოში;

- თანამედროვე ერთიანი მეცნიერული მსოფლმხედველობის ფორმირება, რომელიც ემყარება ბუნებასა და საზოგადოებაში ძირითადი ინფორმაციული კანონებისა და პროცესების ერთიანობას. ამასთანავე აღიარებს ინფორმაციის წარმმართველ როლს ბუნებრივი და სოციალური სისტემების ევოლუციურ პროცესებში;



– საზოგადოების ინტელექტუალური ფენის მომზადება სამეცნიერო კვლევების ახალი მეთოდოლოგიის ასათვისებლად, რომლის საფუძველი იქნება ინფორმაციული მიდგომა, როგორც ბუნების, ადამიანისა და საზოგადოების შემეცნების ფუნდამენტური მეთოდი;

– მომზადება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციული საზოგადოების პირობებში პროფესიულ ზრდას, მობილობას, ახალი მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების ათვისებას;

– პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილისა და როლის, შრომითი პროცესების ინფორმაციული შედგენილობის შესახებ შეხედულებათა ფორმირება.

ინფორმაციის სწავლების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი საკითხია მიზნის მიღწევის საშუალებათა განსაზღვრა. საშუალებებში, უწინარესად, იგულისხმება ინფორმაციის დისციპლინათა სტრუქტურა და შინაარსი. დისციპლინათა სტრუქტურა წარმოადგენს ინფორმაციის სასწავლო ციკლის შედგენილობას იერარქიულ-საკლასიფიკაციო სტრუქტურის სახით: სამეცნიერო მიმართულება (დისციპლინათა ჯგუფი) —> სასწავლო დისციპლინა —> სასწავლო მოდული (განყოფილება) —> სასწავლო თემა<sup>1</sup>.

ინფორმაციის სწავლების მიზნების მისაღწევად, ზემოაღნიშნული სტრუქტურულ-შინაარსობრივი მიდგომის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგანმანათლებლო სფერო – “ინფორმაციის” დაყოფა შემდეგ კომპონენტებად:

– ზოგადი ინფორმაცია (ინფორმაციის საფუძვლები) – მეცნიერება ინფორმაციისა და ინფორმაციული პროცესების შესახებ, ამ პროცესების ფორმალიზაციისა და ავტომატიზაციის შესაძლებლობებისა და საშუალებების შესახებ;

– ინფორმაციის დამუშავების ტექნიკური და პროგრამული საშუალებები, კომპიუტერული, საორგანიზაციო და საკომუნიკაციო საშუალებები, სისტემური პროგრამული უზრუნველყოფა;

– ინფორმაციული (კომპიუტერული) ტექნოლოგიები, როგორცაა გამოყენებითი პროგრამული საშუალებები, ინფორმაციის აღქმის, შენახვის, გადაცემის, დამუშავების ტექნოლოგიები; ავტომატიზებული სამუშაო ადგილები; ინფორმაციული სისტემები; მო-

<sup>1</sup> ლაგვილაძე ე. ინფორმაციის სასწავლო დისციპლინების შინაარსის ფორმირების შესახებ. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ №5, 2009, გვ.57-68.

ნაცემთა ბაზები;

– სოციალური ინფორმაციის საფუძვლები – მეცნიერება ეროვნული ინფორმაციული რესურსების რაციონალური გამოყენების, საზოგადოებისა და პიროვნების ინფორმაციული უსაფრთხოების, ელექტრონული მმართველობის (მთავრობის, სახელმწიფოს) შესახებ.

ინფორმაციის ციკლის დისციპლინების ათვისების შედეგად მოღებული ცოდნა და კომპეტენციები წარმოადგენს ინფორმაციული კომპეტენციების საფუძველს. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ახალი წიგნიერება, რომელიც ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის აქტიური, დამოუკიდებელი, სრულყოფილი დამუშავების, არასტანდარტულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღების უნარს.

უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულს, სპეციალისტს, რომელიც შეისწავლის ინფორმაციული დისციპლინების სრულ კურსს, სწავლების დონეების მიხედვით (დაწყებითი კურსიდან საუნივერსიტეტო კურსებით დამთავრებული), მათი შემკვიდრებლობის გათვალისწინებით, უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა, კომპეტენცია:

– ზოგადი ინფორმაციული განათლების სფეროში: ინფორმაციის არსისა და როლის გაგება ინდივიდისა და მოტივანად საზოგადოების განვითარებაში; მსოფლიოს თანამედროვე ინფორმაციული სურათის ფორმირებაში მისი მნიშვნელობის, ასევე ინფორმაციული პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებათა ცოდნა მისი ყოველდღიურ საქმიანობაში გათვალისწინების მიზნით; ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების (ინფორმაციულ-ანალიტიკური საქმიანობა) ჩვევების ფლობა;

– ინფორმაციულ-შემეცნებითი საქმიანობის სფეროში: ინფორმაციული მიდგომის არსის რეალიზაცია ნებისმიერი სისტემის, პროცესის კვლევისას; ძირითადი ინტელექტუალური ოპერაციების (ანალიზი, შედარება, განზოგადება, სინთეზი, ინფორმაციის ფორმალიზება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლინება) ცოდნა; სისტემურ-ანალიტიკური და ალგორითმული აზროვნების სტილის ფორმირება; იდეების გენერირებისა და მათი განხორციელების საშუალებათა განსაზღვრის უნარი;

– ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საქმიანობის სფეროში: ფორმალური ენების გამოყენების თავისებურებათა, თანამედროვე

კომუნიკაციის საშუალებათა და კავშირგაბმულობის ძირითადი არხების მახასიათებლების, საკომუნიკაციო ურთიერთობების ეთიკური ნორმებისა და სამართლებრივი ინფორმაციის ძირითადი ნორმების ცოდნა;

- ტექნოლოგიურ-პროგრამული ცოდნის სფეროში: ნებისმიერი საქმიანობის ორგანიზაციისადმი ტექნოლოგიური მიდგომის არსის გაგება; საინფორმაციო საქმიანობის ავტომატიზებული ტექნოლოგიების თავისებურებათა ცოდნა; სხვადასხვა ინფორმაციული ტექნოლოგიის საერთო-საბაზო, უნიფიცირებული ოპერაციების, მათი პროგრამული უზრუნველყოფის ცოდნა;

- ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში: ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავებისათვის განკუთვნილი ტექნიკური მოწყობილობების მუშაობის პრინციპების ცოდნა; გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა თაობების, გამოთვლითი (კომპიუტერული) ქსელების მახასიათებლებისა და განვითარების პერსპექტივების, სატელეკომუნიკაციო სისტემების ბაზრის მდგომარეობის, ზოგადი დანიშნულების სისტემური პროგრამული საშუალებების შესაძლებლობათა ცოდნა;

- სოციალური ინფორმაციის სფეროში: საზოგადოებრივი საინფორმაციო რესურსებით სარგებლობის ცოდნა, პირადი პასუხისმგებლობა მის დაცვაზე; გავრცელებული ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებლობისთვის მზადყოფნა; პიროვნებისა და საზოგადოების ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვა.

ჩამოთვლილი კომპონენტების ერთობლიობა წარმოადგენს იმ საერთო ცოდნას ინფორმაციის სფეროში, რომელიც არაა ორიენტირებული კონკრეტულ პროფესიაზე (საგნობრივ სფეროზე) და შეიძლება ჩაითვალოს ინფორმაციის ზოგადმეთოდოლოგიურ საბაზო ცოდნად. ინფორმაციის სრული სასწავლო კურსი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული კომპეტენციის დაუფლებას სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, განსხვავებული სიღრმისეული მოთხოვნებით. ინფორმაციის საერთო დისციპლინების (ზოგადი უნივერსალური კომპეტენციების მიღება) შესწავლა უნდა დამთავრდეს ბაკალავრიატში სწავლების I-IV სემესტრში (I-II კურსზე).

აღნიშნული კომპეტენციების დასაუფლებლად, უმეტეს შემთხვევაში, საჭიროა რამდენიმე დისციპლინის ან მოდულის შესწავლა.

ამ დისციპლინებისა და მოდულების ზოგადი სქემა ასეთია: საზოგადოების ინფორმაციის საფუძვლები (სოციალური ინფორ-

მატიკა); გამოთვლითი და საინფორმაციო ტექნიკის საფუძვლები; კომპიუტერული ქსელები; ალგორითმიზაცია და პროგრამირება; კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა; საოფისე პროგრამები; ინტერნეტი და ვებტექნოლოგიები. ჩამოთვლილი დისციპლინები და მოდულები გამარტივებულად შეისწავლება საბაზო და პროფესიული განათლების ეტაპებზე.

უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს ზემოაღნიშნული მოდულების, ან მათი გარკვეული ნაწილის გადრმავებული სწავლება სპეციალობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დღეისათვის, მნიშვნელოვნად მიგვანია უმაღლეს სასწავლებლებში ინფორმაციის საბაზო კურსის გადრმავებული სწავლებიდან გადასვლა სწავლების თვისებრივად ახალ, პროფესიულ დონეზე. აღნიშნულის განხორციელებას, ვფიქრობთ, 3-5 წელი მაინც დასჭირდება, რადგან მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს ზრუნვისა, ამ სფეროს რადიკალურად გაუმჯობესებისთვის (პროგრამა “ირმის ნახტომი”, პირველკლასელთათვის “ნოუთბუკების” საჩუქრად გადაცემა და სხვა), საჯარო სკოლები (გარკვეული გამონაკლისის გარდა) ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის რამდენადმე სრულყოფილი საბაზო განათლების მიცემას ინფორმაციის სფეროში. შესაბამისად, კურსი აღებულ უნდა იქნეს ინფორმაციის დისციპლინების ისეთი მიმართულებების ჩამოყალიბებაზე, როგორცაა: პროფესიულ სფეროში ინფორმაციული მოდელირება; პროფესიულ საქმიანობაში ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების გამოყენების პრობლემურ-თეორიული საკითხების შესწავლა; პროფესიული ამოცანების მომზადების, გადაწყვეტილებების მიღებისა და რეალიზაციის პროცესების ინფორმაციული და კომპიუტერული უზრუნველყოფა.

ინფორმაციის დისციპლინათა სწავლების ბოლო ეტაპზე, სწავლება უნდა წარიმართოს ბაკალავრიატში სწავლების V-VIII სემესტრში (III-IV კურსი) და შესაძლებელია მაგისტრატურაში – I სემესტრში (I კურსი). ამ ეტაპზე უნდა მოხდეს ძირითადი კომპეტენციების დაუფლება პროფესიული ინფორმაციის სფეროში.

პროფესიული ინფორმაციის კურსი შედგება ძირითადად რამდენიმე დისციპლინის ან მოდულისაგან. დისციპლინების



ჩამოყალიბება და მათი შინაარსის ფორმირება რთული და მრავალფუნქციური სამეცნიერო-პედაგოგიური და მეთოდური პრობლემაა, რომელიც დღეისთვის არასაკმარისადაა შესწავლილი. ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ამ სფეროში ერთიანი საგანმანათლებლო სტანდარტები და უმთავრესად დომინირებს სუბიექტური ფაქტორები. პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავება ამ სფეროში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების გათვალისწინებით. აღნიშნული სამუშაოების წარმატებით შესრულებისთვის აუცილებელია ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საგნობრივი სფეროს სპეციალისტთა მჭიდრო თანამშრომლობა. ასეთი თანამშრომლობა განსაკუთრებით ეფექტურია პირველ ეტაპზე – დისციპლინათა სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესში. მეორე ეტაპზე ხდება ცალკეული დისციპლინებისა და თემების შინაარსის ჩამოყალიბება, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებს პედაგოგი – პროფესიული (ეკონომიკური, სამედიცინო, ბიოლოგიური და ა.შ.) ინფორმაციის სპეციალისტი.

უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინების, მოდულებისა და ზოგიერთი მსხვილი თემების ჩამონათვალი გარკვეულწილად პირობითია. შესაძლებელია სასწავლო დისციპლინებში მათი ასახვა სხვა კონფიგურაციით, მიმდევრობითა და დასახელებით, მხოლოდ შინაარსის უცვლელობის პირობით. მაგალითად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე პროფესიული ინფორმაციის ასპექტით მიზანშეწონილია შემდეგი დისციპლინების ან მოდულების სწავლება:

– საფაკულტეტო საგნები: ეკონომიკური ინფორმაციის შესავალი, ბიზნეს ინფორმაციის შესავალი, ეკონომიკური საინფორმაციო სისტემები, საინფორმაციო სისტემები ბიზნესში. მათი ათვისებით სტუდენტი მიიღებს ზოგად თეორიულ, ასევე ნაწილობრივ პრაქტიკულ გამოცდილებას იმ დონეზე, რომ შემდგომ ეტაპზე მან თავისუფლად შეძლოს კონკრეტულ სპეციალობაში დასმული ამოცანების გადაწყვეტისთვის გამოსაყენებელი ინფორმაციული ტექნოლოგიების ღრმად და ძირფესვიანად ათვისება;

– საგნები ვიწრო სპეციალობების მიხედვით გადრმავებული სწავლებისთვის: ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკაში, სტატისტიკაში, მენეჯმენტში, ბიზნესში, მარკეტინგში, საბანკო-საფინანსო საქმიანობაში და ა.შ., რაც ძირითადად ორიენტირებული იქნება ვიწრო სპეციალობის სფეროში პრაქტიკულ-გამოყენებითი ამოცანების

გადაწყვეტაზე თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ეკონომისტის ან ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტისთვის აუცილებელი ძირითადი კომპეტენციების სრულყოფილად შექმნა.

პროფესიული ინფორმაციის შინაარსისა და სტრუქტურის მეცნიერულად დასაბუთებული და ეფექტური პროექტის შესაქმნელად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კურსის ამოცანების ჩამოყალიბებას. პროფესიული ინფორმაციის კურსის ამოცანებში უნდა მოხდეს საერთო სტრატეგიული მიზნებისა და სასურველი შედეგების დაკონკრეტება. პედაგოგიაში დამუშავებულია ამ პროცესის რეალიზაციის მეტნაკლებად ფორმალიზებული, შედარებით უნივერსალური სისტემა (მაგ. ე.წ. ბლუმის ტაქსონომია). თუმცა, აუცილებელია კურსის კონცეფციაში ძირითადი ამოცანები გამოიკვეთოს სისტემატიზებული, თანმიმდევრული სახით. სწორედ ამ პუნქტების დეტალიზაციით ხდება სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავება.

კურსის ამოცანების ერთობლიობის გამაერთიანებელ ცნებას წარმოადგენს კურსის სტრატეგიული მიზნები, რაც ნიშნავს, რომ ყოველი ამოცანის გადაწყვეტა ხელს უწყობს, აახლოებს მიზნის მიღწევას. მიზნების პუნქტებად ჩამოყალიბებისას ძირითად კრიტერიუმად შეიძლება მივიღოთ კურსის შესაბამისობა ძირითად კომპეტენციებთან, მათი ასახვის სისრულე. ასეთი მიდგომის საფუძველზე ინფორმაციის კურსის ძირითადი ამოცანები შეიძლება შემდგომად ჩამოყალიბდეს:

– ცოდნის დარგობრივი სფეროს ძირითადი ცნებების შესწავლა, მაგ., როგორცაა: ინფორმაცია, ინფორმაციული პროცესი, საინფორმაციო სისტემა, სისტემის მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგია, ინფორმაციული მოდელი, ინფორმაციული რესურსები, ინფორმაციული პოტენციალი, საინფორმაციო სივრცე, ინფორმაციული უსაფრთხოება;

– სხვადასხვა ბუნების სისტემაში ინფორმაციული პროცესების საერთო კანონზომიერებათა განსაზღვრა, მათი ავტომატიზაციის შესაძლებლობებისა და საშუალებების გარკვევა;

– კომუნიკაციის, როგორც ინფორმაციული პროცესის გაგება. ფორმალიზებული (აღგორითმული) ენების როლის განსაზღვრა საკომუნიკაციო სისტემებში;

– ინფორმაციის ფორმალიზებისა და სტრუქტურირების პრინციპების, აზროვნების ძირითადი ლოგიკური ოპერაციების, ინფორმაცია-

სთან რაციონალური მუშაობის ხერხების გაცნობა, ინფორმაციისადმი კრიტიკული დამოკიდებულების უნარის გამომუშავება, მისი კრიტიკული შეფასების კრიტერიუმების გაცნობა;

– შემეცნების ისეთი ძირითადი მეთოდების გაცნობა, როგორცაა: ინფორმაციული მიდგომა, სისტემურ-ინფორმაციული ანალიზი, ინფორმაციული მოდელირება, კომპიუტერული ექსპერიმენტი. აზროვნების, მართვისა და საქმიანობის სისტემურ-ანალიტიკური, და ალგორითმული სტილის განვითარება;

– შესასწავლი ობიექტების ინფორმაციული მოდელების აგების, ობიექტის შესახებ ახალი ინფორმაციის მიღების მიზნით მათი ანალიზის, გარდაქმნის უნარის გამომუშავება;

– გადასაწყვეტი ამოცანისთვის საჭირო ინფორმაციის შენახვის, მოძებნის, გადასაწყვეტის ორგანიზების უნარის ფორმირება, უპირატესად ტექნიკური საშუალებებისა და სატელეკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით;

– პროფესიული ამოცანების გადაწყვეტაში არსებული სტანდარტული პროცესებისა და პროცედურების, ტექნიკური და ტექნოლოგიური მოდელების გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება;

– უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის, მათი შეფასების, შერჩევისა და გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება, ტექნოლოგიების ახალი ვერსიებისა და ახალი ტექნოლოგიების დროული ინტეგრაცია-ადაპტირება;

– აუცილებელი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა მსოფლიოში არსებული საინფორმაციო-საძებნი და საცნობარო სისტემებიდან;

– თანამედროვე კომპიუტერული და ინფორმაციის სხვა ტექნიკური საშუალებების მუშაობის პრინციპების, ძირითადი სამომხმარებლო მახასიათებლების, შესაძლებლობების შესწავლა. ამ მონაცემებიდან გამომდინარე გადასაწყვეტი ამოცანების კლასის შეფასება, ეკონომიკური და სხვა ეფექტის დასაბუთების შესაძლებლობა;

– ინფორმაციული საქმიანობის სფეროში მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების, პიროვნებისა და საზოგადოების ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის პრინციპების გაცნობა;

– საინფორმაციო საზოგადოების პირობებში მუშაობის, სახელმწიფოებრივი ინფორმაციული რესურსებით სარგებლობის, გაგრძელებული ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებლობის თავისებურე-

ბებისა და ძირითადი ტენდენციების გაცნობა.

ჩამოთვლილი ამოცანების სისტემა წარმოადგენს ინფორმაციის კურსის შინაარსის ფორმირების ძირითად საფუძველს. კურსის შინაარსის ფორმირება იმავდროულად არის დამოუკიდებელი პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური პრობლემა, რომლის ეფექტიანად გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის სწავლების კონცეფციების ყოველმხრივი შესწავლისა და სრულად ჩამოყალიბების შემდეგ. ეს უკანასკნელი მოითხოვს ინფორმაციის სხვა სასწავლო დისციპლინებთან კავშირის, მისი პედაგოგიური ფუნქციების, თავისებურების, სასწავლო კურსის მთლიან სისტემაში მისი ადგილისა და როლის განხილვას.

ინფორმაციის კურსის სწავლების პედაგოგიური ფუნქციების ანალიზი შესაძლებელია სისტემური მიდგომის საფუძველზე. რადგანაც ინფორმაციის კურსი წარმოადგენს მთლიანი განათლების სისტემის ქვესისტემას, მისი ფუნქციების ზოგადი, საწყის დონეზე განხილვა შესაძლებელია საგანმანათლებლო სისტემის განზოგადებული ფუნქციების მიხედვით. მაგ. შემდეგი სქემის საფუძველზე:

– მოსწავლეთა ყოველმხრივი (ინტელექტუალური, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური) განვითარება;

– თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრებისა და საქმიანობისთვის მომზადება; განათლების გაგრძელებისთვის მომზადება. მომდევნო დონეზე თითოეული ზემოაღნიშნული ფუნქციის მიხედვით უნდა ჩამოყალიბდეს ინფორმაციის სწავლების განზოგადებული ფუნქციები. შემდგომ დონეებზე ფუნქციები ეტაპობრივად დაკონკრეტდება და საბოლოოდ მთავრდება ცალკეული დისციპლინის ფუნქციების ჩამოყალიბებით. შესაძლებელია ფუნქციები ჩამოყალიბდეს დისციპლინების ცალკეული მოდულის (თემების) მიხედვითაც. განსაკუთრებით ეს შეეხება ისეთ სტანდარტულ, “ფართო პროფილის” მოდულებს, როგორცაა ოპერაციული სისტემები, საოფისე მოდელები, ინტერნეტ-ტექნოლოგიები გამოყენებითი პროგრამების პაკეტი და სხვა.

შევნიშნავთ, რომ ინფორმაციის როლი და ადგილი ტრადიციული სასწავლო კურსების სისტემაში განისაზღვრება არა მხოლოდ მისი მიზნებით, ფუნქციებითა და ამოცანებით, არამედ სასწავლებლების, ძირითადად აკადემიური პერსონალის პედაგოგიურ საქმიანობაში მათი რეალიზაციის შედეგებითაც. ამ მიმართებით შესაძლებელია მსჯელო-

ბა ინფორმატიკის დისციპლინათშორის, ინტეგრალურ თვისებებზე. ინფორმატიკის, ისევე როგორც მათემატიკის, ინტეგრაციული თვისებები სულ უფრო ღრმავდება. ეს თვისებები განისაზღვრება ინფორმატიკის, როგორც მეცნიერების დარგის ფუნდამენტურობის გაძლიერებითა და მისი შესწავლის ობიექტის ინტეგრაციული ხასიათით, ინფორმატიკის როლით სასწავლო პროცესის ინფორმატიზაციაში.

ინფორმატიკის დისციპლინათშორისი კავშირების რეალიზაციას უზრუნველყოფს ინფორმატიკის კურსის სასწავლო დებულებები, ხოლო ამოცანები და სიტუაციები უნდა იქნეს განიხილული სხვა დისციპლინებთან კავშირით, რაც უზრუნველყოფს მათ შეწავლას დამატებით “ინფორმაციული” კუთხით. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს მოსწავლის (სტუდენტის) ცოდნის გაღრმავებასა და სისტემატიზაციას, წარმოშობს ახალ ასოციაციურ კავშირებს.

ინფორმატიკის სწავლების კონცეფციის ჩამოყალიბება-სრულყოფაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

- კომპიუტერი ერთდროულად წარმოადგენს შესწავლის ობიექტს, სწავლების საშუალებასა და შემეცნების ინსტრუმენტს;

- კომპიუტერული ინფრასტრუქტურისა და ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარების გამო პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური მასალები სწრაფად ძველდება და საჭირო ხდება კომპიუტერული პერიოდიკისა და საცნობარო მასალების გამოყენება;

- პროგრამული უზრუნველყოფისა და სამომხმარებლო ინტერფეისის განუხრელი სრულყოფის გამო უნარ-ჩვევები, რომელიც გამომუშავებულია ერთ-ერთი მათგანის მიმართ, აფერხებს მომდევნო ვერსიების შესწავლას, რაც მოითხოვს პროგრამული უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპებისა და კონკრეტული პროდუქტის შესწავლის გონივრული თანფარდობის დაცვას;

- ინფორმატიკის, როგორც დინამიკური კურსის სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა მოითხოვს პედაგოგისგან უწყვეტ, სისტემატურ პროფესიულ სრულყოფას, კვალიფიკაციის ამაღლებას უმთავრესად თვითგანათლების გზით;

- კომპიუტერთან ინდივიდუალურ მუშაობაზე ორიენტაცია მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსწავლის დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციის როლს.

საბოლოო ანგარიშით, ინფორმატიკის დისციპლინათა სასწავლო კურსების დახვეწა-აპტიმიზაცია უნდა განხორციელდეს იმ

მიმართულებით, რომ მაქსიმალურად იქნეს შესაძლებელი ინფორმატიკის სწავლებისა და ინფორმატიზაციის ძირითადი მიზნების დაკმაყოფილება. საჯარო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლესის შემდგომი სწავლების ეტაპებზე ინფორმატიკის სწავლების კონცეფციები უნდა დაიხვეწოს და გადაამუშავდეს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირით.

შემოთავაზებული კონცეფციის რეალიზაციის შედეგად ინფორმატიკის დისციპლინათა სწავლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც თეორიულ ცოდნასთან ერთად ექნებათ თანამედროვე ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოყენების პრაქტიკული უნარი. მათ უნდა შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების ინფორმატიზაციასა და საკუთარ საგნობრივ სფეროში საქართველოს საინფორმაციო რესურსების შექმნასა და განვითარებაში.

## CONCEPTUAL ISSUES OF TEACHING INFORMATICS

E. LAGVILAVA

Recognizing informatics as a fundamental science causes the changes in its methodical teaching as well as in its didactic aspects. We should define more exactly and realize the main aspects of concept of teaching informatics: the goals of teaching, tasks, functions, the role and its place in the whole educational system.

Nowadays, in the age of information society, the main goal of teaching the course of informatics is formation of adequate culture of a person, formation of habits of using information for a person's development and self-assertion which are the inseparable and indispensable components of a person's common culture.

The common-strategic goals and the desirable consequences should be defined concretely in the tasks of the course. The list of suggested tasks reflects comparatively independent subject's sphere of informatics. Above mentioned task's system represents the fundamentals for a new input in informatics and makes it easier to break this course into separate disciplines, modules, themes or variations.

Optimization and refinement of disciplines of informatics studies should be maximally oriented at the consequences of teaching at public schools, higher educational institutions and post graduate studies. The concepts of teaching informatics should be refined, improved and brought closer to each other. There is an

argumentative judgment of defining the concrete functions of informatics according to the levels of teaching and subject sphere, the integral and interdisciplinary character of informatics is also highlighted in the article.

As a consequence of realization of represented concept the system of informatics study should ensure the preparation of professionals with both theoretical and practical knowledge. Technology based education should bring researchers and practitioners together.

The function of the course of Informatics should be realized differently, it should be discussed in the context of educational system in the country.

ინფლაციის თარგმთირების პოლიტიკური ას-  
პექტები სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში

არჩილ იაკობაშვილი  
ივ. ჯავახიშვილის თსუ დოქტორანტი

ორვალუტიანი მონეტარული სისტემის სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ბაზარზე ორიენტირებულ მონეტარულ პოლიტიკასთან. თავის მხრივ, ბაზრის მონაწილეთა ინსტიტუციონალურ დამოუკიდებლობასთან უშუალო კავშირშია ნებისმიერი ქვეყნის როგორც საგარეო-ეკონომიკური (სავალუტო კურსის სტაბილურობა, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია), ასევე შიგა-ეკონომიკური (ფისკალური პოლიტიკა, სტრუქტურული რეფორმები) პოლიტიკის მიზნები. ე.ი. მონეტარული პოლიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია, რომლის ძირითადი ამოცანაა შესაბამისი ინსტრუმენტებით მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველყოფა (იხ. სქემა 1).

მონეტარული სტაბილიზაციის პოლიტიკური მიმართულებები<sup>1</sup>

სქემა 1

| მიმართულება                          | ობიექტი                        | ინსტრუმენტი                   | ინდიკატორი             |
|--------------------------------------|--------------------------------|-------------------------------|------------------------|
| რაოდენობრივი პოლიტიკა                | ეროვნული (M) ვალუტის მიწოდება  | ღია ბაზრის (R) განაკვეთი      | მიწოდების ინფლაცია     |
| ციკლური პოლიტიკა (ლიკვიდობის მართვა) | ეროვნული (L) ვალუტაზე მოთხოვნა | რეფინანსირების (RF) განაკვეთი | მოთხოვნის ინფლაცია     |
| ფისკალური პოლიტიკა                   | სენიორაჟი (SG)                 | ინფლაციური (IT) გადასახადი    | საბიუჯეტო ინფლაცია     |
| სავალუტო პოლიტიკა                    | უცხოურ (F) ვალუტაზე მოთხოვნა   | სავალუტო (S) კურსი            | იმპორტირებული ინფლაცია |

<sup>1</sup> Mishkin, Frederic. "Monetary Policy Strategy," 2007, The MIT Press, p. 109-



ული სტაბილიზაცია” გულისხმობს სტატიკურ წონასწორობას (იხ. ფორმულა 1.1) ეკონომიკის მონეტარულ სექტორში, ხოლო მრავალპერიოდთან მოდელში სავალუტო სუბსტიტუციის (2) გათვალისწინებით ამ წონასწორობის სტაბილურ დინამიკას (ე.ი. ბალანსი მონეტარულ მიწოდებასა და მონეტარულ მოთხოვნას – ლიკვიდობას - შორის).

$$M_t^G \begin{pmatrix} \overline{m}_t^G ; \overline{a}_t^G ; \overline{R}_t^G ; \overline{R}_t^G ; \overline{S}_t^G ; \overline{\Omega}_t^G \end{pmatrix} = L_t^G \begin{pmatrix} \overline{P}_t^G ; \overline{Y}_t^G ; \overline{R}_t^G \end{pmatrix} \quad (1.1)$$

ემპირიულად როგორც სტატიკური, ასევე დინამიკური წონასწორობები ეკონომიკური სუბიექტებისთვის შეიცავს ნაკლებ ინფორმაციას მონეტარულ სექტორში არსებული მდგომარეობის შესახებ. მხოლოდ ეროვნულ ბანკს მიუწვდება ხელი ყოველდღიურ ინფორმაციაზე ფულის მასისა და ლიკვიდობის შესახებ, ხოლო მეცნიერები ცდილობენ გამოიკვლიონ ის თეორიული კანონზომიერებები, რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში უფრო ნათელს გახდის მონეტარულ აგრეგატებს შორის მოსალოდნელი გადახრისა და შესაბამისად უწონასწორობის სავარაუდო მიზეზებს.<sup>2</sup>

ეკონომიკური სუბიექტებისათვის გაცილებით უფრო ხელშესახებია ფასების დინამიკის მიხედვით მონეტარული სექტორის მდგომარეობაზე გარკვეული დასკვნების გაკეთება. როგორც ფირმებს, ასევე მომხმარებლებს ყოველდღიური შეხება აქვთ ფასებთან, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ინფლაციის, როგორც უმთავრესი მაკროეკონომიკური სიდიდის უნივერსალურობას მათ შორის პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ამის გამო, ინფლაცია წარმოადგენს მონეტარული სტაბილიზაციის მთავარ პოლიტიკურ ინდიკატორს და იმავდროულად მისი დონე განსაზღვრავს ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობის ხარისხს ეროვნული

<sup>1</sup> Mishkin, Frederic. “Monetary Policy Strategy,” 2007, The MIT Press, p. 109-131.

ბანკისათვის.

შესაბამისად, მონეტარული დამოუკიდებლობა გულისხმობს ეროვნული ბანკის არჩევანს ინფლაციის შესახებ და არა მონეტარული წონასწორობის დონის შესახებ, და ამას ადასტურებს ცენტრალური ბანკების თანამედროვე პრაქტიკაც.

ინფლაციის უმთავრესი თვისებაა ის, რომ იგი ფაქტობრივად მოქმედებს როგორც გადასახადი ფულის მასაზე, ხოლო ინფლაციის განაკვეთი არის არსებული ფულადი მასის დაბეგვრის განაკვეთი. საგადასახადო ტვირთი იმ დანაკარგის ნომინალური ღირებულების ტოლფასია, რომელსაც ფულის მასა განიცდის ინფლაციის პირობებში. შესაბამისად, ინფლაციური გადასახადი საფუძვლად უდევს მონეტარული სტაბილიზაციის ისეთ ინდიკატორს, როგორცაა საბიუჯეტო ინფლაცია და რომელთანაც დაკავშირებულია მონეტარული სტაბილიზაციის ფისკალური მხარე. ამრიგად, ფინანსთა სამინისტროსაც მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება მონეტარულ პოლიტიკაში როლების განაწილების პროცესში, რის გამოც სტაბილიზაციის პოლიტიკა არ გამორიცხავს ისეთ მონაწილეებსაც, რომელთათვისაც, პირიქით, სასარგებლოა ფულის მასის დაბეგვრით მიღებული შემოსავლები (ე.წ. ინფლაციური გადასახადი). ამ შემთხვევაში საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა არაკონვენციონალური გადასახადების ხარჯზე აუცილებლად აისახება მონეტარული დამოუკიდებლობის ხარისხის შემცირებაში.<sup>1</sup>


მონეტარული პოლიტიკის ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა წარმოადგენს მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველყოფის აუცილებელ წინაპირობას და ეფუძნება მასზე პასუხისმგებელი დაწესებულების (შემდგომში, ეროვნული ბანკის) თავისუფლებას მიზნების განსაზღვრისა და ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელი ინსტრუმენტების შერჩევის პროცესში.

მონეტარული დამოუკიდებულების ხარისხსა (პორიზონტა-

<sup>2</sup> Bernanke, Ben. “Inflation Targeting: Lessons from the International Experience,” 2011, The Princeton University Press, p. 26-38.

ლურ ღერძზე) და ინფლაციას (ვერტიკალურ ღერძზე) შორის კავშირი დადებითია და ეკონომიკები უფრო დაბალი ინფლაციით გამოირჩევიან მონეტარული დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხით (იხ. სქემა 2). მიუხედავად ამისა, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) ანალიზი უჩვენებს, სავალუტო სუბსტიტუციის პირობებში გამორიცხულია ეროვნული ბანკის სრული დამოუკიდებლობა თუნდაც ისეთი დაბალი ინფლაციის ეკონომიკებში, როგორებიც არის შვეიცარია (ფრანკი – როგორც ეროვნული, ევრო – როგორც პარალელური ვალუტა) და კანადა (კანადური დოლარი – როგორც ეროვნული, აშშ დოლარი – როგორც პარალელური ვალუტა).

ინფლაცია და მონეტარული დამოუკიდებლობა<sup>1</sup>



სსფ-ის ანალიზის მიზანი იყო მონეტარულ დამოუკიდებლობასა და ინფლაციას შორის ტრენდის გამოკვლევა დოლარიზაციის პირობებში 1975-2005 წლის მონაცემების (საშუალო-წლიური ინფლაცია) საფუძველზე 60 ქვეყნის ეკონომიკისთვის (მათ

<sup>1</sup> International Monetary Funds. "Dollarization Report," 2007.

შორის შვეიცარია, კანადა, იზრაელი, მექსიკა, არგენტინა, ბრაზილია, პოლონეთი, რუსეთი, თურქეთი, ინდოეთი, კორეა, ინდონეზია, მალაიზია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და ა.შ.).

სსფ ვლევის შედეგები საინტერესოა, აგრეთვე, იმ კუთხით, რომ რიგ ეკონომიკაში მონეტარული დამოუკიდებლობა მხოლოდ ქაღალდზე დეკლარირებულ პოლიტიკურ პოსტულატს წარმოადგენს, ე.ი. ფასების სტაბილურობის მიზანი პოლიტიკურ დონეზე არის აყვანილი. თუმცა, რეალობაში ეროვნული ბანკების თავისუფლება საკმაოდ შეზღუდულია, რაც ანტიინფლაციურ პროგრამებს ნაკლებად ეფექტიანს ხდის, ეს კი ეროვნულ ვალუტას ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის უცხოური ვალუტის წინაშე და ეკონომიკურ სუბიექტებს სავალუტო სუბსტიტუციის გაზრდისკენ უბიძგებს.

საქართველო არ არის იმ 60 ქვეყანას შორის, რომელთა მონეტარული სისტემაც განხილულია სსფ-ის ყოველწლიურ მოხსენებაში დოლარიზაციის შესახებ. ამ ფაქტის მთავარი მიზეზი სავარაუდოდ უნდა იყოს სტატისტიკური ანალიზისთვის აუცილებელი მონაცემების სიმწირე, რამდენადაც ის საქართველოში მხოლოდ 1995 წლიდან მოიპოვება. მიუხედავად ამისა, სსფ-ის კვლევის შედეგები ერთმნიშვნელოვნად ასახავს უარყოფით კავშირს მონეტარული დამოუკიდებლობის ხარისხსა და ინფლაციას შორის, რომლის მოლოდინიც საკმაოდ ახლოს არის საქართველოს მონეტარულ სისტემასთან.

ინფლაციის უარყოფითი კავშირი მონეტარული დამოუკიდებლობის ხარისხთან წარმოადგენს მონეტარული სტაბილიზაციის აქსიომას, რაც უცვლელია სავალუტო სუბსტიტუციის პირობებშიც. მეტიც, რადგან ინფლაცია წარმოადგენს სავალუტო სუბსტიტუციის უმთავრეს მონეტარულ მიზეზს, ლოგიკური იქნებოდა კითხვის დასმა, თუ რამდენად დადებითია კავშირი სავალუტო სუბსტიტუციის კოეფიციენტსა და მონეტარული დამოუკიდებლობის ხარისხს შორის.

2009 წლიდან "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ"



მოქმედი ორგანული კანონი პირდაპირ განსაზღვრავს “ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას” (მუხლი 3.1), რაც ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი დონის არსებობას გულისხმობს. 2010-2012 წლებისთვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი შეადგენს 6%-ს, რომლის უზრუნველყოფაზე კონტროლი ე.წ. “ინფლაციის თარგეთირებით” ხორციელდება.

1990-იანი წლებიდან ინფლაციის თარგეთირება წარმოადგენს ცენტრალური ბანკების პრაქტიკას, რომელიდანაც მიღებული შედეგები მონეტარულ სტაბილიზაციაზე პასუხისმგებელ ორგანოებს (აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა: ღია ბაზრის კომიტეტი, ევროპის ცენტრალური ბანკი: მმართველი საბჭო; საქართველოს ეროვნული ბანკი: მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი) ეხმარება მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციაში.<sup>1</sup>

აქვე მიზანშეწონილია, მოკლედ მიმოვიხილოთ საქართველოს ეროვნული ბანკის ბოლო წლების გამოცდილება ინფლაციის თარგეთირების პროცესში. ამის მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად რეალურად ასერხებს ეროვნული ბანკი ინფლაციის კომპონენტების პროგნოზირებას და მის საფუძველზე როგორც ფულადი მასის კონტროლს, ასევე ლიკვიდობის მართვასა და უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის რეგულირებას.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის თარგეთირება დაიწყო 2008 წლიდან. თარგეთირების ფარგლებში აქცენტი გაკეთებულია ინფლაციის პროგნოზირებაზე, რომელიც ეფუძნება ეკონომეტრიკულ მოდელს (იხ. ფორმულა 2.1). ეს მოდელი, თავის მხრივ, შეიცავს რეგრესიულ ანალიზს, რომლის განტოლებაში, მოდელის ავტორების თანახმად “აგრეთვე, შედის “სეზონური და სტრუქტურული ცვლილებების აღსაწერად.”<sup>2</sup>

$$+ 0,006 \cdot \Delta \theta_{T-1}^E + 0,087 \cdot \Delta P_{T-1}^E - \underbrace{\left( \rho_{T-1}^E - 0,2 \cdot S_{T-1} - 0,8 \cdot M_{T-1}^E + 0,9 \cdot Y_{T-1}^E - 5,8 \right)}_{ECM}$$

<sup>1</sup> Mishkin, Frederic. “Monetary Policy Strategy,” 2007, The MIT Press, p. 89-108.

<sup>2</sup> <http://www.nbg.ge/index.php?m=349>

სადაც,  $\pi_T^E$  – ინფლაცია დროის  $T$ -მომენტიში;  $S_{T-n}^{GL}$  – ნომინალური სავალუტო კურსი დროის  $T$ -მომენტიდან  $n$  კვარტალურად წინა პერიოდების  $(n)$  მიხედვით;

$M_{T-n}^{GL}$  – ფულის მასა  $(M2)$  დროის მომენტიდან  $n$  კვარტალურად წინა პერიოდების  $(n)$  მიხედვით;

$Y_{T-n}^{GL}$  – ეროვნული შემოსავალი დროის  $T$ -მომენტიდან  $n$  კვარტალურად წინა პერიოდების  $(n)$  მიხედვით;

$P_{T-1}^{GL}$  – სამომხმარებლო ფასების  $(CPI)$  ინდექსი;

$OP_{T-1}^{GL}$  – ნავთობის ფასების ინდექსი მსოფლიო ბაზარზე  $(n=1)$ ;

$FP_{T-1}^{GL}$  – საკვები პროდუქტების (ხილ-ბოსტნეულის) ფასი  $(n=1)$ ;

$ECM$  – წარმოადგენს რეალური სექტორის პარამეტრს, რომელიც მისი გრძელვადიანი წონასწორობის ამსახველ კომპონენტებს შეიცავს.


ამასთან, მოდელის განმარტებაში მითითებულია, რომ მასში შემავალი მაკროეკონომიკური სიდიდეების ლოგარითმული მონაცემები ექვემდებარება ნორმალურ განაწილებას, რაც თითქოს რეგრესიის კოეფიციენტების უცვლელობაში აისახება, თუმცა როგორც თავად რეგრესიის ანალიზმა უჩვენა, ალბათობის ნორმალური განაწილება პირობითი დაშვებაა, რომლის შენარჩუნება ხდება მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი მსგავსი დამატებითი დაშვებების დახმარებით.

მაგალითად, კონკრეტულად 2010 წლის მეორე კვარტლისთვის ინფლაციის პროგნოზმა (იხ. აგრეთვე, სურათი 1) 90%-იანი ნდობით

შეადგინა  $\left\{ \exp(\pi_T^{GL}) \approx 6,8 \% (YoY) \right\}$ . ამასთან, აღნიშნული შედეგი

მიღწეულ იქნა დამატებითი დაშვებების საფუძველზე, რომლებიც ეხებოდა ფულადი მასის  $\{ \exp(\Delta M 2_T^{GL}) \approx +25,8\% (YoY) \}$  ზრდას, ეროვნული შემოსავლის ზრდას  $\{ \exp(V_T^{GL}) \approx +4,4\% (YoY) \}$ , ნომინალური გაცვლის კურსის  $\{ \exp(S_T) \approx 1.7577(US / GL) \}$  პროგნოზსა და მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასის  $\{ \exp(OPT^{US}) \approx 85.8(US) \}$  პროგნოზს.

ინფლაციის პროგნოზი (2010 წლის მე-2 კვარტლისთვის)<sup>1</sup>  
სქემა 3



2010 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში წლიური ინფლაციის ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა შესაბამისად 5,6% ; 4,0% ; 3,7% შეადგინა და მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლისგან. გადახრები დაფიქსირდა, აგრეთვე, იმავე წლის 1. კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებელსა  $\{ \exp(\pi_T^{GL}) \approx 3,6 \% (YoY) \}$  და ფაქტობრივ მაჩვენებლებს (იანვარი: 2,7% ; 5,6% : 5,8%) შორის.

მოდელის არასრულყოფილობაა ის, რომ პროგნოზის შედეგები უჩვენებს ცდომილებებს იმ მონაცემებისაგან, რაც იმავე პერიოდისათვის რეალურად დაფიქსირდა. მოდელის არასრულყოფილობას განაპირობებს შემდეგი ფაქტორების გაუთვალისწინებლობა:

<sup>1</sup> <http://www.nbg.ge/index.php?m=349>.

- ეროვნული ეკონომიკის მიერ წარმოებული პროდუქციის ხარჯები - ე.წ. საწარმოო ფასების ინდექსი - საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ხოლო ეროვნული შემოსავლის რეალური ზრდა გაითვალისწინება მხოლოდ დამატებითი დაშვების პირობებში;

- ეკონომიკის დაკრედიტება, რის გამოც ლიკვიდობის მონაცემი, რომლისგანაც გამომდინარეობს მაკრო-მოთხოვნაზე დამოკიდებული ინფლაციის კომპონენტი, საერთოდ არ ღებულობს მონაწილეობას ინფლაციის პროგნოზირებაში;

- დოლარიზაციის კოეფიციენტი, რომელიც, მოდელისგან დამოუკიდებლად, მართალია, ცალ-ცალკე გამოითვლება როგორც მთლიანად ფართო ფულისთვის, ასევე ანაბრებისა და საკრედიტო პორტფელისთვის, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აისახება ინფლაციის პროგნოზირების მოდელში;


- საბიუჯეტო ხარჯები<sup>1</sup>, რაც, განსაკუთრებით გრძელვადიან ეკონომიკურ დროში, ინფლაციური გადასახადის ფორმით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფასების დინამიკაზე – ე.წ. საბიუჯეტო ინფლაცია, როგორც ინფლაციის ერთ-ერთი კომპონენტი. ამასთან, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო შემოსავლებში უცხოური ვალუტის წილი. ეს ეხება როგორც უცხოურ გრანტებს, ასევე იმპორტის არაპირდაპირ დაბეგვრას (დღგ, აქციზი).

აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა ინფლაციის თარგეთირება ინფლაციის ინდიკატორებით (იხ. სქემა 1), რომლებიც დაკავშირებულია სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად მონეტარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებთან (ფულადი მასის კონტროლი, ლიკვიდობის მართვა, ფისკალური მხარე, უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის რეგულირება). მონეტარული სტაბილიზაციის სქემის უპირატესობაა ის, რომ იგი მოიცავს დოლარიზაციის ფაქტორსაც, რომელიც, ერთი მხრივ, გამოხატავს ეროვნული ვალუტის კონკურენტუნარიანობას

<sup>1</sup> Bernanke, Ben: “Inflation Targeting: Lessons from the International Experience,” 2011, The Princeton University Press, p. 26-38.

სავალუტო პორტფელში, და ამის გამო სავალუტო სუბსტიტუციის გათვალისწინება აუცილებელია როგორც ეროვნული ვალუტის მიწოდების კონტროლისა და ლიკვიდობის მართვისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, პირდაპირ კავშირშია უცხოურ ვალუტზე მოთხოვნასთან, რომლის პროგნოზირება სხვა კომპონენტებთან (სრულად, იხ. ცხრილი 1) ერთად აუცილებელია ინფლაციის საგარეო კომპონენტის (ე.წ. იმპორტირებული ინფლაციის) სრულად ან ნაწილობრივ გასანეიტრალებად – სავალუტო კურსის მიზნობრივი მონაცემიდან გამომდინარე.

ინფლაციის კომპონენტები<sup>1</sup> ცხრილი 1



რადგან (M3) როგორც ფართო ფული, მოიცავს ანაბრებს უცხოურ ვალუტაში, (M2)-ს ნაცვლად მიზანშეწონილია სწორედ მისი გამოყენება ინფლაციის თარგეთირების მოდელში. ამ გზით, ყველაზე მარტივად შესაძლებელია მოდელში დოლარიზაციის ასახვა. აგრეთვე, საინტერესოა ე.წ. მსოფლიო ინფლაცია, რომლის, როგორც საგარეო კომპონენტის ასახვა, მიზანშეწონილია ინფლაციის პროგნოზში:

აღნიშნული (3.1) განტოლებისთვის რეგრესიის კოეფიციენტები უშუალოდ გამომდინარეობს რეგრესიის ანალიზიდან (იხილეთ სრულად: ცხრილი. 2) და ასახავს ინფლაციის საპროგნოზო მახვევების დამოკიდებულებას ფართო ფულის ( $\Delta M3$ ), საბიუჯეტო ხარჯების ( $\Delta G$ ), გაცვლითი კურსისა ( $\Delta S$ ) და მსოფლიო

ფასების ( $\Delta[\pi - w]$ ) ცვლილებასთან.

$$\pi_T^{GI} = 0,13 \cdot \Delta M3_{T-1}^{GI} + 0,06 \cdot \Delta G_{T-1}^{GI} + 0,18 \cdot \Delta S_{T-1} + 0,04 \cdot \Delta(\pi - w)_{T-1} \quad (3.1)$$


(2.1) და (3.1) შორის მეთოდოლოგიური კუთხით მნიშვნელოვანი განსხვავებაა ე.წ. მოლოდინების ანალიზში. წარმოადგენს ადაპტაციურ მოლოდინებზე აგებულ მოდელს, რომელიც უფრო გრძელვადიან დროის ჰორიზონტზეა გათვლილი და ნაკლებად ითვალისწინებს მოულოდნელობის ეფექტებს. (2.1) ემყარება უფრო რაციონალური მოლოდინის პრინციპს და გათვლილია უფრო მოკლევადიან დროის ჰორიზონტზე, მაგრამ უკეთ ითვალისწინებს მოულოდნელობით გამოწვეული ეგზოგენური ფაქტორების გავლენას ფასების დინამიკაზე. პრინციპში ეს მოდელები ავსებს ერთმანეთს, თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ინფლაციის მოკლევადიანი პროგნოზის სირთულეს.

სავალუტო სუბსტიტუციის შემთხვევაშიც, ინფლაციის პროგნოზირებით შესაძლებელია განისაზღვროს გადახრის ზომა ინფლაციის მიზნობრივ და მოსალოდნელ დონეებს შორის, რაც მონეტარული პოლიტიკის მესვეურებს უქმნის შესაძლებლობას

<sup>1</sup> <http://www.nbg.ge/index.php?m=312>



| SUMMARY OUTPUT        |              | ANOVA          |              |                   |              | Coefficients |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
|-----------------------|--------------|----------------|--------------|-------------------|--------------|--------------|----------------|--|--|---------|--|--|--|-----------|--|--|--|-----------|--|--|--|
| Regression Statistics |              | ANOVA          |              |                   |              | Coefficients |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| Multiple R            | 0.829631528  |                |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| R Square              | 0.688620968  | Regression     | df           | SS                | MS           | F            | Significance F |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| Adjusted R Square     | 0.550229117  | Residual       | 9            | 373.4328571       | 41.49253968  | 4.975906101  | 0.021501154    |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| Standard Error        | 6.441670304  | Total          | 13           | 1190.384782       |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| Observations          | 14           |                |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| PROBABILITY OUTPUT    |              | Standard Error |              |                   |              | t Stat       |                |  |  | P-value |  |  |  | Lower 95% |  |  |  | Upper 95% |  |  |  |
| Intercept             | -0.158672835 | 6.2035526      | -2.554549724 | 0.030862757       | -29.8606945  | -1.81387266  |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| X Variable 1 (ΔM3)    | 0.126193785  | 0.12950532     | 0.975969925  | 0.354280963       | -0.156268712 | 0.41935601   |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| X Variable 2 (ΔG)     | 0.0579502583 | 0.11132188     | 0.520137528  | 0.61515188        | -0.193921951 | 0.302729717  |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| X Variable 3 (ΔS)     | 0.179549384  | 0.151274386    | 0.01186912   | 0.002656456       | -0.162657052 | 0.521755819  |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| X Variable 4 (ΔTr.w1) | 0.043594785  | 0.011836021    | 0.037170249  | 4.79252E-05       | 0.017219845  | 0.070769726  |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| Percentile            |              | Y (Δπ)         |              | Sample Percentile |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 3.571428571           | 1.72751787   | 45             |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 10.71428571           | 3.561230385  | 40             |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 17.85714286           | 4.038569042  | 35             |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 25.00000000           | 4.687682634  | 30             |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 32.14285714           | 4.785304737  | 25             |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 39.28571429           | 5.496509147  | 20             |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 46.42857143           | 5.579383295  | 15             |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 53.57142857           | 7.088697041  | 10             |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 60.71428571           | 8.241562055  | 5              |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 67.85714286           | 9.160955551  | 0              |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 75.00000000           | 9.244919333  |                |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 82.14285714           | 9.990689735  |                |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 89.28571429           | 9.15175215   |                |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |
| 96.42857143           | 39.431618581 |                |              |                   |              |              |                |  |  |         |  |  |  |           |  |  |  |           |  |  |  |



<sup>1</sup> შედგენილია ცხრილი 1-ის მიხედვით.

დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით შემუშავებულ იქნეს კონკრეტული ღონისძიებები მონეტარული სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად.

სავალუტო სუბსტიტუციის მონეტარული მოდელის თანახმად დოლარიზაციის ზრდა დადებით კავშირშია როგორც ფულის მასის ზრდასთან (თუ ეს ხდება უცხოური ვალუტის ხარჯზე ე.ი.

$$\frac{\Delta \Omega}{\Delta M3} > 0$$

), ასევე ეროვნული ვალუტის დევალვაციასთან (ე.ი.

$$\frac{\Delta \Omega}{\Delta S} > 0$$

).

რადგან ორივე კომპონენტი მონაწილეობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის განსაზღვრაში და მათი რეგრესიის კოეფიციენტები დადებითია, ლოგიკურია დასკვნა, რომ სავალუტო სუბსტიტუციის მოლოდინის გაზრდა ხელს შეუწყობს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მატებას, და პირიქით.

სამოქმედო გეგმის დროში გაწერა აუცილებელია, რათა გათვალისწინებულ იქნეს ე.წ. დროის ფაქტორი<sup>1</sup> (*insidelag* ⇒ *intermediate lag* ⇒ *outsidelag*), რომელიც

დამახასიათებელია პოლიტიკური მექანიზმების ტრანსმისიისათვის ეკონომიკის როგორც მონეტარულ სექტორში, ასევე, დროთა განმავლობაში, რეალურ სექტორში. შესაბამისად, თუკი მიზნობრივი მაჩვენებელი აღემატება მოსალოდნელ ინფლაციას, შესაძლებელია ექსპანსიური ღონისძიებების (რეფინანსირების განაკვეთის შემცირება, კონტროლირებად ფარგლებში დამატებითი საკრედიტო რესურსების გამოყოფა – ე.წ. მონეტარული ინექცია) გატარება, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში, მონეტარული სექტორი მოითხოვს პოლიტიკისგან კონტრაქციული ღონისძიებების გატარებას (ფულის მასის შემცირება, რეფინანსირების განაკვეთის გაზრდა, საბიუჯეტო ხარჯების შემცირება, ეროვნული ვალუტის რევალვაცია) დეზინფლაციური პროცესების ხელშეწყობისათვის.

1. Bernanke, Ben: “Inflation Targeting: Lessons from the International Experience,” 2011, The Princeton University Press, p. 10-25.



## Political Aspects of Inflation Targeting under the Currency Substitution

*A. Jacobashvili*

The article discusses modern practice of inflation targeting, which has been carried out in Georgia since 2008 within the frames of monetary policy and analyses its compatibility with the dollarization process. Taking international practice into consideration, improvement of the model significantly depends on the critical outcomes of inflation targeting under currency substitution, as the control of public expenditures connected with inflation requires additional clarification according to the quality. In addition, monetary stabilization is a serious challenge for policy makers because of time inconsistency as well as possible conflicts of interests. In order to neutralize time inconsistency, for long-run forecasting it is recommended to take into consideration the real sector of the economy and to ensure protection of the National Bank independence for improving the efficiency.

## საქართველოში დემოგრაფიისა და დემოგრაფიული სტატისტიკის განვითარების ისტორიიდან

მერაბ ხმალაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოში დემოგრაფიისა და დემოგრაფიული სტატისტიკის პრაქტიკის საწყისები შუა საუკუნეებში უნდა ვეძიოთ. იმ დროიდან დაწყებული რუსეთისგან საქართველოს ანექსიამდე, ტარდებოდა მოსახლეობის აღწერები საქართველოს ხელისუფლების მიერ.

რუსეთის ანტიქართული პოლიტიკიდან გამომდინარე, მთელი XIX საუკუნის განმავლობაში დემოგრაფიული ნაშრომების ავტორთა შორის ვერც ერთ ქართულ გვარს ვერ შეხვდებით. დემოგრაფიაში ქართული კვალი ჩნდება მხოლოდ XX საუკუნის პირველი მეოთხედიდან.

საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე საეკლესიო სტატისტიკის მონაცემების დამუშავება და გამოქვეყნება იწყება 1845 წლიდან სტატისტიკურ კრებულში – სახელწოდებით „კავკასიის კალენდარი“<sup>1</sup>. კრებული გამოიცემოდა ყოველწლიურად – 1917 წლის ჩათვლით. მართალია, ბუნებრივ მოძრაობაზე მონაცემები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება, რაც ფაქტების არასრული აღრიცხვით გამოიხატა, მაგრამ მაინც საკმაო მასალას იძლევა იმ პერიოდის საქართველოს ისტორიული დემოგრაფიისთვის.

რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არ არსებობდა დემოგრაფთა და სტატისტიკოსთა ეროვნული კადრები და არაა გასაკვირი, რომ XIX საუკუნის მწირი დემოგრაფიული ნაშრომები დაწერილია რუსი სწავლულების მიერ. 1864 წლის „კავკასიის კალენდარში“ დაიბეჭდა ვ. პრისელსკოვის

<sup>1</sup> Кавказский календарь. Тифлиς, 1845-1917.

სტატია – „თბილისის გუბერნიის მოსახლეობის მატებისა და მოკვდაობის სტატისტიკური გამოცდილება“<sup>1</sup>. მასში გაანალიზებულია საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 1857-1863 წლებში.

„კავკასიის კალენდარი“ საქართველოს დემოგრაფიული სტატისტიკის მნიშვნელოვანი ძეგლია. უნდა აღინიშნოს დედაწლი ამ კრებული რედაქტორების – ნ. ზეიდლიცისა და ე. კოდრატენკოს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში – XIX საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში ხელმძღვანელობდნენ კრების გამოცემას.

საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სტატისტიკური კრებული – „ცნობების კრებული კავკასიის შესახებ“, რომელშიც მოთავსებულია 446 გვერდიანი ნაშრომი – „მოსახლეობის მოძრაობა ამიერკავკასიის მხარეში, თბილისის გუბერნია“<sup>2</sup>. მოცემული სტატისტიკური მასალის დამუშავება და ანალიზი ეკუთვნის ა. ნადეჟდინს, რომელიც მსახურობდა კავკასიის სტატისტიკურ კომიტეტში. მან ჩინებულად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას და ქართულ ისტორიულ დემოგრაფიას დაუტოვა XIX საუკუნის მიწურულის დემოგრაფიული პროცესების ამსახველი ბრწყინვალე სტატისტიკური მასალა და იმავდროულად ანალიზი, რომლის მსგავსი საქართველოში დღემდე არ მოგვეპოვება.

ა. ნადეჟდინის აღნიშნული ნაშრომი და „კავკასიის კალენდარი“ წარმოადგენს ისტორიული დემოგრაფიის ძირითად წყაროს, რამაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში დემოგრაფიული პროცესების მეცნიერულ ანალიზს XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში და რომელიც იმავდროულად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების განვითარების დასაწყისად.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში დემოგრაფიულ კვლევებს საქართველოში, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ვერ შეხვდებით. კერძოდ, 1920-1940 წლებში უშუა-

<sup>1</sup> В.Приселков. Приращение населения и смертность Тифлисской губернии. См. Кавказский календарь на 1865 год, с.102-107.

<sup>2</sup> Сборник сведений о Кавказе. Том IX. Тифлиси, 1885, с. 1-446.

ლოდ დემოგრაფიული პროცესების ანალიზს მიეძღვნა: ლ. კარბელაშვილის – „ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა“ და – „საქართველოს სოფლის ჭარბი მოსახლეობის შესწავლისათვის“, რომლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტში“ 1928 წლის 11-12 და 1929 წლის მეორე და მეოთხე ნომრებში. მ.ყონიაშვილმა ჟურნალ „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბეში“, რომელიც გამოდიოდა 1925-1928 წლებში, გამოაქვეყნა სტატიები: 1925წ. № 3-4-ში – „საქართველოს სოფლის მოსახლეობა (1923 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერით)“; 1925წ. № 9-10-ში – “1926 წლის აღწერის ვადების შესახებ”; და სხვა. 1935 წელს გამოიცა ა. ჯიჯაძის მონოგრაფია – „შობადობა და ბავშვთა მოკვდაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში.“ დემოგრაფიის განვითარებას დიდი ზიანი მიაყენა საბჭოთა კავშირში 1930-იანი წლების ბოლოს გატარებულმა მეცნიერთა კადრების რეპრესიებმა, რასაც შეეწირა ა. ჯიჯაძეც.

1940-1950-იან წლებში აკად. პ. გუგუშვილმა საყოველთაოდ აღიარებულ მონოგრაფიაში – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“<sup>1</sup>, მიმოიხილა XIX საუკუნის საქართველოში მოსახლეობის აღწერების ისტორია, გაანალიზა მოსახლეობის რიცხოვნობა, ეროვნული შემადგენლობა და სხვა საკითხები.

საქართველოში დემოგრაფიული სტატისტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ცნობილმა ქართველმა სტატისტიკოსმა გ. გამყრელიძემ. 1955 წელს გამოიცა მისი სახელმძღვანელო „დემოგრაფიული სტატისტიკა“, რომელიც ამ დარგის ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო იყო საბჭოთა კავშირში<sup>2</sup>. ამ წიგნზე აღიზარდა ქართველი სტატისტიკოსებისა და დემოგრაფების მრავალი თაობა. 1950-იანი წლების მეორე და 1960-იანი წლების პირველი ნახევარში დემოგრაფიის განვითარებაში გარკვეული ვაკუუმი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შ. ბერაძის, ვ. ჯაოშვილისა და ლ. კარბელაშვილის მიერ ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტში“ გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიას,

<sup>1</sup> პ.გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტომი I, თბ., 1949.

<sup>2</sup> გ.გამყრელიძე. დემოგრაფიული სტატისტიკა. თბ., 1955.

რომლებშიც განხილულია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, მიგრაციისა და ბუნებრივი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი.

საქართველოში დემოგრაფიის განვითარებაში თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში, რაშიც გარკვეული როლი ითამაშა შემდეგმა გარემოებებმა: მოსახლეობის 1959 წლის აღწერის შემდეგ სისტემატურად ქვეყნდებოდა საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ამ დროისათვის უკვე მოწესრიგდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაცია სისრულისა და საიმედოობის თვალსაზრისით, რაც დემოგრაფიული პროცესების ამსახველი დეტალური მაჩვენებლების გამოთვლის და ანალიზის საშუალებას იძლეოდა. 1959 წლიდან სახელმწიფო სტატისტიკა სისტემატურად ადგენდა მოსახლეობის მოკვდაობის ცხრილებს, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მოკვდაობის დიფერენცირებული ანალიზისა და დემოგრაფიული პროგნოზირების მეთოდური არსენალი.

1970-იანი წლების დასაწყისი ქართული დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობით ხასიათდება. კერძოდ, დემოგრაფია იქცა საუნივერსიტეტო კურსად. იგი იკითხებოდა თსუ-ს სტატისტიკის, შრომის ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სპეციალობებზე. ამან უდავოდ ხელი შეუწყო როგორც აკადემიური დემოგრაფიული ცოდნის გავრცელებას, ასევე დემოგრაფთა კადრების მომზადებას, რამაც მოგვიანებით თავისი ნაყოფი გამოიღო.

დემოგრაფიული პროცესების ანალიზს მოიცავს ცნობილი ქართველი ეკონომ-გეოგრაფის ვ. ჯაოშვილის ფუნდამენტური მონოგრაფიები<sup>1</sup>, რომლებშიც განხილულია საქართველოს ისტორიული და თანამედროვე დემოგრაფიის საკითხები.

1973 წელს გამოიცა პ. გუგუშვილის მონოგრაფია – ‘საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები’<sup>2</sup>, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საქართველოში დემოგრაფიული კვლევა-

<sup>1</sup> В.Джаошвили. Население Грузии. Тб., 1968. В.Джаошвили. Урбанизация в Грузии. Тб., 1978.

ვ.ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984. ვ.ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა, ისტორიულ-დემოგრაფიული და

დიების გააქტიურების საქმეში.

1970-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ვითარდება თანამედროვე დემოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგი – შობადობის სოციოლოგია, რომელსაც სათავე დაუდო პ. გუგუშვილმა. კერძოდ, მან შესაბამისი კითხვარით პირველად შეისწავლა სტუდენტი ახალგაზრდობის რეპროდუქციული ქცევა.

საქართველოში კვლევის სოციოლოგიური მეთოდები ფართოდ გამოიყენება არა მარტო შობადობის, არამედ დემოგრაფიის სხვა საკითხების შესწავლაში. კერძოდ, ოჯახის შესწავლის სოციოლოგიური მიმართულების განვითარებას დიდი ღვაწლი დასდო მ. ბეჟიაძე, ხოლო ა. კაცაძემ – მიგრაციის სოციოლოგიური კვლევის განვითარებას.

1980-1990-იან წლებში გარკვეული ძვრები მოხდა დემოგრაფთა კადრების მომზადების თვალსაზრისით. კერძოდ, თბილისისა და მოსკოვის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში დემოგრაფიულ პრობლემატიკაზე დაცული იქნა 40-მდე საკანდიდატო და 6 სადოქტორო დისერტაცია. ეტაპობრივი როლი საქართველოში დემოგრაფიის განვითარებაში შეასრულა 1991 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შექმნამ, რომლის ინიციატორი და პირველი დირექტორი იყო პროფ. ლეო ჩიქავა. ინსტიტუტში მოხდა დემოგრაფთა დაქსაქსული კადრების კონსოლიდაცია და დემოგრაფიული კვლევა-ძიების კოორდინაცია.

საქართველოში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შექმნა უპრეცედენტო ფაქტი იყო. ამ წლებში არცერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას არ გააჩნდა ანალოგიური ინსტიტუტი. უკრაინაში მის შექმნაზე ფიქრი დაიწყო მხოლოდ 1990-იანი წლების ბოლოს. პოსტსაბჭოთა სივრცეში ასევე უპრეცედენტო ფაქტს წარმოადგენდა საქართველოში ჟურნალ ‘დემოგრაფია’-ს დაარსება 1999 წელს (რედაქტორი პროფ. ანზორ თოთაძე), რომელშიც ქვეყნდება დემოგრაფიის აქტუალური საკითხები. ასევე უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 2000 წელს თსუ-ში დემოგრაფიის კათედრის დაარსება, რომელსაც ხელმძღვანელობდა პ.გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973.

ვანელობდა პროფ. ვაჟა ლორთქიფანიძე. სამწეხაროდ, კათედრა გაუქმდა 2001 წელს.

1990-იანი წლებიდან დღემდე, საქართველოში გამოქვეყნდა მრავალი და მეტად საინტერესო დემოგრაფიული სამეცნიერო პროდუქცია, რაშიც განსაკუთრებული როლი შეასრულა პროფ. ანზორ თოთაძემ<sup>1</sup> ამ პერიოდში დემოგრაფიული კვლევების ფართოდ განვითარებას ხელი შეუწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებამ და მეცნიერების დემოკრატიზაციამ. ჯერ ერთი, საბჭოთა იმპერიის დემოგრაფიული ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო, ქვეყნდებოდა მწირი მასალა, რაც აფერხებდა დემოგრაფიულ კვლევებს. ეს პრობლემა მოიხსნა, რადგან მთელი დემოგრაფიული ინფორმაცია გახდა საჯარო და ხელმისაწვდომი. მეორე, მოიხსნა ცენზურა ბეჭდვით პროდუქციასზე. მესამე, საგამომცემლო საქმე არ წარმოადგენს სახელმწიფო მონოპოლიას, რაც გამომცემლობებსა და სტამბებში ბიუროკრატიზმისა და კორუფციის წყარო იყო.

## The History of Georgian Demography and the Demographic Statistics

M.

**Khmaladze**

Development of a scientific demography in Georgia begins in the second half of the 19<sup>th</sup> century. In the first half of the 20<sup>th</sup> century Georgia was poor with demographic literature. Qualitative progress in this direction has occurred at the end of the 1960s and at the beginning of the 1970s. The period from 1990 till today was especially productive that is connected with establishment of the Institute of the Demography. The results of this period surpass all of the previous ones.

<sup>1</sup> ა. თოთაძე. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი. თბ., 1993.

ა. თოთაძე. საქართველოს მოსახლეობა მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე. თბ., 1999.

საინფორმაციო ბარემოს

ფორმირების მაკროეკონომიკური და  
ინსტიტუციური ფაქტორები

ნოზარ ხალაძე

ივ. ჯავახიშვილის თსუ მაკროეკონომიკის  
მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ეტაპი ინვესტიციური “შიმშილის” ფონზე მიმდინარეობს. სამწეხაროდ, ინვესტიციებისათვის ადგილობრივი რესურსის მობილიზება საკმაოდ რთულია, რადგან მოხმარება ხშირ შემთხვევაში მთლიანი შიგა პროდუქტის ტოლია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2003 წელს ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე<sup>1</sup> მშპ-ს 82,1% იყო, 2004 წელს ეს მაჩვენებელი 87,3%-მდე გაიზარდა, 2006-2007 წლებში 92-94% იყო, 2008-2009 წლებში კი საბოლოო მოხმარებამ მშპ-ს გადააჭარბა და შესაბამისად – 102,7 და 106,1% შეადგინა. 2010 წელს მოხმარება მშპ-ს 97% იყო.

2003 წლიდან დღემდე ინვესტიციებმა ძირითად კაპიტალში 26,6 მლრდ ლარი, ანუ წელიწადში საშუალოდ 3,3 მლრდ ლარი შეადგინა. ინვესტიციების ყველაზე მაღალი მოცულობა 2007 წელს – დაახლოებით 4,4 მლრდ ლარი იყო.

სხვადასხვა ექსპერტული შეფასებით, ერთი სამუშაო ადგილის შექმნას საშუალოდ 50 ათასი აშშ დოლარის ინვესტიცია სჭირდება. საქართველოში, 2009 წლის ოფიციალური მონაცემებით, უმუშევარი იყო 335 ათასი კაცი, ხოლო ერთ მილიონ ადამიანზე მეტი თვითდასაქმებული, რომელთა დიდი ნაწილი თავის თავს უმუშევრად თვლიდა (2011 წლის აპრილში გამოქვეყნებული აშშ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის NDI გამოკვლევის შესაბამისად, მოსახლეობის 73% საკუთარ თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს). საქართველოში მხოლოდ 596 ათას ადამიანს აქვს ხელფასი. 335

<sup>1</sup> სტატისტიკური ინფორმაცია, თუ სხვა წყარო არ არის მითითებული, აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური ვებგვერდიდან [www.geostat.ge](http://www.geostat.ge).



ათასი სამუშაო ადგილის შექმნას კი დაახლოებით 16,8 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია სჭირდება.

ამ ფონზე ცხადია განსაკუთრებით იზრდება უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა, რადგან საქართველოში დანახოვების მოცულობა ინვესტიციებისათვის საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, 2008 წლის შემდეგ უცხოური ინვესტიციების მოცულობაც მკვეთრად მცირდება.

თუ 2007 წელს საქართველოში განხორციელებულმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2 მლრდ დოლარს გადააჭარბა, რომლის დიდი ნაწილი პრივატიზაციის პროცესს მოხმარდა, 2009 წელს ინვესტიციების მოცულობა 658 მლნ დოლარი, ხოლო 2010 წელს მხოლოდ 553,1 მლნ დოლარი იყო.

თუ დავეუშვებთ, რომ ძირითადი კაპიტალის ცვეთა ადგილობრივი ინვესტიციებით დაიფარება და ბოლო (2007-20010) წლების უცხოური ინვესტიციების საშუალო მაჩვენებელი შენარჩუნდება, უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დასაყვანად 15-20 წელი დაგვჭირდება.

ცხადია, ეს ძალიან ცუდი მაჩვენებელია და ამოცანაც ისაა, რომ ქვეყანა რაც შეიძლება მიმზიდველი გახდეს ინვესტორებისათვის. ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ექნება უკეთესი საინვესტიციო გარემო, ვიდრე აქვს მის ყველა მეზობელს.

რა ფაქტორები შეიძლება იყოს განმსაზღვრელი და გადამწყვეტი იმისათვის, რომ ინვესტორებმა ინვესტირებისათვის აირჩიონ საქართველო და არა სხვა რომელიმე სახელმწიფო?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინვესტიციების განმსაზღვრელია საპროცენტო განაკვეთი. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით<sup>1</sup> 2010 წლის თებერვალში საბაზრო საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 19,1% იყო, ხოლო იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 14,5%-დან იწყება. ეს ნიშნავს, რომ მოგების ნორმა ახალი ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებში მინიმუმ 14,5% მაინც უნდა იყოს.

ცხადია რთულია ეროვნული ეკონომიკის დარგების მიხედვით მოგების ნორმის დადგენა, მაგრამ თუ სახელმწიფო ბიუჯეტში

<sup>1</sup> [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge).

მოგების გადასახადის დინამიკას დაეკვირდებით, ვნახავთ, რომ სამწუხაროდ, ასეთი მაღალი პროცენტის გადახდა საწარმოო სექტორში დასაქმებული პირებისათვის, თითქმის წარმოუდგენელია.

2010 წლის განმავლობაში ბიუჯეტში მობილიზებული იყო 576 მლნ ლარი, ხოლო 2011 წელს დაგეგმილია, რომ მოგების გადასახადის სახით ბიუჯეტში 703 მლნ ლარი შევა<sup>1</sup>. მარტივი არითმეტიკული გარდაქმებიდან გამომდინარეობს, რომ მიმდინარე წელს საქართველოში მთლიანი მოგება დაახლოებით 4,7 მლრდ ლარია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მშპ დაახლოებით 24 მლრდ ლარი იქნება, მოგება მისი დაახლოებით 1/5-ია. თუ მშპ-დან გამოვრიცხავთ ეკონომიკის იმ დარგებში და სექტორებში შექმნილ დამატებულ ღირებულებას, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, სახელმწიფო მმართველობა, საკუთარი საცხოვრისის გამოყენება, შინამეურნეობის წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის), მხოლოდ 13 მლრდ ლარი რჩება, საიდანაც თუ 4,7 მლრდ ლარი ანუ დაახლოებით 40% მოგებაა, ამასთან, ლოგიკურია, რომ არის დარგები, სადაც მოგება ძალიან დაბალია. გამოდის, რომ საქართველოს ეკონომიკაში არის დარგები, სადაც მოგება 40-50%-ს აღემატება<sup>2</sup>.

აღბათ, სწორედ ეს განსაზღვრავს უცხოური ინვესტიციების დარგობრივ სტრუქტურასაც. საქართველოში 2010 წელს განხორციელებული ინვესტიციების დაახლოებით 35% ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში განხორციელდა, 16-16% მრეწველობასა და საფინანსო სექტორში, 15% უძრავ ქონებაში, სოფლის მეურნეობაში კი მხოლოდ 2%. გასაკვირია, რომ უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 0,6% განხორციელდა სასტუმროებსა და რესტორნებში. ეს იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ხელისუფლებისათვის ტურიზმი დღეისათვის პრიორიტეტული დარგია და ქობულეთსა და ანაკლიაში ტურისტულ ობიექტებზე განსაკუთრებული შეღავათებიც

<sup>1</sup> ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ იხილეთ [www.mof.ge](http://www.mof.ge).  
<sup>2</sup> ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში ბევრია კომპანია, რომელიც ბაზარზე საბაზრო ძალაუფლებას ფლობს და მონოპოლიურად მაღალი მოგება აქვს. ცხადია, რომ ასეთი კომპანიები შესაძლოა არაეკონომიკურ ბარიერებსაც მიმართავენ, რათა დამატებითი კონკურენტები არ დაუშვან ბაზარზე. ეს დასტურდება თუნდაც “შირნჰოფერის” მაგალითით და კარგად აჩვენებს, რატომ იკავებენ თავს უცხოელი ინვესტორები საქართველოში ინვესტირებისაგან.

კი არსებობს.

საქართველო ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, ფინანსური თვალსაზრისით არც თუ ისე მიმზიდველია სერიოზული უცხოური ინვესტორებისთვის.

თუ დავუმატებთ, რომ საოჯახო მეურნეობების მოხმარება მხოლოდ 15 მლრდ ლარია, უფრო თვალნათელი ხდება, რომ ფინანსური თვალსაზრისით ინვესტირებისათვის საჭირო გარემოს განშორს ვართ. რჩება ინსტიტუციური გარემო, რომლის ფორმირებაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ჩვენ უკვე მივჩვიეთ იმას, რომ გეოპოლიტიკური მდებარეობა საქართველოს ინვესტორებისათვის განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის. ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის მაქსიმალურად ლიბერალური გარემოს ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა. სამწუხაროდ, დღეს გვიწევს იმის კონსტატირება, რომ ინვესტორთა მოზიდვისათვის არც ეს ნაბიჯები აღმოჩნდა საკმარისი.

2004 წლამდე საქართველო აყალიბებდა საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ისეთ ინსტიტუციურ ბაზას, რომლის მსგავსი ევროპის ან ამერიკის სახელმწიფოებში იყო. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკისრი აქვს ვალდებულება საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ, ამდენად ევროპული მოდელებიდან გადახვევა, ქვეყნის მისწრაფებას – საკუთარი ღირსეული ადგილი დაიკავოს ევროპულ ოჯახში, სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს.

2003 წლის ნოემბრის ბოლოს საქართველოში “ვარდების რევოლუციის” შემდგომ, ეკონომიკის რეფორმირების ახალი ეტაპი იწყება, რომელიც თითქმის მთლიანად უკავშირდება რუსეთიდან დაბრუნებული კახა ბენდუქიძის სახელს.

ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, საქართველოში რადიკალური ეკონომიკური (თუმცა, ძნელია ამ პროცესს ეწოდოს “ეკონომიკური”) რეფორმები დაიწყო, რაც ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების მექანიზმების გაუქმებაში

<sup>1</sup> საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებზე დაწვრილებით იხილეთ: Papava V., *Necroeconomics, The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia)* - iUniverse Inc. New York Lincoln Shanghai, 2005; Khaduri N., *Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia. Problems of Economic Transition*, 2005, Vol. 480, 14, New-York.

გამოიხატა<sup>1</sup>.

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების საბაბით საქართველოს მთავრობამ, სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რეგულაციების გაუქმების პარალელურად, უარი თქვა განხორციელებინა შრომის ბაზრის, კონკურენციის შეზღუდვის, სურსათის უვნებლობის და სხვა სახის რეგულაციები, რომელთა გაუქმებამ ან შეზღუდვამ მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური გარემო<sup>1</sup>. იყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ეს ყველაფერი ინვესტიციების მოზიდვას ემსახურებოდა და სხვადასხვა რეიტინგში საქართველოს მაჩვენებელზე (მ.შ. ე.წ. “ბიზნესის კეთების” რეიტინგზე, რომელშიც საქართველო ბიზნესისათვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნების პირველ ათეულს უახლოვდება) აისახა, თუმცა რეალურად ეკონომიკის განვითარებას უამრავი პრობლემა შეექმნა, რომელთა გამოსწორება ან განეიტრალება საკმაოდ რთულია და დროშიც სერიოზულად გაიწვლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფომ გარდა რეგულირების პირდაპირი ფორმებისა, მკვეთრად შეზღუდა მაკროეკონომიკური რეგულატორების ფუნქციონირებაც, სურათი კიდევ უფრო მიმდებარა.

2004 წლიდან, არაერთი სამინისტროსა და უწყების გაუქმების პარალელურად, გაუქმდა კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური, მცენარეთა დაცვის სამსახური, მეცხოველეობისა და სანაშენე საქმის დეპარტამენტი, ძვირფასი ქვებისა და ლითონების დეპარტამენტი, დასაქმების სახელმწიფო სამსახური, “საქსტანდარტი”, კვების პროდუქტების ხარისხის ინსპექცია, ფიტოსანიტარული კონტროლი, ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისია. მნიშვნელოვნად გამარტივდა მშენებლობის პროცედურები. შემცირდა იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ლიცენზირებას მოითხოვდა – 900 დასახელებიდან დარჩა მხოლოდ 114.

გაუქმდა ზომისა და წონის კონტროლი, ვეტერინარული საქმიანობის ლიცენზია და ნებართვა, პესტიციდების წარმოების და ვაჭრობის ლიცენზია, წინასარეისო სამედიცინო შემოწმება და ა.შ.

პრაქტიკულად დერეგულირებულია ფარმაცევტული

<sup>1</sup> ხადური ნ., ბაზრის რეგულირების მექანიზმების ფაქტიური გაუქმებით გამოწვეული შედეგების კვლევა. კრებულში – “ეკონომიკის მარეგულირებელი ინსტიტუტების განვითარება საქართველოში”. თბ., 2009.

პროდუქციით საბითუმო ვაჭრობა.

გაუქმდა საავიაციო გადაზიდვებში პროტექციონისტული ნორმა, რომელიც ქართული და უცხოური კომპანიების პარიტეტს ითვალისწინებდა.

თუ საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებს გავანალიზებთ, ნათლად გამოჩნდება, რომ აღნიშნული ცვლილებების მიზანი ეკონომიკის სრული დერეგულირებაა. საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ევროპულ ორიენტაციას აღიარებს, აბსოლუტურად საპირისპიროდ ვითარდება. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რომელიც აგებულია დამქირავებელთა უფლებების პრიმატის აღიარებით და პრაქტიკულად მინიმუმამდეა დაყვანილი დასაქმებულთა ინტერესები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკურ და საქმიან წრეებში საკმაოდ სერიოზულად მსჯელობენ შრომის არსებული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაზე, რეალურად ლობი, რომელიც აღნიშნული კანონმდებლობის “ლიბერალიზაციას” უჭერს მხარს, იმდენად ძლიერია, რომ პროცესები ჯერ-ჯერობით მსჯელობის დონეს არ გასცდა. აღნიშნული, ერთი მხრივ, აშორებს საქართველოს ევროპულ სივრცესთან, ხოლო, მეორე მხრივ კი, იწვევს ისედაც მონოფსონური შრომის ბაზრის კიდევ უფრო მეტად გამკაცრებას, რომელზეც დამქირავებლების საბაზრო ძალაუფლება განუსაზღვრელია.

ცხადია, შრომის ბაზარი სულაც არ არის გამონაკლისი, სხვა ბაზრებზეც ანალოგიური ვითარებაა. ზოგადად ის, რომ ბაზარზე საბაზრო ძალაუფლების მქონე სუბიექტების არსებობა ეკონომიკაში საზოგადოების კეთილდღეობას ამცირებს, ყველა ქვეყანაში კარგად იციან, გარდა საქართველოსი.

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში ანტიმონოპოლიური სამსახური აღმოჩნდა ის პირველი სერიოზული სტრუქტურა, რომელიც გაუქმდა. გაუქმდა არა მხოლოდ სამსახური, არამედ მთელი კანონმდებლობა და მის ნაცვლად შეიქმნა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონი” და შესაბამისი სამსახური. საინტერესო ისაა, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების მიზნად ბაზარზე კონკურენციისათვის ხელშეწყობა დასახელდა.

არგუმენტი კი იყო ის, რომ მონოპოლია ინვესტორისათვის სიგნალია, რომ დარგი მომგებიანია და ისინი (ინვესტორები) სწორედ ამგვარ დარგებში განათავსებენ ინვესტიციებს. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონოპოლიების არსებობა შესაძლოა თავად გახდეს ინვესტიციების დამაბრკოლებელი ფაქტორი.

როგორც ჩანს, ლიბერალური გარემო არ არის საკმარისი ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვისათვის. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის, რომ თუ 2000 წელს, ანუ ვიდრე საქართველო “რადიკალური” რეფორმების გზას დაადგებოდა მშპ ერთ სულზე იყო დაახლოებით 690 დოლარი, აზერბაიჯანში – 663 დოლარი, სომხეთში – 504 დოლარი, 2009 წელს იგივე მაჩვენებელი საქართველოში იყო 2450 დოლარი, სომხეთში – 3685 დოლარი, აზერბაიჯანში კი 4873 დოლარი. ამასთან, 2000 წელს უმუშევრობა საქართველოში იყო 10,3%, სომხეთში – 11,7%, აზერბაიჯანში – 1,2%, 2009 წელს შესაბამისად – 16,9%, 6,9%, 6%<sup>7</sup>. ამრიგად, აქედან ნათელია, რომ საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა ამ პერიოდში გაუმჯობესდა, მაგრამ გაცილებით ნაკლები ტემპებით ვიდრე აზერბაიჯანში (რაც არც არის გასაკვირი აზერბაიჯანის ბუნებრივი რესურსებით, უპირველეს ყოვლისა, ნავთობის დიდი მარაგების გამო) და სომხეთში<sup>8</sup>.

საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის შეფერხება ცხადია გამოიწვია 2008 წელს რუსეთის სამხედრო აგრესიამ და მის მიერ სამხედრო ბაზების მშენებლობამ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში.

სამწუხაროდ, რუსული სამხედრო შენაერთების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტორებს აფრთხობს. თუმცა, როგორც ჩანს, არა რუს ინვესტორებს, რომლებიც მნიშვნელოვან ინვესტიციებს აბანდებენ ენერგეტიკულ, საბანკო, სამთო მოპოვებით, კვების მრეწველობის დარგებში. თუმცა, რუსული ემბარგო და დაკარგული ბაზრები საქართველოს ეკონომიკას საინვესტიციო მიმზიდველობას უკარგავს.

<sup>7</sup> ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, თბ. ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, 2010.

<sup>8</sup> აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკის შესახებ იხ.: პაპავა ვ. ნეკროეკონომიკის ზომბირება, თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2010;



ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა ქართული სამომხმარებლო ბაზრის სიმცირეზე. სამწუხაროდ, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ქართული პროდუქციისათვის ევროპულ ბაზრებზე შეღწევა დიდი ხანია. ჯერ-ჯერობით ვერ ვახერხებთ სრულად გამოვიყენოთ ევროკავშირის მიერ დაწესებული პრეფერენციები. საქართველოში სუსტი მარეგულირებელი ინსტიტუტები ის ერთ-ერთი ფაქტორია, რომლის გამოც ევროპის ბაზარზე შესვლა მნიშვნელოვნად გართულებულია.

ვიდრე საქართველო არ შეძლებს ევროპულ ბაზრებზე სრულფასოვნად გასვლას, როგორც ლიბერალურიც არ უნდა იყოს გარემო, დაბალი გადასახადები და ა.შ., საინვესტიციო მიზიდველობა მაინც დაბალი იქნება.

კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორი კერძო საკუთრების უფლებების ხელყოფაა. ლიბერალიზმის ქვაკუთხედი კერძო საკუთრება, მისი ხელშეუხებლობაა. თუ ამ თეზას მივყვებით, ვნახავთ, რომ საქართველოში ყველაფერი, რბილად რომ ვთქვათ, რიგზე არაა. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ისე როგორც ზოგადად რევოლუციების შემდეგ ხდება ხოლმე, ქონების “გადანაწილება” დაიწყო.

საქართველოში, პრივატიზაციის პარალელურად, აქტიურ ფაზაში შევიდა ფარული ნაციონალიზაციის პროცესი, მესაკუთრეები ერთი მეორის მიყოლებით “ჩუქნიდნენ” სახელმწიფოს როგორც უძრავ-მოძრავ ქონებას, ასევე საწარმოების წილებს. გარდა ამისა, არც თუ იშვიათად ხდებოდა უძრავი ქონების პირდაპირი ექსპროპრიაცია, და შემდეგ, “ხედის დამახინჯების” ბრალდებით მათი დანგრევა (ამგვარი ღონისძიებები ხორციელდებოდა მხოლოდ თბილისის ცენტრში და შავიზღვისპირა ზოლში). შემდეგ ხდებოდა ნაჩუქარი ან ჩამორთმეული ქონების ძირითადად უცხოელ ინვესტორებზე ხელახალი პრივატიზაცია უკვე გაცილებით მაღალი ფასით.

ვიდრე საქართველოში საკუთრების უფლება არ იქნება დაცული, რთულია სერიოზული ინვესტიციებზე საუბარი.

სამწუხაროდ, არ გაამართლა არც სპეციალური ეკონომიკური ზონების გახსნამ. 2008-2009 წლებში ფოთში, ქუთაისში, თბილისში, ბათუმში არაერთი სპეციალური ეკონომიკური ზონა დაარსდა, თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მათი საქმიანობა რაიმე სერიოზული წარმატებით არ გამოირჩევა, რაც მოსალოდნელიც იყო.

მიუხედავად ამისა, ისეთი ტიპის ქვეყანა, როგორც საქართველოა, რომელიც საინვესტიციო შიმშილს განიცდის, უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოსაზიდად არაორდინალური გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებს, დაუშვებელია ისედაც პატარა ქვეყანაში, ინვესტორთათვის ქვეყნის სხვა ტერიტორიების ინტერესების ხარჯზე, უფრო პატარა “ოაზისების” შექმნა. ტრივიალურია, მაგრამ ოაზისი მხოლოდ უდაბნოში შეიძლება იყოს. ამასთან, შესაძლოა დემაგოგიურად ჟღერდეს კითხვა, “თუ ფოთში შესაძლებელია ადმინისტრაციული ბარიერების მინიმუმამდე შემცირება, ინვესტორის უფლებების დაცვა და ა.შ., რატომ არ შეიძლება იგივე დუშეთში ან საქართველოს ნებისმიერ სხვა ქალაქსა თუ სოფელში?” მაგრამ ეს კითხვა აბსოლუტურად ლეგიტიმურია და მასზე რაიმე არგუმენტირებული პასუხი, როგორც ჩანს, არ არსებობს.

სამწუხაროდ, მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რომლებიც ქვეყანას აქვს კანონმდებლობის, ლიცენზიების, ნებართვების სფეროში, სხვა დარგებში არსებული მდგომარეობა ოპტიმიზმის საფუძველს არ გვაძლევს. ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს არსებული ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებაზე. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ფორმალური ინსტიტუტების (მაგალითად საგადასახადო სისტემა, კანონმდებლობა) სრულყოფა იმ შემდეგ არ იძლევა, რაც ქვეყანაში არაფორმალური ინსტიტუტების მინიმიზაციით შეიძლება მიღწეულიყო.

ხელისუფლების მიზანი საქართველოს ეკონომიკის “ევროპიზაცია”, მეზობლებთან ურთიერთობების დალაგება, კორუფციის აღმოფხვრა, საკუთრების უფლების დაცვა და საგადასახადო



### Macroeconomic and Institutional Factors in the Formation of Investment Environment

N. Khaduri

For economic growth of Georgia it is necessary to attract a large volume of investments. Because the local savings are small (consumption almost equals the GDP), the role of foreign investments grows significantly. Unfortunately, despite the reforms made in the country which were aimed at the liberalization of economy and minimizing the state interference in order to make the country attractive to foreign investors, the volume of foreign investments continues to decline.

It is obvious that this is due to objective as well as subjective factors. The Russian military aggression and global crisis have diminished the investment attraction of Georgia, though there were also institutional and purely economic factors. Specifically, the violation of property rights in Georgia, monopolization of market, shortage of buyers' markets even more constrains the inflow of substantial foreign investments into the country.

Thus, if the country has a desire to overcome economic backwardness relatively in a short period of time and to increase the living standards, the goal of the government must become "europization" of Georgian economy, settlement of relations with neighbors, eradication of corruption, protection of property rights and humanization of tax and administrative spheres.

### საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების თავისებურებები და განვითარების ტენდენციები

ლევან ვაჟა

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ნიმუშა ვარსაშვილი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასისტენტ-პროფესორი

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების თავისებურებები, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონით, საბაზრო მექანიზმებისა და ბერკეტების გამოყენების სპეციფიკით, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობითა და ქვეყანაში არსებული სამართლებრივი კულტურითაა განპირობებული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაზღვევის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი მისი მოქნილი რეგულირების უნარია. ამ თვალსაზრისით, დაზღვევა წარმოადგენს, ერთი მხრივ, ბაზრის რეგულირების მექანიზმს, ხოლო მეორე მხრივ, როგორც დარგი რეგულირების ობიექტია.

დღეს ცივილიზებული სამყარო წარმოუდგენელია სადაზღვევო ბაზრის გარეშე, რაც პირველ რიგში, განპირობებულია კერძო სექტორის განვითარებითა და მოქალაქეთა მაღალი შემოსავლებით.

სადაზღვევო ბაზარმა თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გაიარა როგორც ცენტრალიზაციის, ასევე დეცენტრალიზაციის პერიოდი. ცენტრალიზაციის ეტაპზე, სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისათვის შეთავაზებული სადაზღვევო მომსახურება ძალზე შეზღუდული იყო და ძირითადად საპენსიო და სამედიცინო დაზღვევით შემოიფარგლებოდა. საბაზრო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებამ და სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის სფეროების რეგულირების შემცირებამ არსებითად შეცვალა სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა, მისი შინაარსი და სადაზღვევო მომსახურების სახეობები. დღეს იგი შედგება სიცოცხლის, ქონების და პასუხისმგებლობის დაზღვევის მრავალი მიმართულებისაგან, რომელთაგანაც თვითოეული მეტ-

ნაკლებად წარმატებით ვითარდება დღევანდელ საქართველოში.

საქართველოში, ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, რეგულირებადი სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1997 წელს „დაზღვევის შესახებ“ კანონის მიღება. მან მოაწესრიგა, ერთი მხრივ, ურთიერთობები სადაზღვევო კომპანიებს შორის და ისინი ჩააყენა ცივილიზებული კონკურენციის პირობებში და, მეორე მხრივ, შექმნა მზღვეველებსა და დაზღვეულებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლები.

„დაზღვევის კანონის“ მიღებას მოჰყვა დაზღვევის სფეროში მნიშვნელოვანი ნორმატიული დოკუმენტების შექმნა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა დაზღვევისადმი მოსახლეობისა და ბიზნესის ინტერესი.

დღეს საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის თანახმად, სადაზღვევო კომპანიების ფინანსური სტაბილურობისა და მათი გადახდისუნარიანობის მთავარი გარანტიაა საწესდებო კაპიტალი, სადაზღვევო რეზერვები და გადაზღვევის სისტემა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ფლობს განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს. თუკი ევროპის ბევრ ქვეყანაში, შეგროვილი ერთიანი სადაზღვევო პრემიის მოცულობის წილი მშპ-ში შეადგენს 8-10 %-ს, საქართველოში ამ მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ 2,7 %.<sup>1</sup> ეს კი იმას ნიშნავს, რომ მარკეტინგული თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ რეალურად ჩამოყალიბდეს სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნილება და უკეთ მოხდეს სადაზღვევო ინტერესების დაკმაყოფილება.

სადაზღვევო ბაზარი - ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროა, სადაც სადაზღვევო მომსახურება ყიდვა-გაყიდვის ობიექტს წარმოადგენს. დაზარალებულისათვის ფულადი კომპენსაციის ანაზღაურება და სადაზღვევო პროდუქტზე მოთხოვნილების ზრდა ბაზრის განვითარების ობიექტური საფუძველია, რადგან ყოველთვის იარსებებს სადაზღვევო მომსახურებაზე მიწოდება-მოთხოვნის რეგულირების აუცილებლობა. სადაზღვევო კომპანიები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან ქვეყნის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. საქართველოში დაზღვევა უკვე ჩამოყალიბდა როგორც სპეციფიური ფინანსური სისტემა, რომელსაც აქვს საკუთარი ფინანსური რესურსები, ეკონომიკა და ორგანიზაციული სტრუქტურა.

საქართველოში 2009 წელს რეგისტრირებული ყველა სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 360 მლნ ლარი

<sup>1</sup> Шахов В., Ахвледиани Ю. Страховане, ЮНИТИ, М., 2009 г.

მაშინ, როდესაც მათ მიერ დაზღვეულებზე ანაზღაურებულმა ზარალმა – მხოლოდ 189 მლნ ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ 171 მლნ ლარი, ანუ მოზიდული პრემიის 48%, როგორც რეზერვი ეკონომიკისთვის, დარჩა სადაზღვევო ფონდების ანგარიშებზე და ეს რესურსი ქვეყნის რეალური ეკონომიკის საივესტიციო ფინანსური წყარო გახდა.

თუ წლების მიხედვით სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიის მოცულობის ზრდის დინამიკას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ პროგრესი აშკარაა: სადაზღვევო ბაზარი ძალზე სწრაფად ვითარდება – მხოლოდ 2009 წელს წინა წელთან შედარებით, მოზიდული პრემიის რაოდენობა 32,3%-ით გაიზარდა.

თუ 2009 წელს მოზიდული სადაზღვევო პრემიების მოცულობას გავაანალიზებთ ორგანიზაციების ჭრილით, დავინახავთ, რომ როგორც წინა წლებში, ამ თანხების მობილიზაციის უდიდესი ნაწილი ხუთ ლიდერ კომპანიაზე მოდის. ეს კომპანიებია: სადაზღვევო კომპანია „აღდაგი ბისია“ (68 მლნ ლარი), სადაზღვევო კომპანია „იმედი“ (61 მლნ ლარი), სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“ (59 მლნ ლარი), დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო“ (56 მლნ ლარი) და სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“ (51 მლნ ლარი). მათ მიერ მოზიდულმა ერთობლივმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა მთლიანად საქართველოში მოზიდული სადაზღვევო პრემიის 81 %.

დაზღვევის სახეობების მიხედვით საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ძალზე სპეციფიკურია, რადგან თუ ევროპის უმეტეს ქვეყანაში სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში დომინირებს ქონების და სიცოცხლის დაზღვევა, ამ თვალსაზრისით 2009 წლის მონაცემებით საქართველოში სადაზღვევო სახეობების მიხედვით ლიდერია სამედიცინო დაზღვევა. მას ბაზრის 68 % უკავია, ქონების დაზღვევას 8 %, ხოლო სიცოცხლის დაზღვევას კი - მხოლოდ 3%.<sup>1</sup> საქართველოში სამედიცინო დაზღვევის ასეთი მაღალი ხვედრითი წონა განპირობებულია იმით, რომ 2007 წლიდან მიმდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან სოციალურად დაუცველი ფენების დაზღვევა, რომელმაც თავდაპირველად თბილისსა და იმერეთში მოიცვა 200 ათასი ადამიანი, ხოლო 2008 წლიდან დაემატა კიდევ 500 ათასი უმწვეო მოქალაქე. ამასთან, 2008 წლიდან, უმწვეო მოსახლეობის გარდა, ჯანმრთელობის დაზღვევით სარგებლობენ სპეციალური ჯგუფები - პედაგოგები, ძალოვანი სტრუქტურები და საჯარო მოხელეები.<sup>2</sup>

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოძრაობს როგორც კერძო, ასევე საჯარო ფინანსები. ეს გადაღინების პროცესი, ცხადია,

<sup>1</sup> www.NBG.ge

<sup>2</sup> ჯანმრთელობის დაზღვევის მედიცინის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2009 წ.

აქტიურებს სადაზღვევო ბაზარს, ჩნდება მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, მაგრამ ცხადია, რომ აქ ამ ბაზრისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია კერძო ფინანსური რესურსების მობილიზაცია, რადგან სწორედ ის ქმნის ქვეყნის ეკონომიკისათვის ახალი ფინანსური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას. სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის ასევე ძალზე მნიშვნელოვანია სამართლებრივი ბაზის სრულყოფის თვალსაზრისით სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ჩამოყალიბდეს ისეთი ინსტიტუციონალური სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში გამართული სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბებას და მის შემდგომ სრულყოფას.

რაც შეეხება სახელმწიფო დაზღვევის ფინანსებს, ისინი მიუკუთვნება ფულადი სახსრების ცენტრალიზებულ ფონდებს, რასაც სახელმწიფო იღებს როგორც ძალაუფლების სუბიექტი. ასეთი ფონდების მიმართ სახელმწიფო გამოდის როგორც სრულფასოვანი მეპატრონე, რადგან შეუძლია იძულების წესით უზრუნველყოს საკუთარი შემოსავლები. სახელმწიფო დაზღვევის მიმართულებით ყველაზე დიდი ფინანსური რესურსები თავმოყრილია ევროკავშირის ქვეყნების სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ფონდებში.

სამედიცინო დაზღვევა ხორციელდება მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მასზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემა – სადაზღვევო მედიცინა ნაკლები დანახარჯებით მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარების გაწევის საშუალებას იძლევა. ამ მიზნით აშშ-ში ყოველწლიურად ეროვნული შემოსავლის 14% გამოიყოფა, ხოლო სადაზღვევო მედიცინის მქონე სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში – 6-8%.<sup>1</sup>

ავადმყოფობისაგან დაზღვევა გულისხმობს სამედიცინო მომსახურების შემდეგ სახეობებს: ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას, დაავადებათა პროფილაქტიკას, ვიწრო სპეციალობის ექიმებთან კონსულტაციებს, სამედიცინო-გინეკოლოგიურ დახმარებას და სხვა.

სოციალური სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება დასავლეთში ხანგრძლივი ისტორიულ-ეკოლოგიური პროცესი იყო. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ეკონომიკის სწრაფი ტრანსფორმაციის შედეგად შექმნილი მძიმე სოციალური ფონი სოციალური სფეროს ეკოლოგიური გზით რეფორმირების შესაძლებლობას არ იძლევა. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოხდეს ამ სისტემის სრული

<sup>2</sup> დ. ვეკუა მოსახლეობის სოციალური დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. თბილისი, 2003 წ., გვ. 109.

რეორგანიზაცია, რაც გულისხმობს სისტემაში არსებული მიდგომების ფუნდამენტალურ ცვლილებას და მის ორგანიზაციულ გადაპროექტებას დროის მოკლე ვადებში სწრაფი და მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის მიზნით.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის მართებული სისტემის შექმნისათვის აუცილებელია:

შესწავლილ იქნეს საქართველოში მოსახლეობის სოციალური დაცვის მდგომარეობა, დადგინდეს და განისაზღვროს მისი პრიორიტეტები, საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივები;

შეფასდეს ფინანსური ბაზის საიმედოობა, ეკონომიკური განვითარების, დემოგრაფიული მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;

შეიქმნას სოციალური დაცვის ისეთი სქემები, რომლებიც რეალურად ასახავს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს;

მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან კერძო სადაზღვევო სისტემის შემდგომი წახალისება;

სოციალური სფეროს რეფორმირების პროცესში ფართოდ იქნეს გამოყენებული საერთაშორისო გამოცდილება.

მართალია, საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ინტენსიურად ვითარდება, მაგრამ მარკეტინგული თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, რეალურად ჩამოყალიბდეს სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნა და, მეორე მხრივ, უკეთ დაკმაყოფილდეს სადაზღვევო ინტერესები.

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს:

ფიზიკური და იურიდიული პირების სადაზღვევო მომსახურებაზე ჯერ კიდევ არასათანადო მოთხოვნა და გადახდისუნარიანობის არსებული დონე;

დაზღვევის სფეროში საბაზრო მექანიზმების არაჯერონად გამოყენება, კერძოდ, სავალდებულო დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებლობა, რის გარეშეც შეუძლებელია ნებაყოფლობითი სადაზღვევო ბაზრის აქტიური განვითარება;

სადაზღვევო რეზერვების ხანგრძლივად განთავსების საიმედო ინსტრუმენტების გამოუყენებლობა;

სადაზღვევო ბაზრის ზოგიერთ სექტორში კონკურენციის შეზღუდულობა; განსაკუთრებით ეს შეეხება რეგიონებს, სადაც მოქმედებს მხოლოდ ერთი ან ორი სადაზღვევო კომპანიის ფილიალები;

სადაზღვევო კომპანიების კაპიტალიზაციის დაბალი დონე

და საგადაზღვევო სისტემის განუვითარებლობა;

პოტენციური კლიენტებისათვის სადაზღვევო მომსახურების შესახებ ინფორმაციის შეზღუდულობა;

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის, სადაზღვევო სფეროში უფლებების დაცვის საორგანიზაციო და სამართლებრივი სისტემის არასრულყოფილება.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე მოთხოვნილების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა კლიენტის მოზიდვა. ეს შესაძლებელია რეკლამის, მოქნილი სატარიფო პოლიტიკის, მომსახურების სერვისის და სხვა მარკეტინგული ღონისძიებების გამოყენების მეშვეობით. მარკეტინგული მომსახურების სრულყოფასთან ერთად სადაზღვევო ბაზრის განვითარების ვექტორი გადატანილ უნდა იქნეს ისეთი ღონისძიებების გატარებაზე, რაც აამაღლებს მომსახურების კულტურას, გააუმჯობესებენ მენეჯმენტს, ჩამოაყალიბებს დამკვეთ დამზღვევი ორგანიზაციების პოზიტიურ იმიჯს და ა.შ.<sup>1</sup>

სადაზღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთი სერიოზული მიმართულებაა ბაზრის კონიუქტურის პროგნოზი და ანალიზი. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია კონკურენტებზე ინფორმაციის მოპოვება, რადგან კონკურენცია ბაზრის განუყოფელი ნაწილია.

ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ პრაქტიკაში, საბანკო დეპოზიტების შემდეგ, სადაზღვევო სარეზერვო ფონდები თავისი მნიშვნელობით მეორე საკრედიტო რესურსია. ამ თვალსაზრისით საქართველოში პროგრესი აშკარად სახეზეა, რადგან სადაზღვევო კომპანიები და მათი ფინანსები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფინანსური ბაზრის განვითარებაში და სარეზერვო ფონდები, როგორც საკრედიტო რესურსები, აქტიურადაა ჩართული ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაში.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის ყალიბდება თანამშრომლობის სრულიად ახალი ტენდენცია, ისინი საკუთარ კლიენტებს სთავაზობენ საბანკო და სადაზღვევო მომსახურების მთელ სპექტრს “ერთი ხელიდან”. ამგვარ პრაქტიკას ეწოდება “კროსს-სელინგი”. ასეთი კომპანიების მთავარი მიზანია ბანკებმა ეფექტიანად გამოიყენონ სადაზღვევო კომპანიების განკარგულებაში არსებული თავისუფალი ფინანსური სახსრები, როგორც საკრედიტო რესურსი, ხოლო კომპანიებმა მიიღონ გარანტირებული მოგება, რადგან იურიდიული და ფიზიკური პირების

<sup>1</sup> ჯ. შათირიშვილი, ნ. კაკაშვილი. სადაზღვევო საქმე, თბილისი, 2008 წ. გვ.

ქონებრივი ინტერესების დაცვასთან ერთად, მოგების მიღება სადაზღვევო კომპანიებისათვის ერთ-ერთი მთავარი მოტივაციაა.

სადაზღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა რისკების გადაზღვევა, რომლის დროსაც, თავისი ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მზღვეველები თავის თავზე აღებულ სადაზღვევო რისკების ნაწილს გადასცემენ სხვა მზღვეველებს გარკვეული პირობების გათვალისწინებით. გადაზღვევის დროს მზღვეველი ხელშეკრულების საფუძველზე გადასცემს პასუხისმგებლობის გარკვეულ ნაწილს სხვა მზღვეველს, ამავე დროს გადაეცემა ამ პასუხისმგებლობის შესაბამისი სადაზღვევო შენატანების ნაწილიც. გადაზღვევის დროს შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიებმა გაცილებით მეტი ფინანსური რესურსები გამოანთავისუფლონ სარეზერვო ფონდებიდან და ის გახადონ დროებით თავისუფალი საკრედიტო რესურსი, რაც უდავოდ მნიშვნელოვნად გაააქტიურებს სადაზღვევო ბაზარს და ქვეყანაში განხდება დამატებითი საინვესტიციო შესაძლებლობები.

გადაზღვევა – სადაზღვევო ურთიერთობებში ფინანსური სტაბილურობის და ნორმალური საქმიანობის აუცილებელი პირობაა. იგი არ არის დამოკიდებული მზღვეველის არც საწესდებო კაპიტალის მოცულობაზე არც სარეზერვო ფონდების სიდიდეზე და არც სხვა ასპექტებზე. ამიტომ სადაზღვევო კომპანიები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ დაინტერესებული გადაზღვევაში პარტნიორების ძიებით და სასურველია ისინი იყვნენ მსოფლიოში ცნობილი სადაზღვევო „ბრენდებს”. ეს გაამყარებს დაზღვევისადმი მოქალაქეების და იურიდიული პირების ნდობას, რაც აუცილებლად გახდება საქართველოში მეტი ფინანსური რესურსების მოზიდვის საფუძველი.

გადაზღვევა სადაზღვევო ბაზრის რეგულირების თვალსაზრისით ასრულებს რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნქციას:

- ახდენს რესურსების გადანაწილებას;
- ააქტიურებს ფინანსური რესურსების დაგროვების შესაძლებლობას;
- ხელს უწყობს მზღვეველის საქმიანობის შედეგების დაბალანსებას;
- იზიდავს დამატებით ფინანსურ რესურსებს;
- აუმჯობესებს გადახდისუნარიანობის პირობებს.

გადაზღვევის მეშვეობით მზღვეველებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ უფრო დაბალანსებული სადაზღვევო პროფილი, დადონ ხელშეკრულებები და გარიგებები მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსე-



ბზე.

ამრიგად, საქართველოში სადაზღვევო ბაზარი სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებს, როგორც სპეციალიზებული საკრედიტო და საინვესტიციო ინსტიტუტი საბაზრო ურთიერთობების გამყარების პროცესში, ხოლო დაზღვევა კი თავისი შინაარსით იძენს ყველა იმ ნიშანს, რაც ფინანსური სისტემისათვის არის დამახასიათებელი. არსებობს დაზღვევის პროდუქტი - სადაზღვევო მომსახურება; არსებობენ სადაზღვევო მომსახურების გამყიდველები სადაზღვევო კომპანიების სახით და არსებობს მომხმარებელი; ჩამოყალიბდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ფინანსური მონიტორინგის სისტემა. ეს კი იძლევა საშუალებას საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდოს ბიზნესის დაინტერესება სადაზღვევო სისტემით და ჩამოყალიბდეს საიმედო, გადახდისუნარიანი კომპანიები, რომლებიც შემდგომ განვითარებაზე იქნებიან ორიენტირებულები.

**Peculiarities of Insurance Market Formation in Georgia and its Development Trends**

*D. Vekua ,  
N. Paresashvili*

The article “Peculiarities of Insurance Market Formation in Georgia and its Development Trends” provides analysis of insurance market development trends in Georgia and emphasizes that its development creates opportunities for the economy to attract new credit resources. The insurance market is developing intensively, though there is still much to be done in order, on the one hand, to create demand for insurance services and on the other hand to satisfy the insurance interests in a better way. The article provides the set of proposals for improvement of management and organizational structure in the insurance sector, improve culture of service and enhance all directions of



**ნეელი ხილას ევროპული ბაზარი  
და წარმოების პოტენციალი საქართველოში**

**ეთიარ ხარაიშვილი**  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
თსუ სრული პროფესორი  
**ეკატერინე გვილაძე**  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ზრუნვით აიხსნება ის ფაქტი, რომ მომხმარებელთა კვების სტრუქტურაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნედლეული ხილსა და ბოსტნეულზე მოთხოვნა. შესაბამისად, აუცილებელი გახდა ამ პროდუქტებზე არსებული მოთხოვნის შესწავლა და ადგილობრივი წარმოების პოტენციალის შეფასება. აღნიშნული პრობლემის კვლევით გამოვლინდება ალტერნატიული პროდუქტები, რომელთა წარმოებისთვისაც ქვეყანას ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პოტენციალი და ფარდობითი უპირატესობა გააჩნია. საქართველოსათვის ერთ-ერთი ასეთი პროდუქტია ნედლეული ხილის სახესხვაობა –ბალი.

დღემდე საქართველოში ბალის ბაზრისა და წარმოების პოტენციალის კვლევა არ ჩატარებულა, შესაბამისად ხელმისაწვდომი ანალიტიკური მასალა ფრაგმენტული, არასრულყოფილი და მოძველებულია. აქედან გამომდინარე, მიზნად დავისახეთ საქართველოში ბალის წარმოების პოტენციალისა და პროდუქტის ევროპულ ბაზარზე მიწოდების ხელშემწყობი პირობებისა და სირთულეების კომპლექსური გამოკვლევა.

კვლევისათვის განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

- ბალის წარმოებისა და მოხმარების ტენდენციების ანალიზი მსოფლიო და ევროპულ ბაზარზე;
- ევროპული ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებელი

ბელი ასპექტების შესწავლა;

- ევროპის ბაზარზე არსებული მიწოდების ქსელის ანალიზი;
- საქართველოში ბალის წარმოების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეფასება;
- ევროპის ბაზარზე ქართული ბალის გატანის შესაძლებლობების განსაზღვრა;
- საქართველოში ბალის წარმოების პოტენციალისა და ევროპის ბაზარზე გასვლის შესაძლებლობის დადგენის შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ეკონომიკური ანალიზის მეთოდები. ასევე, ჩატარდა SWOT ანალიზი, რომლითაც გამოვლინდა ბალის ბაზრის ძლიერი და სუსტი მხარეები, გამოიკვეთა შესაძლებლობების, რეალიზაციისა და საფრთხეების მინიმუმადე დაყვანის მექანიზმები. ევროპის ქვეყნების ბაზარზე ქართული ბალის შეღწევის სტრატეგია შეფასდა პორტერის კონკურენციის ხუთი ფაქტორის მიხედვით.

კვლევისათვის ინფორმაცია მოვიპოვეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, ბიბლიოთეკებში, კვლევით დაწესებულებებში, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციაში, ინტერნეტის საშუალებით. პირველადი წყაროებიდან ინფორმაციები შეფასდა რაოდენობრივი კითხვარის საშუალებით, ხარისხობრივი ინფორმაცია კი დადგინდა დისკუსიებითა და ინტერვიუებით; ასევე, დეტალურად გავანალიზეთ რესპოდენტებიდან მიღებული მასალები. გამოვიყენეთ ღია (რესპოდენტები აფიქსირებდნენ საკუთარ აზრს) და დახურული (შეიცავდა სავარაუდო პასუხის ვარიანტებს) კითხვარი. შეკითხვების 80% იყო დახურული, ხოლო 20% – ღია. ღია შეკითხვების საშუალებით მოხდა ხარისხობრივი მონაცემების კონცენტრაცია. ასევე, მიღებული შედეგებით გადამოწმდა რაოდენობრივი მონაცემების სისწორე.

კვლევის სფეროდ შეირჩა შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონი. გამოიკითხა 21 რესპოდენტი, კერძოდ:

- სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული წარმომადგენლები;
- ბალის მწარმოებელი ფერმერები;
- სანერგეების მფლობელები;
- ბალის კონსოლიდატორები და ექსპორტიორები;
- სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლები.

კვლევა ჩატარდა შემდეგი ეტაპების მიხედვით: პრობლემის იდენტიფიკაცია, კვლევის ძირითადი მიზნებისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, მეორადი ინფორმაციის დამუშავება (არსებული ინფორმაციის ანალიზი, პუბლიკაციები, ანგარიშები), პირველადი ინფორმაციის მოპოვების მეთოდების შემუშავება (კითხვარის შედგენა და ტესტირება), სავსე გასვლები (პირველადი ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი), შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

მსოფლიოში ბალის კულტურით დაკავებული ფართობი 1990-2009 წლებში 28%-ით გაიზარდა და 370 ათასი ჰა შეადგინა. 2006 წლიდან ბაღების ფართობის რაოდენობა შედარებით სტაბილურია და მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია. ეს შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ ბოლო პერიოდში ყურადღება გადატანილია მაღალმოსავლიან ჯიშებსა და წარმოების ინტენსიურ ტექნოლოგიებზე.

მსოფლიოში ბალის ფართობის დინამიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ახლო აღმოსავლეთის, ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში ამ მაჩვენებლის ზრდა, ხოლო ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შემცირება შეინიშნება. 1995-2009 წლებში ბალის ფართობი მნიშვნელოვანად გაიზარდა ჩილეში (3265 ჰა-დან 12969 ჰა-მდე), ჩინეთში (1000 ჰა-დან 7000 ჰა-მდე), პორტუგალიაში (3334 ჰა-დან 6255 ჰა-მდე).

ბალის წარმოებაში მკვეთრი ზრდის ტენდენცია 1990-2000 წლებში დაფიქსირდა, კერძოდ, ეს მაჩვენებელი 27%-ით გაიზარდა. 2002 წელს ბალის ფართობმა 364 849 ჰა შეადგინა, მაგრამ სხვა წლებთან შედარებით იმდენად დაბალი იყო მოსავლიანობა, რომ წარმოების შესაბამისი ზრდა არ მოჰყოლია. 2005-2009 წლებში


ბალის წარმოება მსოფლიოში შედარებით სტაბილური გახდა.<sup>1</sup>

ბალის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია: თურქეთი, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია, ესპანეთი, გერმანია, რუსეთი, საფრანგეთი, რუმინეთი, უკრაინა.

2002-2009 წლებში ბალის წარმოება მკვეთრად გაზარდა თურქეთში (99%-ით) და აშშ-ში (100%-ით). განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა რუმინეთის მაგალითი. ბალის ფართობის 40%-იანი შემცირების ფონზე ამ ქვეყანაში წარმოება 10%-ით გაიზარდა და 70 ათასი ტონა შეადგინა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ყურადღება გამახვილდა ბალების განახლებასა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე. მოსავლიანობამ ბალის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში შეადგინა (ტონობით): თურქეთში – 11, აშშ-ში – 11,3, ესპანეთში – 3,5. მსოფლიოში ბალის მოსავლიანობა არის 5,8. 2009 წლის მონაცემებით, ბალის ბალების ფართობმა 370 ათასი ჰა შეადგინა, რომლის ძირითადი ნაწილი არის თურქეთში – 10%, აშშ-ში – 9%, ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და იტალიაში – თითოეულში 8%, რუსეთში – 7% (იხ. დიაგრამა 1).

ბალის ბალების წილი ძირითადი მწარმოებელი ქვეყნების მიხედვით 2009 წელს<sup>2</sup>

დიაგრამა 1




<sup>1</sup> <http://faostat.fao.org>

<sup>2</sup> <http://faostat.fao.org>

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში ბალის წარმოება 2.1 მლნ ტონას შეადგენს, რაც ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული (იხ. დიაგრამა 2).

ბალის წარმოების წილი მსოფლიოში 2009 წელს<sup>1</sup>

დიაგრამა 2



თურქეთში ბალის წარმოების ზრდა საუკეთესო მენეჯმენტით და სასუქების რაციონალურად გამოყენებითაა მიღწეული. უახლოეს პერიოდში თურქეთს დაგეგმილი აქვს ბალის წარმოების 3%-ით გაზრდა. ეს ახალი ინტენსიური ბალების სრულ მსხმოიარობაზე გადასვლით იქნება განპირობებული.

წინასწარი პროგნოზით, წარმოების ზრდა მოსალოდნელია აშშ-შიც, სადაც ნედლი ბალის მოხმარება საგრძნობლად გაიზარდა დაბალი ადგილობრივი ფასების, საუკეთესოდ ჩამოყალიბებული სადისტრიბუციო ქსელისა და ინტენსიური პრომოუშენის შედეგად.

ბალი არის ალტერნატიული ხილი მაღალშემოსავლიანი მომხმარებლის სეგმენტისათვის არა მარტო სეზონურად, არამედ მთელი წლის განმავლობაში. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს ერთგვარ სტიმულს მსოფლიოში ბალის პოტენციური მწარმოებლებისათვის, მათ შორის საქართველოს ფერმერებისთვისაც.

ბალის იმპორტის დინამიკის შესწავლამ გამოავლინა, რომ 1980-იანი წლების შემდეგ მსოფლიოში ეს პროცესი საკმაოდ დიდი რყევებით ხასიათდებოდა. 2008 წელს ბალის იმპორტის

<sup>1</sup> <http://faostat.fao.org>

მოცულობა დაახლოებით 4-ჯერ გაიზარდა და 272 ათასი ტონა შეადგინა, მათგან 40% ევროპის ქვეყნებზე მოდიოდა (27 ქვეყანა).<sup>1</sup> ეს ადასტურებს, რომ ევროპაში ბალზე მეტი მოთხოვნაა, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

იმპორტში წამყვანია ათი ძირითადი ქვეყანა: რუსეთი, გერმანია, ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, კანადა, იაპონია, იტალია, აშშ, ჰოლანდია. ამ ქვეყნებზე მოდის მსოფლიო ბალის იმპორტის დაახლოებით 81-83%.

მსოფლიო ვაჭრობის მონაცემებით ბალის იმპორტის აბსოლუტური რაოდენობა და ღირებულება ერთმანეთისგან განსხვავებულია. მაგალითად, 2005 წელს რუსეთის ფედერაციაში რაოდენობრივად ყველაზე მეტი ბალი იქნა იმპორტირებული – მთლიანი რაოდენობის 16%, მაგრამ დაბალი ფასების გამო, ღირებულებით მაჩვენებელი მთლიანი იმპორტის მხოლოდ 6% შეადგინა. ერთეულ პროდუქტზე საიმპორტო ფასი ყველაზე მაღალია იაპონიაში, კანადაში, ჩინეთში, დიდ ბრიტანეთში.

ბალის ძირითადი ექსპორტიორებია: აშშ, თურქეთი, ავსტრია, ჩილე, ესპანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, სირია, ჰოლანდია და გერმანია. აშშ-ზე მოდის ბალის მთლიანი ექსპორტის 20%. იგი ძირითადად ჩინეთსა (30%) და კანადას (28%) ამარაგებს. მეორე მსხვილი ექსპორტიორია ჩილე. მისი წილი მსოფლიო ბაზარზე 18%-ია. თურქეთი მსოფლიო ექსპორტის 11%-ს იკავებს და ძირითადად ევროპის ქვეყნებს ამარაგებს, კერძოდ: გერმანიას (45%), დიდ ბრიტანეთს (19%), ჰოლანდიას (6%), იტალიას (7%).

ევროპის ქვეყნებში, 2009 წლის მონაცემებით, ბალის ბაზრის ფართობი 129 491 ჰა-ს შეადგენს. მისი ძირითადი ნაწილი განლაგებულია ესპანეთში 20% (26 000 ჰა), იტალიაში – 23% (29 700 ჰა), საფრანგეთში – 9.2% (12 000 ჰა), ბულგარეთში – 9.2% (12 000 ჰა). ამავე პერიოდში ევროპის ქვეყნებში წარმოებულ იქნა 546 840 ტონა ბალი, მათ შორის იტალიაში – 23%, რუმინეთში – 12.4%, ესპანეთში – 16.5%, საფრანგეთში -7.7%, საბერძნეთში – 7.7%.<sup>2</sup>

ევროპის ბაზარი განსაკუთრებით მიმზიდველია ნედლი

<sup>1</sup> <http://faostat.fao.org>

<sup>2</sup> <http://faostat.fao.org>

ბალის ექსპორტიორებისათვის. 2001-2009 წლებში ნედლი ბალის იმპორტი ამ რეგიონში 37%-ით გაიზარდა. ექსპერტების აზრით, ნედლ ბალზე მოთხოვნის ზრდის ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა გერმანიაში, ავსტრიაში, დიდ ბრიტანეთსა და ჰოლანდიაში.

ევროპის ქვეყნებში ბალის იმპორტი ძირითადად 4 ქვეყანაზეა განაწილებული: ავსტრია, გერმანია, ჰოლანდია და დიდი ბრიტანეთი. 2001-2009 წლებში ავსტრიაში იმპორტი 12%-ით, გერმანიაში – 18%-ით, ჰოლანდიაში – 82%-ით, დიდ ბრიტანეთში – 52%-ით გაიზარდა.

გერმანიის ბაზარზე ნედლი ბალის ყველაზე დიდი მიმწოდებლებია ავსტრია, იტალია საფრანგეთი, საბერძნეთი, ბელგია. თუმცა, ავსტრია თავად ახორციელებს თურქეთიდან ნედლი ბალის იმპორტს, თანაც საკმაოდ დიდი მოცულობით - 93%-ს.

ჰოლანდიის ბაზარზე ნედლი ბალის ძირითადი მიმწოდებელია საბერძნეთი, რომლის წილი მთლიან იმპორტში 59%-ია (6785 ტონა). დანარჩენი იმპორტიორებიდან გამოირჩევა: საფრანგეთი – 7.0% (804 ტონა), ესპანეთი – 6.9% (801 ტონა), თურქეთი – 5.1% (591 ტონა), ბელგია – 4.2% (479 ტონა), ჩილე – 3.4% (387 ტონა).

ქართული ბალის პოტენციური საერთაშორისო ბაზარი ძირითადად დიდი ბრიტანეთია, რაც რიგი მიზეზით შეიძლება აიხსნას. ამ ქვეყანაში ბალის მოხმარება მკვეთრი ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ასევე, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საიმპორტო ფასი ერთეულ პროდუქტზე ყველაზე მაღალია – ერთ ტონაზე 4 855 აშშ დოლარი.

დიდ ბრიტანეთში ბაზარი შედარებით დივერსიფიცირებულია. ქვეყანას ნედლი ბალი მთელი წლის განმავლობაში მიეწოდება. ბაზრის მთლიან მოცულობაში ადგილობრივი წარმოება მხოლოდ 5%-ია. წარმოების ამგვარი დაბალი მაჩვენებელი გამოწვეულია ადგილობრივი ცივი კლიმატური პირობებით – სეზონი ამ ქვეყანაში 5-8 კვირა გრძელდება (ივნისი, ივლისი).

დიდი ბრიტანეთის ბაზარზე ბალის ძირითადი მიმწოდებლებია თურქეთი, აშშ და ჩილე. თანამედროვე ტექნოლოგიების



დანერგვით (იგულისხმება ინტენსიური ბაღების გაშენება) თურქეთში ბაღის მოსავლიანობაა 11 ტ/ჰა, ხოლო აშშ-ში 11.3 ტ/ჰა. დიდ ბრიტანეთში ბაღის ძირითადი იმპორტიორი კომპანიებია, „UTOPIA Limited” და „AMS Exotics”<sup>1</sup>.

ევროპის ბაზარზე დღეს მომხმარებლის მთავარი მოთხოვნაა ბაზარს ბალი მთელი წლის განმავლობაში მიეწოდებოდეს. ეს გარემოება ხელს უწყობს ბაღის სეზონური მწარმოებლების ურთიერთთანამშრომლობას. მაგალითად, თურქეთი და არგენტინა ბაღს სხვადასხვა პერიოდში აწარმოებენ, კერძოდ თურქეთი – მაის-ივლისში, არგენტინა – დეკემბერ-თებერვალში. ეს ქვეყნები დიდი ბრიტანეთის ბაზარს თანამშრომლობის საფუძველზე ინაწილებენ.

ბაღის წარმოება მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, მაინც არის პერიოდები, როდესაც მწარმოებლები ბაზარს ვერ აწვდიან ნედლ ბაღს, კერძოდ მარტსა და ოქტომბერში.

ბაღის მიწოდება ევროპის ბაზარზე აპრილიდან იწყება აშშ-დან (კალიფორნიის შტატი). მაისის შუა რიცხვებში მიწოდება ერთდროულად იწყება ესპანეთიდან, თურქეთიდან, ასევე გრძელდება აშშ-დან. ნორვეგია ევროპას ნედლ ბაღს აწვდის სექტემბრის ბოლომდე. ჩილეში, არგენტინაში, სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში ბაღის სეზონი ნოემბერში იწყება.

ევროპის ბაზარზე ნედლი ბაღის მიწოდების პირობების გამოსავლენად აუცილებელია საქართველოს რესურსული პოტენციალისა და უპირატესობების შესწავლა. ექსპერტების დასაბუთებული შეფასებით კახეთში, ქვემო ქართლსა და იმერეთში საადრეო პროდუქტის წარმოების მიზნით შესაძლებელია სამრეწველო ბაღების, ხოლო შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში კი - ინტენსიური ბაღების გაშენება; ნაკლებად მიზანშეწონილია კომერციული ბაღის წარმოება გურიაში, აჭარაში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> www.cbi.eu

იმერეთი, ექსპერტების აზრით, სარისკო ზონაა, მაგრამ ულტრა საადრეო ჯიშებით ვანისა და სამტრედიის რაიონები შესაძლებელია ჩართულ იქნეს ბაზარზე საადრეო ხილის მიმწოდებელთა ჯაჭვში.

საორიენტაციოდ, 8-10 წლის მანძილზე, საქართველოში შესაძლებელია 20000–25000 ტონა ბაღის წარმოება. თავდაპირველად, 1000 ჰა ინტენსიური ბაღის გაშენების შემთხვევაში, საშუალოდ 15000 – 20000 ტონა ნედლი ბაღის წარმოების პოტენციალი არსებობს.<sup>2</sup>

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ნაკლებად გამართლებულია ბაზარზე ორიენტირებული კომერციული ბაღის წარმოება. ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მოკლე სავეგეტაციო პერიოდი, ასევე, მიწის რესურსების სიმცირე და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები.

საქართველოში ბაღის კომერციული წარმოების შესაძლებლობების დასადგენად შედგა კითხვარები და გასაუბრება ჩაუტარდათ ფერმერებს, სანერგეების მფლობელებს, კონსოლიდატორებს და სატრანსპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ფერმერთა გამოკითხვა ჩატარდა შიდა ქართლში, კახეთსა და ქვემო ქართლში.

კოლექტიურობა და ჯგუფური ორიენტაცია როგორც ყოფაცხოვრებით, ასევე საქმიან სფეროში – თავდაპირველად დამახასიათებელია აღმოსავლეთის ქვეყნების საქმიანი კულტურისათვის. აღმოსავლეთის კულტურაში საზოგადოების უჯრედად გვევლინება არა ინდივიდუმი, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, არამედ ადამიანთა ჯგუფი. ადამიანი ჯგუფთან თავის იდენტიფიცირებას, უპირველეს ყოვლისა, ახდენს სულ მცირე, როგორც ინდივიდუმი, პიროვნება. ინდივიდუალური ინტერესების წამოყენება იაპონურ საქმიან გარემოში უზრდელობად ითვლება, უხამსობის ტოლფასად აღიქმება. ასე მაგალითად, იაპონური ტექნიკის მაღალი ხარისხი ცნობილია მთელ მსოფლიოში, ხოლო იაპონელების სახელები (მეცნიერების, გამოგონებლების, ბიზნესის ლიდერების), რომელთაც უზრუნველყვეს იაპონიის ტექნოლოგიური ლიდერობა, პრაქტიკულად უცნობია მსოფლიო საზოგადოებისათვის. აღმოსავლეთის საქმიანი კულტურაში კოლექტივიზმი აყვანილია აბსოლუტამდე – ნათესაურ პროტექციონიზმამდე და კლანურობამდე.

ინდივიდუალურობა უშუალოდ დაკავშირებულია დამოუკიდებლობასა და პიროვნების თავისუფლებასთან. ამერიკე-

<sup>1</sup> <http://www.legacee.com/Culture/AmericanCulture.html>

<sup>2</sup> [http://www.myjapanphone.com/business\\_culture.html](http://www.myjapanphone.com/business_culture.html)

ლის დამოუკიდებლობა და შინაგანი თავისუფლება ვლინდება ადამიანის უფლებების, სიტყვის და ინფორმაციის თავისუფლებისადმი გულწრფელ პატივისცემაში. ადამიანის უფლება – ამერიკული კონსტიტუციის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ჩინეთში და ზოგიერთ სხვა აზიურ ქვეყანაში სხვა პრიორიტეტებია. ჯგუფის (ფირმის, კომპანიის) უფლებები და ინტერესი მნიშვნელოვანია ცალკეული პიროვნების უფლებაზე. აღმოსავლეთის საქმიანი კულტურის წევრი დაკავშირებულია მრავალი ვალდებულებით რიგ ჯგუფთან ურთიერთობაში, რაც მას უზღუდავს სოციალურ მობილურობას.

ამერიკელები, ბრიტანელები და სამხრეთ ევროპელები მკაცრად იცავენ საკუთარ უფლებებსა და კერძო ცხოვრებას, ზიზღით ეკიდებიან მასში ნებისმიერ ჩარევას. აღმოსავლეთის ქვეყნებში კი გმობენ დასავლეთის სწრაფვას – ადამიანმა მიაღწიოს ინდივიდუალურობას ნებისმიერ ფასად<sup>1</sup>.

აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებისათვის, დასავლეთისგან განსხვავებით, დამახასიათებელია რთული იერარქია და ხელისუფლებასთან დიდი დისტანცია. ეს ნიშნავს იმას, რომ დიდია განსხვავება იერარქიის სხვადასხვა დონის ძალაუფლებათა შორის. იაპონური საზოგადოება, მისი ათასწლოვანი იმპერიული ისტორიით, ორგანიზებულია მკაცრად ვერტიკალურად. ხშირად, ასაკსა და მუშაობის სტაჟს ტრადიციულად უფრო უპირატესობას ანიჭებდნენ, ვიდრე კვალიფიკაციას. ასაკოვან თანამშრომელზე (თუნდაც ნაკლებად კვალიფიციური იყოს) წინ ახალგაზრდის დაწინაურება სამსახურებრივად მიუღებლად მიაჩნიათ<sup>2</sup>.

იაპონელი თავის იდენტიფიცირებას ახდენს ჯგუფთან იერარქიულ მანერაში. იაპონურ კომპანიაში დასაქმებული (თავისებურ კლანში) ვალდებულია ერთგული იყოს კლანში არსებული ღირებულებებისადმი და ურთიერთობების ვერტიკალური სისტემის მიმართ. ეს სისტემა აისახება ქვემოთ მდგომებისადმი დაქვემდებარებაში და ზემოთ მდგომებისადმი კეთილგანწყობაში. ძალაუფლება კლანში დამყარებულია არა რესურსების განკარგვაზე ან

<sup>1</sup> John Mole. Managing Business Cultures in a Global Europe. London, 2003, p.61-66.

<sup>2</sup> Scott D. Seligman. Chinese Business Etiquette. Ney York. 1999, p. 44-63.

შარმზე (მიმზიდველობაზე) და ქარიზმზე და არა სხვა დასავლურ ცნებებზე, არამედ იაპონურ წესრიგიანობაზე. ამერიკელებისთვის შოკის მომგვრელია ბოროტება და უხეშობა, რაც დამახასიათებელია იაპონელი მენეჯერებისათვის დაქვემდებარებულებთან დამოკიდებულებაში. ზემდგომის ძალაუფლების გამოვლენა ქვემდგომისადმი იაპონელებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

ეგალიტარიზმი, როგორც ტოლფასი ურთიერთობების სტილი, დამახასიათებელია დასავლეთისა და განსაკუთრებით ამერიკული საქმიანი კულტურისათვის. აშშ, ესაა ქვეყანა, სადაც მაღალი სოციალური მობილურობით (მერიტოკრატის საზოგადოება). საზოგადოებას ხელმძღვანელობენ ადამიანები, რომელთა მაღალი მდგომარეობაც გაპირობებულია პირადი მიღწევებით და არა მემკვიდრეობითი სტატუსით ან პროტექციით.

ამერიკელები საქმიან გარემოში ერთმანეთს მიმართავენ სახელებით. თვლიან, რომ ეს აადვილებს კომუნიკაციას. ამასთან, სხვაობა ასაკსა და სტატუსში შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. ინგლისურ ენაში (ქართულისგან განსხვავებით) არც კი არის ორი ნაცვალსახელი - „შენ“ და „თქვენ“, არის მხოლოდ ერთი („You“ – „შენ/თქვენ“). აღმოსავლეთის საქმიან კულტურაში ხშირად სხვასთან მიმართვის დროს უნდა ჩამოითვალოს მოსაუბრის ყველა სახელი და ტიტული<sup>3</sup>. ფაქტობრივად, ეს ამყარებს იერარქიულ ურთიერთობებს. იერარქიულობის ხაზგასმით აღნიშვნა, ამერიკელი მკვლევარების აზრით, არის ერთგვარი ქცევის წესი რიგ იაპონურ კომპანიაში.

„აღმოსავლეთში ფიქრობენ ერთს, ლაპარაკობენ მეორეს, ხოლო აკეთებენ მესამეს“. ეს აღმოსავლური სიბრძნე ქართველების მიერ აღიქმება როგორც ეშმაკობა (ქვეშევსება), მზაკვრობა, უნამუსობა. ამავე დროს, დასავლეთის ბიზნესის ტრადიციები, ერთმანეთისგან რომ არ განსხვავებენ სიტყვას და ქცევას, ქართველების მიერ აღიქმება, როგორც მოულოდნელი სწორხაზოვნება და წინდაუხედაობა.

ამერიკელების საქციელი ხშირად აღიქმება უცერემონიო

<sup>3</sup>Kevin B Bucknall. Japan. Doing Business in a Unique Culture. Tokio. 1998, p. 34-41.

ადამიანის საქციელად, ისინი უკომპლექსოები არიან. ამერიკელს არ აღარდებს, რომ ის არ არის ისეთი, როგორც სხვები. ადამიანის უფლება, რომ იყოს სხვანაირი, აღიარებულია ამერიკელების კულტურით. მათი აზრით, სწორედ მრავალფეროვნებასა და ორიგინალურობაშია ახალი იდეების, ინოვაციების წყარო, ისინი თვლიან, რომ ამის შედეგია პროგრესი და საზოგადოების კეთილდღეობა.

სწორხაზოვნება დასავლეთის ქვეყნებში და განსაკუთრებით ამერიკულ საქმიან კულტურაში, იაპონელებს მიაჩნიათ არათავაზიანობის და თითქმის თავხედობის გამოხატულებად. თუკი ამერიკელები მორიდების გარეშე უარს ამბობენ უინტერესო წინადადებაზე, იაპონიასთან შედარების დროს გასათვალისწინებელია ის, რომ აქ არ არსებობს სიტყვა „არა“. იაპონელები თვლიან, რომ ეს არათავაზიანობაა და ყოველნაირად ცდილობენ თავი აარიდონ პირდაპირ უარს, თუმცა, პრინციპში პარტნიორების აზრით სწორედ ეს შეიძლება იგულისხმებოდეს.

იაპონელებისთვის გულწრფელობა – ეს არის ადამიანის სწრაფვა შეინარჩუნოს ურთიერთობათა „ჰარმონია“, ანუ არ დაირღვეს გარშემომყოფთა კომფორტი, კეთილგანწყობა და სიმშვიდე. იაპონური მეტყველება ქართულ ენაზე უღერს მაღალფარდოვნად.

ამერიკელების სწორხაზოვნება ვლინდება მზადყოფნაში დაიწყო მონაპარაკება მაშინვე საქმიდან – ციფრებიდან, დოკუმენტებიდან და კონკრეტული წინადადებებიდან, თუნდაც, პარტნიორები პირველად ხედავდნენ ერთმანეთს. დროის დაკარგვა მათთვის ფულის დაკარგვის ტოლფასია. აღმოსავლეთის პარტნიორების თვალსაზრისით, „დაუფიქრებლობა“ და გაუფრთხილებლობა დასავლეთის ქვეყნებში გაპირობებულია სამართლებრივი ურთიერთობების მაღალი დონით, რაც მონაწილეებს პარტნიორის მოტყუებისგან რეალური დაცვით უზრუნველყოფს.

ამერიკაში პარტნიორებს შორის საქმიანი კონტრაქტი კანონითაა დაცული. მისი დამრღვევი რეალურად ისჯება კანონით. აღმოსავლეთის ქვეყნებში არ არის მხარეთა ასეთი საიმედო იურიდიული დაცვა გარანტირებული, ამიტომაც, გარანტიად აქ

გვევლინება პოტენციურ პარტნიორთან ნათესაური კავშირები და საკმაოდ კარგი პირადი ნაცნობობა.

ამერიკელს გადაწყვეტილების მიღება შეუძლია მოლაპარაკების პროცესში (არც მანამდე და არც მას მერე იაპონელის მსგავსად). იაპონელები და ჩინელები მოლაპარაკებაზე მიდიან ჯგუფურად, უკვე მიღებული გადაწყვეტილებით. იაპონური ჯგუფის (გუნდის) წევრები მოლაპარაკების დაწყებამდე ერთმანეთში ათანხმებენ საკუთარ პოზიციას და მას არ ცვლიან მოლაპარაკების პროცესში. გადაწყვეტილებას ისინი არ ცვლიან იმიტომ, რომ მათ უკვე მიღებული აქვთ ის. პოზიციის შესაცვლელად იაპონელები ხელახლა უნდა შეიკრიბონ საკუთარ წრეში და შეათანხმონ ერთმანეთში ახალი ვარიანტი, რომელიც მხოლოდ ამის შემდეგ გამოაქვთ კვლავ მოლაპარაკებაზე. იაპონელები და ამერიკელები საქმიან შეხვედრებს ანიჭებენ სხვადასხვა მნიშვნელობას. ამერიკელები შეხვედრაზე მიდიან პრობლემის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად. იაპონელები თვლიან, რომ შეხვედრა ტარდება გადაწყვეტილების გამოსაცხადებლად და ამ გუნდური გადაწყვეტილების პარტნიორებისთვის გასაცნობად.

იაპონელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გულწრფელობას ბიზნესში, თუმცა, ეს ცნება იაპონელებისა და ამერიკელებისთვის ერთსა და იმავეს არ ნიშნავს. აშშ-ში გულწრფელი ადამიანი ისე იქცევა, რომ სხვებისთვის ცნობილი ხდება მისი ურთიერთობების და განზრახვის შესახებ. იქ მიაჩნიათ, რომ მთავრია გულწრფელობა, თუნდაც იგი არ შეესაბამებოდეს სიმართლეს. იაპონელებს არა აქვთ ასეთი აქცენტი გაკეთებული გულწრფელობაზე. მათთვის გულწრფელი ადამიანი ისე იქცევა, რომ არ აწყენინებს სხვას. იყო გულწრფელი – იაპონიაში ნიშნავს შეუქმნა სხვებს მოწესრიგებული, ჰარმონიული სამყარო.

თვითდაჯერებულობა, აგრეთვე, განეკუთვნება ამერიკული საქმიანი კულტურის დამახასიათებელ თვისებებს. შეიძლება ითქვას, რომ აშშ არის თვითდაჯერებულების ქვეყანა, რომელთაც ქედმაღლობა სისხლში აქვთ გამჯდარი და ამ მიმართულებით ადამიანის აღზრდას დაბადებიდანვე დიდ მნიშვნელობას ანი-

ტეხენ. აშშ-ის მსოფლიო ლიდერობა ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კულტურაში ეფუძნება თვითდაჯერებულ ადამიანებს, რომლებიც მოტივირებულნი არიან ინდივიდუალურ მიღწევებზე. თუმცა თვითდაჯერებულობა უპირატესობაა არა სხვებთან (პიროვნებებთან) შედარებით, არამედ – გარემოებაზე, სირთულეებზე, საკუთარ სისუსტეებზე.

სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში კომპრომისს. პრობლემის გადაწყვეტის მიზნით კომპრომისი დასავლეთის საქმიან კულტურაში კეთილი ნების, სურვილის და მისწრაფების დამადასტურებელია, რომ გადაწყდება პრობლემა. აღმოსავლეთში კი კომპრომისი უფრო უარყოფითი კონტექსტით განიხილება. აქ კომპრომისზე წასვლა ნიშნავს – ხასიათის სისუსტის გამოვლენას, საკუთარი პოზიციების შენარჩუნების უუნარობას. მიდის რა კომპრომისზე, აღმოსავლეთის საქმიანი კულტურის წარმომადგენელი, „კარგავს სახეს“.

განსხვავებულია ასევე დამოკიდებულება დროსთან მიმართებით. დრო დასავლეთის გაგებით არსებობს წარსულის, აწმყოსა და მომავლის. დრო რესურსია, რომელიც უნდა დაიგეგმოს და რაციონალურად იქნეს გამოყენებული; დრო ფულია. დასავლეთის საქმიანი კულტურები უპირატესად მონოაქტიურები არიან, ანუ ყველა მოვლენა დროში არის თანმიმდევრულად და მოწესრიგებულად განაწილებული და კონკრეტულ მომენტში კეთდება ერთი საქმე. ამერიკელმა იცის, რა ღირს მისი დროის ერთი საათი. აღმოსავლეთში დროის მიმართ მიდგომა შედარებით განსხვავებულია. მაგალითად, თუკი გავიდა დროის დათქმული პერიოდი, და დაგეგმილი არ შესრულდა, მათი გაგებით ეს არ ნიშნავს დროის დაკარგვას. აქ გულისხმობენ, რომ ეს დრო კვლავ დადგება, მხოლოდ ეს მოხდება უკვე დღის, კვირის ან წლის შემდგომ ციკლზე. აღმოსავლეთში მოვლენები მიბმულია არა იმდენად დროსთან, რამდენადაც გარემოებებსა და ადამიანებთან.

საიმედოობა, როგორც ვალდებულება, სიზუსტე და პუნქტუალურობა დასავლეთის ბიზნესში – საქმიანი რეპუტაციის საკითხია. ზრდილობიანობა და ტაქტიანობა საქმიანი ქცევის

შეცდომას წარმოადგენს. შემთხვევითი არაა, რომ ამერიკული ტერმინი – ‘deadline’ ნიშნავს უკიდურეს და ბოლო ვადას<sup>1</sup>. ამის შემდეგ არავითარი დათმობა არავისზე არ ვრცელდება და ეს ყველამ იცის. აღმოსავლეთის საქმიან კულტურაში მოვლენა ან თავად პიროვნება დროის ფაქტორზე უფრო მნიშვნელოვანია. იქ ცნება ‘დედლაინი’ არ არსებობს – ცნება ფარდობითია და დამოკიდებულია ურთიერთობებსა და გარემოებებზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ ამერიკელები ორიენტირებულნი არიან მოკლევადიან საქმიან ურთიერთობებზე. იღბლიანი გარიგება მათ თავისთავად აწყობთ. აღმოსავლეთში მიღებულია გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობების დამყარება და განვითარება. პარტნიორის მოკლევადიანი ინტერესები იწვევს გაუგებრობას, დაბნეულობას და სიფრთხილეს. აღმოსავლეთის კულტურისთვის დამახასიათებელია ჰორიზონტალური შეთანხმებების საფუძველზე გადაწყვეტილებათა ხანგრძლივი განხილვა, და ბოლოს კი, მათი არაზუსტად შესრულება.

იაპონური კორპორატიული გადაწყვეტილებების მიღება იმიტომ ემყარება ექსტენსიურ არაფორმალურ კონსულტაციებს, რომ შეგროვდეს და გავრცელდეს ინფორმაცია და უზრუნველყოფილ იქნეს ერთგულება ყველა მონაწილე მხარის გადაწყვეტილებისადმი. არსებობს სპეციალური ტერმინიც კი ამ შემთხვევისთვის – nemawashi, რომელიც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ‘ხის ფესვების შეკვრას გადასარგველად’<sup>2</sup>.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ იაპონური კომპანიებისთვის მენეჯმენტი არის ძალაუფლების კეთილმოხურნედ გამოყენება წესრიგისა და ჰარმონიის უზრუნველსაყოფად. ამერიკელებისთვის კი მენეჯმენტი ერთგვარი პროცესია, რომლის არსიც შეიძლება შემდეგი სიტყვებით გამოვხატოთ – ‘სტიმული - რეაქცია’.

საქართველოში ცალმხრივი არჩევანის გაკეთება აღმოსავლეთის ან დასავლეთის ქვეყნების მენეჯმენტზე არ მიგვაჩნია

<sup>1</sup> Tamar Frankel. Trust and Honesty: America’s Business Culture at a Crossroad. Oxford, 2008, p.78.

<sup>2</sup> Kevin B Bucknall. Japan. Doing Business in a Unique Culture, Tokyo, 1998, p.45.



მიზანშეწონილად. საჭიროა ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის (ტრადიციები, ადათ-წესები) გათვალისწინება. აღმოსავლეთის და დასავლეთის საქმიან კულტურებს შორის შუალედური სიტუაციის მორგება ქართულ რეალობაზე კი საუკეთესო გამოსავალი იქნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის.

### Some Peculiarities of Management in the World's Developed Countries

I. Masurashvili

Management for Japanese companies is a benevolent use of power to ensure order and harmony. As for Americans, management is a kind of process whose essence can be expressed in the following words – “stimulus – response”. For Georgia, it is not advisable to choose unilaterally the eastern or western management model. Our customs and traditions should be taken into account as well. Selecting an intermediate situation between Eastern and Western business cultures and its adjustment to Georgia’s reality will be the best way for the country’s economic development.

## დამნაშავეობის სტატისტიკის გოგირთი საკითხი

მ. სარხაშვილი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

დამნაშავეობა მასობრივი სოციალურ-სამართლებრივი მოვლენაა. მოიცავს დანაშაულთა ერთობლიობას, რომელიც ჩადენილია დროსა და სივრცეში. ის ხასიათდება რაოდენობრივი და თვისებრივი მახვენებლებით.

დანაშაული საზოგადოებისათვის საშიში, დიდი ზიანის (ზარალის) მომტანი ქმედებაა, რაზეც სისხლის სამართლით გათვალისწინებულია სასჯელი.

დანაშაულის მრავალსახეობიდან (კატეგორიიდან), რაც სტატისტიკის შესწავლის საგანია, ცნობილია<sup>1</sup>:

- ნაკლებად მძიმე დანაშაული, რაზეც თავისუფლების აღკვეთაა 5 წლამდე;
- მძიმე დანაშაული თავისუფლების აღკვეთით 5-დან 10 წლამდე;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რაზეც თავისუფლების აღკვეთაა 10 წელზე მეტი ხნით ან უვადოდ.

დამნაშავეობა შორეული წარსულიდან იპყრობდა სტატისტიკოსების ყურადღებას.

ბელგიელ სტატისტიკოს კეტლემდე (1857) და ფრანგ გერიმდე (1833) დიდი ხნით ადრე, ა. რადიშევი თავის წიგნში - „კანონმდებლობის შესახებ“ (1802) შეეხო დამნაშავეობის სტატისტიკას და მიუთითა სტატისტიკური კანონზომიერების გამოყენების აუცილებლობაზე სამართლებრივ საქმიანობაში. ის ასევე ხაზს უსვამდა დამნაშავეობის მიზეზების დადგენის, დამნაშავეობის დინამიკის შესწავლის მნიშვნელობას<sup>2</sup>, სტატისტიკური მეთოდების როლს დამნაშავეობის შესწავლის, დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში.

დიდია დამნაშავეობის სტატისტიკისა და მასთან დაკავშირე-

<sup>1</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2000, მე-12 მუხლი.

<sup>2</sup> Радишев А.Н. О законоположении. Избранные философские и общественно - политические произведения. М., 1952, с. 460.

ბული საკითხების კვლევაში დასაველეთი ევროპის მეცნიერების – ჯ. გრაუნტის ვ. პეტის, ა. გერის, ე. დიუკპეტის, გ. მაირის, რუსი სტატისტიკოსების – ი. იანსონის, დ. ჟურავსკის, კ. გერმანის, კ. ვესელფოსკის, მ. გერნეტის, ს. ოსტროუმოვის, ი. ბლუმშტეინის, ლ. სავიუკის, ვ. ლუნევეის, ქართველი სპეციალისტების – გ. გამყრელიძის, შ. მერაძის, ბ. გაბიაშვილის, ქ. მარშავას, მ. მინდორაშვილის, ს. გელაშვილის და სხვათა წვლილი.

დამნაშავეობის მიზეზად ითვლება სოციალური მოვლენებისა და პროცესების ერთობლიობა, რაც ურთიერთმოქმედებაშია სხვადასხვა გარემოებასთან და ახდენს დამნაშავეობის, როგორც სოციალური მოვლენის, არსებობის დეტერმინირებას.

ყოველგვარ მოვლენას, მათ შორის, დანაშაულსაც, აქვს არა მარტო მიზეზი, არამედ პირობაც, რომელიც ხელს უწყობს მოცემული მოვლენის ფორმირებას.

ცუდი აღმზრდელობითი მუშაობა, კონტროლის არქონა და სხვა ხელს უწყობს, მაგალითად, ხულიგნობას. სამართალდარღვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აუცილებელ პირობებს, რომელთა გარეშე მიზეზს არ შეუძლია წარმოშვას შედეგი.

სტატისტიკურ ლიტერატურაში დამნაშავეობა ხასითდება სხვადასხვა მახვენებლით. მათ შორის ძირითადია დამნაშავეობის კოეფიციენტი, სტრუქტურა და დინამიკა.

დამნაშავეობის კოეფიციენტი (დკ) გაიანგარიშება ფორმულით:

$$d_k = \frac{d}{D} * 100\ 000$$

, სადაც

*d* – აღრიცხული დანაშაულის აბსოლუტური რიცხვი;

*D* – მთლიანი მოსახლეობის რიცხვი.

დამნაშავეობის სტრუქტურის სტატისტიკური მახვენებლით დგინდება ამა თუ იმ დანაშაულის ხვედრითი წონა დანაშაულებათა საერთო რიცხვში დროის გარკვეულ პერიოდში, გარკვეულ ტერიტორიაზე.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს დამნაშავეობის სტრუქტურის ისეთი სტატისტიკური მახვენებლები, როგორცაა – დამნაშავეობის გეოგრაფია, დამნაშავეობის ეკოლოგია და დამნაშავეობის ტოპოგრაფია.

დამნაშავეობის გეოგრაფია შეისწავლის დანაშაულის ადგილს, დამნაშავის საცხოვრებელ ადგილს.

დამნაშავეობის ეკოლოგია გამოიკვლევს გარემო პირობებს – კლიმატს, ბუნებრივ ლანდშაფტს, მცენარეულ და ცხოველურ სამყაროს და ა.შ.

დამნაშავეობის ტოპოგრაფია ეყრდნობა დანაშაულის ადგილების ანალიზს, რომელიც შეიძლება იყოს ბინა, მაღაზია, სასტუმრო ან სხვა.

დამნაშავეობის შემდეგი სტატისტიკური მახვენებელია დამნაშავეობის დინამიკა დროის ამა თუ იმ პერიოდში – ერთი წელი, სამი წელი, ხუთი წელი და ა.შ.

შეგწერდეთ დამნაშავეობის დინამიკის ზოგიერთი სტატისტიკური მახვენებლის, სახელდობრ, საქართველოში 2003-2008 წლებში მსჯავრდადებულთა რაოდენობისა და სასჯელის ღონისძიებების ანალიზზე (იხ. ცხრილი)<sup>1</sup>.

საქართველოში მსჯავრდადებულთა რაოდენობა და სასჯელის ღონისძიებები 2003-2008 წლებში.

| წი                                | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|-----------------------------------|------|------|------|------|------|------|
| <b>მსჯავრდადებულთა რაოდენობა</b>  | 2111 | 2071 | 2168 | 2211 | 2120 | 2024 |
| <b>სასჯელის ხვედა:</b>            |      |      |      |      |      |      |
| საპატიმრო                         | 2224 | 2122 | 2125 | 2020 | 1922 | 2246 |
| სასწრაფო                          | 41   | 66   | 122  | 66   | 7    | 9    |
| <b>სასჯელის ხვედრის რაოდენობა</b> | 2265 | 2188 | 2247 | 2086 | 1929 | 2255 |
| <b>ჩინი</b>                       | 2120 | 2177 | 2168 | 2220 | 222  | 110  |
| <b>გვერდის მქონე არაა</b>         | 13   | 27   | 2    | 3    | 7    | 7    |
| <b>ა</b>                          | 33   | 41   | 46   | 90   | 95   | 39   |

ცხრილიდან ჩანს, რომ 2008 წლისათვის, 2003 წელთან შედარებით მთლიანად მსჯავრდადებულთა რიცხვმა იმატა 12694 –ით. თავისუფლების აღკვეთამ – 6522-ით. გამოსასწორებელი სამუშაოები გაიარა 38-ით ნაკლებმა. პირობითი მსჯავრი კი დაიმსახურა 7051-ით მეტმა. ჯარიმამ იკლო 1119-ით. განაჩენის აღსრულება გადაედოთ 6-ით ნაკლებს, „სხვამ“ იმატა 284-ით.

დამნაშავეობის სტატისტიკა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად

<sup>1</sup> სტატისტიკური წელიწადური. თბ., 2009, გვ. 100.

ნაწილად – დამნაშავეობის აღწერილობით სტატისტიკად – სტატისტიკურ დაკვირვებად<sup>1</sup> და დამნაშავეობის ანალიზურ სტატისტიკად – სტატისტიკური მონაცემების დამუშავებად და ანალიზად<sup>2</sup>.

აქედან პირველი - სტატისტიკური დაკვირვება წარმოადგენს დამნაშავეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების ძირითად მეთოდს.

მეორესთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ დამნაშავეობის სტატისტიკაში გამოკვლევის პროცესში ადგილი აქვს მონაცემების თავმოყრას, დაჯგუფებას, ანალიზს, რაც სტატისტიკური კანონზომიერების გამოვლენის საშუალებაა.

დამნაშავეობის სტატისტიკური ანალიზის საგანი კი დანაშაულთა რაოდენობრივ მხარეთა შესწავლაა დროსა და სივრცეში.

დამნაშავეობის სტატისტიკური ანალიზის პროცესში გამოიყენება აბსოლუტური, შეფარდებითი, საშუალო სიდიდეები, ვარიაციის მაჩვენებლები, ინდექსები, დინამიკური მწკრივები, კორელაციის მეთოდი, კომპიუტერული ტექნიკა.

დამნაშავეობის ბუნებაში სიღრმისეულად გარკვევისათვის აუცილებელია პროგნოზირება – მომავალში დამნაშავეობის კანონზომიერებათა ტენდენციების ალბათური წინასწარი განჭვრეტა.

თანამედროვე კრიმინოლოგიას მიაჩნია, რომ დამნაშავეობის პროგნოზი არათუ შესაძლებელია, აუცილებელიცაა. პროგნოზი გვევლინება მომავლის მოდელად, რომელიც აგებულია წარსულისა და აწმყოს მასალებზე.

შეიძლება გამოვყოთ დამნაშავეობის პროგნოზის სახეობები – საერთო და ინდივიდუალური.

დამნაშავეობის საერთო პროგნოზი შეიძლება როგორც მთლიანად დამნაშავეობის, ასევე დანაშაულის რომელიმე კატეგორიისა და დანაშაულის ცალკეული სახეობის დონეზე.

დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ინდივიდუალურ პროგნოზს. ინდივიდუალური პროგნოზი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პირთა მიმართ, რომლებმაც წარსულში ჩაიდინეს დანაშაული და მათ მიმართ უნდა ჩატარდეს პროფილაქტიკური სამუშაოები.

<sup>1</sup> ქ. მარშავა, მ. მინდორაშვილი. იურიდიული სტატისტიკა. თბ., უნივერსალი, 2011, გვ.65-93.

<sup>2</sup> იხ. დაწერილებით: იქვე, გვ. 173-346; Лунеев В.В. Юридическая статистика, М., 2010, с. 343-354.

პროგნოზი ასევე შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში, რომლებიც რეგისტრირებულია ისეთი ნიშნებით, როგორცაა – განათლება, ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, პროფესია და ა. შ.

ტერიტორიის მასშტაბით დამნაშავეობის პროგნოზი შეიძლება დაიყოს პროგნოზად რაიონის, ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის და ა.შ. მაგალითზე.

პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით პროგნოზი იყოფა მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პროგნოზად.

დამნაშავეობის მოკლევადიანი პროგნოზი ეხება 3 წლამდე პერიოდს.

დამნაშავეობის სტატისტიკაში უფრო მიზანშეწონილად ითვლება საშუალო-ვადიანი პროგნოზი 5 წლით.

დამნაშავეობის გრძელვადიან პროგნოზს მიეკუთვნება 15-20 წლით პროგნოზი.

დამნაშავეობის სტატისტიკურ პროგნოზირებაში ფართოდ გამოიყენება ექსტრაპოლაციის, მოდელირების, საექსპერტო შეფასებისა და სოციალური შეფასების მეთოდები.

ექსტრაპოლაციის მეთოდის დანიშნულებაა მომავლის შესახებ მაჩვენებლის ფორმირება გამომდინარე იქიდან, რომ აწმყოსი და წარსულის ტენდენცია მომავალშიც მოქმედებს. წინა წლების დამნაშავეობის დინამიკის მაჩვენებლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვიკვლიოთ დამნაშავეობის ცვლილებების ტენდენცია – მისი კოეფიციენტის ზრდა ან კლება. სპეციალური გაანგარიშებებით შეგვიძლია განვსაზღვროთ კოეფიციენტების ცვლილება მომავალში.

მოდელირების მეთოდი გულისხმობს დამნაშავეობის რიცხობრივი მოდელის აგებას, რომელიც ასახავს მის დამოკიდებულებას სხვადასხვა ფაქტორთან. თუკი მოდელში ჩავსვათ დამნაშავეობის ფაქტორების მნიშვნელობას პროგნოზულ პერიოდში, განვსაზღვრავთ დამნაშავეობის მომავალ მდგომარეობას.

ექსპერტების მუშაობაში ყველაზე უფრო პოპულარულია დელფის მეთოდი, რომელიც პირველად აშშ-ში იქნა შემუშავებული. ამ მეთოდით ექსპერტების გამოკითხვა წარმოებს ასეთნაირად: ექსპერტებს უსვამენ კითხვებს. გამოკითხვა გრძელდება რამდენიმე ტურის მანძილზე, რომლის მსვლელობაშიც კითხვები და პასუხები ხუსტდება. თუკი ექსპერტების აზრი განსხვავდება უმრავლესობის აზრისგან, მაშინ ექსპერტები ასაბუთებენ თავიანთ აზრს. ექსპერტის

დროს შეიძლება დამატებითი ექსპერტის მოწვევა. ამრიგად, ადგილი აქვს ექსპერტების ქსელის ფორმირებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს განმეორებითი ექსპერტიზის პროცესში.

სოციალური ექსპერიმენტის მეთოდს დამნაშავეობის სტატისტიკურ პროგნოზულ გამოკვლევებში მიმართავენ იშვიათად.


დასასრულს უნდა ითქვას, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია დროულად და მკაცრად ამოქმედდეს აღმზრდელობითი, პროფილაქტიკური, სამართლებრივი, სტატისტიკური სამსახურები და ა.შ., ვინაიდან, როგორც ცნობილია, დამნაშავეობა, მეტ-ნალებად კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია.

Several Issues of Crime Statistics

M. Sarchimelia

The presented article discusses varieties, causes and conditions of crime.

The article highlights descriptive and analytical statistics of crime, forecasting and methods of fighting against crime. It also provides relevant conclusions.



საქართველოს-ვინანსური და მმართველური-  
თი პრობლემები საქართველოს ჩანაწერის  
სისტემაში

სიალა ბენაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
თსუ ასოცირებული პროფესორი

საქართველომ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ერთი შეხედვით, საქართველოს ეკონომიკას ფართო შესაძლებლობები და განვითარების დიდი პერსპექტივები ჰქონდა, მაგრამ სამოქალაქო ომებისა და ეთნიკური კონფლიქტების შედეგად ქვეყანას იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის რამდენიმე ტალღამ გადაუარა. ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად დააწვა ქვეყნის ეკონომიკას. ამას გარდა, ეკონომიკური ურთიერთობების შეფერხებამ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის, საერთო ეკონომიკურმა დეპრესიამ, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, სუსტმა საფინანსო-ეკონომიკურმა პოლიტიკამ გამოიწვია ეკონომიკის მკვეთრი გაუარესება. ცხოვრების დონემ დაბლა დაიწია. მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ, რა თქმა უნდა, პირდაპირი გავლენა იქონია ჯანდაცვის სისტემის განვითარებაზე, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა წესით მუშაობდა.

საქართველოში 1994 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 231 აშშ დოლარს უდრიდა, ხოლო ქვეყნის მიერ ჯანდაცვის მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების ანალოგიური მაჩვენებელი 0.81 აშშ დოლარის ტოლი იყო. ბუნებრივია ამ თანხით მოსახლეობის ნორმალური სამედიცინო მომსახურება შეუძლებელი იყო.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში რეფორმის რთული და



მრავალეტაპიანი პროცესი 1994-1995 წლებიდან დაიწყო, რომელიც ითვალისწინებდა სისტემის ძირეულ რეორგანიზებას, კერძოდ, საბაზრო ურთიერთობების დანერგვასა და მის სახელმწიფოებრივ რეგულირებას – შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნის საფუძველზე. მსოფლიო ბანკის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა დონორების დახმარებით დადგენილი იქნა კრიტერიუმები საქართველოს ჯანდაცვის სისტემისათვის:

- ჯანდაცვის სისტემის განვითარება შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია-სთან;
  - სამედიცინო მომსახურების დონე დაბალანსებული უნდა ყოფილიყო არსებულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებთან;
  - სისტემა უნდა ყოფილიყო მართვადი და მიმართული მთლიანი რესურსების რაციონალური, ეფექტიანი გამოყენებისაკენ.
- აღნიშნული კრიტერიუმების დაცვით უნდა განხორციელებულიყო:
- ჯანდაცვის დარგის მართვის დეცენტრალიზაცია;
  - გადასვლა სახელმწიფო დაფინანსების სისტემიდან სამედიცინო დაზღვევის სისტემაზე;
  - სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელი დაწესებულებების პრივატიზაცია;
  - სამედიცინო დაწესებულებების მომსახურე პერსონალის ლიცენზირება და აკრედიტაცია;
  - სამედიცინო განათლების რეფორმა.

საბჭოთა წყობილების დროს უფასო სამედიცინო მომსახურება კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული. თუმცა ახალ პირობებში უფასო სამედიცინო მომსახურების განხორციელება შეუძლებელი იყო. შეტანილი იქნა ცვლილებები 1995 წელს მიღებულ ახალ კონსტიტუციაში. შეიცვალა სავალდებულო გადასახადების სტრუქტურა; შემოღებული იქნა ჯანდაცვის მიზნებისათვის სახელფასო გადასახადი 4% (3+1)-ის ოდენობით; ოფიციალურად გაფორმდა თანაგადახდის მეთოდი, რომელიც საბჭოთა პერიოდში

არაკანონიერად ითვლებოდა.

სახელფასო გადასახადის შემოღების მიზანი იყო სახსრების თავმოყრა სამედიცინო მიზნებისათვის, რომელიც ნაწილობრივ მაინც დააფინანსებდა ბაზისურ სადაზღვევო პაკეტს. მაგრამ სახელფასო გადასახადების შეგროვება გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. ამას დაემატა უმუშევარი მოსახლეობის ხვედრიწონის ზრდა, რამაც საფუძველი გამოაცალა ფინანსების მოგროვების აღნიშნულ წესს. მაგალითად 1999 წელს სახელფასო გადასახადებიდან შეგროვდა დაგეგმილის მხოლოდ 3% (1.35 აშშ დოლარი მოსახლეობის ერთ სულზე). ამ წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა დაგეგმილი გადასახადების მხოლოდ 38% გადაიხადეს, ხოლო არასაბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გადახდილმა გადასახადმა დაგეგმილის 108% შეადგინა, რაც დასახული გეგმის 86%-ით შესრულებას ნიშნავს კერძო საწარმოების ხარჯზე, რომელიც თვითონ არის ძალიან სუსტი და ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია.

დამსაქმებელს, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის გადასახადის გარდა, რომელიც დასაქმებულის ხელფასის 3%-ს შეადგენდა, უნდა გადაეხადა სავალდებულო სოციალური გადასახადიც 28 %-ის ოდენობით, ანუ დამსაქმებელთა მთლიანი გადასახადი 31%-ს შეადგენდა. დაწესებული გადასახადი ზრდიდა სამუშაო ძალის ღირებულებას დაახლოებით 65%-ით სუფთა ხელფასთან მიმართებით. ეს გარემოება კეთილსინდისიერ მეწარმეს ცუდ მდგომარეობაში აყენებდა კონკურენტუნარიან ბაზარზე, სადაც ხელმისაწვდომი იყო იაფი არაოფიციალური მუშახელი ყოველგვარი გადასახადების გარეშე. მეწარმეთა უმრავლესობამ თავი ჩრდილოვან ეკონომიკას შეაფარა, რითაც კიდევ უფრო შემცირდა სახელფასო გადასახადების ბაზა, ანუ ჯანდაცვისთვის განკუთვნილი სახსრები.

ცენტრალური საბიუჯეტო დაფინანსება შემოღებული იქნა სოციალური დაზღვევის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. დასაველეთის მრავალ ქვეყანაში, სადაც სოციალური დაზღვევის სისტემა მოქმედებს, ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებას

იღებენ მხოლოდ უმუშევრები. საქართველოში ეს პრინციპი არ მოქმედებს. ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების მიზანი იყო როგორმე დაფარულიყო ბაზისური სადაზღვევო პაკეტი.

ჯანდაცვის დაფინანსების ტენდენციების სწორად გაანალიზებისათვის, საჭიროა განვმარტოთ 'სამედიცინო მომსახურების ბაზისური პაკეტი.' იგი უმთავრესად მოიცავს ე.წ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის კუთხით განსახორციელებელ მომსახურებებს, კერძოდ: გარემო ფაქტორების ან ინფექციური დაავადებებისგან წარმოქმნილი საფრთხეების განეიტრალებას, ებიდემიოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილებას, ამ მიზნით იმუნიზაციის, ვაქცინაციის, საყოველთაო აცრების კამპანიების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ანუ ბაზისური პაკეტი იცავს მოსახლეობის ფართო მასებს ინფექციური და გადაამდები სნეულებების გავრცელებისგან. ვინაიდან ეს საფრთხეები არ ცნობს ადმინისტრაციულ საზღვრებს და ადვილად შეიძლება გავრცელდეს სხვა ქვეყნებშიც, დონორი ორგანიზაციები, პირველ რიგში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებს აფინანსებენ.

ასე იყო საქართველოშიც. ქვეყნის ჯანდაცვის დაფინანსების წესის შეცვლის პირველივე ეტაპზე განისაზღვრა ბაზისური პაკეტი და ცდილობდნენ მისთვის საჭირო სახსრების გამონახვას სხვადასხვა წყაროების ხარჯზე.

ჯანდაცვის მიზნებისათვის გარკვეული ფონდები მობილიზდებოდა მუნიციპალიტეტებშიც, ძირითადად ადგილობრივი გადასახადების ხარჯზე. მუნიციპალური დაფინანსება შედგებოდა ორი ნაწილისაგან: სავალდებულო, რომელიც დაწესებული იყო სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ და ნებაყოფილობითი, რომელიც დგინდებოდა ადგილობრივი საჭიროებების მიხედვით და მასზე გადაწყვეტილებას იღებდა მუნიციპალიტეტი.

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, რომ სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების დასაფინანსებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ყოფილიყო 1997 წლისათვის არანაკლებ 2,5 ლარისა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (1996 წელს 2,2 ლარი). ქედან გამომდინარე, ჯანმრთელობის სამინისტრომ

ტრომ დაადგინა სტაციონარული სამედიცინო დახმარებისათვის თანაგადახდის სიდიდე. იმ შემთხვევაში თუ რეგიონი (რაიონი, ქალაქი) ჯანდაცვის მიზნებისათვის გამოჰყოფდა მოსახლეობის ერთ სულზე 2,5 ლარს, მოქალაქის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენდა მკურნალობისათვის დადგენილი ფასის 50%-ს. 3 ლარის გამოყოფის შემთხვევაში - 40%-ს; 3,5 ლარის გამოყოფის შემთხვევაში - 25%-ს; 4 ლარის შემთხვევაში - 15%-ს; 4,5 ლარის შემთხვევაში - 5%-ს, ხოლო 5 ლარის და მეტის გამოყოფის შემთხვევაში - 0%-ს (იხ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება №65/ო 1997 წლის 25 თებერვალი). აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სახელმწიფო მუნიციპალური პროგრამების დასაფინანსებლად ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გამოყოფილი მინიმალური თანხა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 2,5 ლარი დარჩა 2000 წლის ჩათვლით.

შემუშავებული იქნა სამედიცინო დაწესებულებებისათვის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში შემავალი სამუშაოების ანაზღაურების წესი. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1996 წლის 12 თებერვლის №54/ო ბრძანების თანხმად, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებს უნდა ემუშავათ მკურნალობის სახელმწიფო სტანდარტებისა და მისი შესაბამისი ტარიფების მკაცრი დაცვით, სახელმწიფო პროგრამებში პირველ რიგში უნდა ყოფილიყო გამოყენებული ჰუმანიტარული და ცენტრალიზებული წესით შემოტანილი მედიკამენტები (თუ კი ასეთი გააჩნდა დაწესებულებას), მაგრამ ქვეთრის შევსების დროს მკურნალობის ღირებულებიდან უნდა გამოკლებულიყო შესაბამისად ასეთი გზით მიღებული საქონლის ფასი. გარდა ამისა, მკურნალობის საერთო ფასს ქვეთრის შევსების დროს უნდა გამოკლებოდა გამოყენებული სამკურნალო საშუალებებისა და ჩაუტარებელი პროცედურების (მანიპულაციების) ღირებულება, რაც ეკონომიკურად მისაღები და სამართლიანია.

საქართველოს ჯანდაცვის სფეროს რეფორმას დიდ დახმარებას უწევდნენ უცხოური დონორი ორგანიზაციები, რომლებიც როგორც წესია, ახორციელებდნენ ამ პროცესის მონიტორინგსაც.

უაღრესად საინტერესოა მათი წარმომადგენლების ანგარიშგებების გაცნობა. მაგალითად, 1997-1999 წლებში მიმდინარე პროცესების ანალიზის დროს, ერთ-ერთ ანგარიშში ნათქვამია, რომ ბაზისური პაკეტის იმ ნაწილს, რომლის ადმინისტრირებასაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი ახორციელებს, მოსახლეობისთვის შედარებით ადვილად გასაგებია. მაგრამ, როგორც გაირკვა, მოსახლეობა ამას თვლის თავიანთი გადასახადებით დაფინანსებულ უფასო მომსახურებად. სინამდვილეში მოსახლეობის გაფართოებული იმუნიზაციის პროგრამის განხორციელებაში UNICEF - მა და სხვა დონორმა ორგანიზაციებმა უაღრესად დიდი წვლილი შეიტანეს. მათ მიერ გაწეული დახმარება ჯერ კიდევ არ არის შეფასებული და თანხას ვერ დავასახელებთ, მაგრამ საზოგადოებრივი ჯანდაცვის დანახარჯი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 0.3 აშშ დოლარს არ აღემატება. ნათელია, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები ძირითადად დამყარებულია დონორთა დაფინანსებაზე და საეჭვოა შეძლებენ თუ არა საკუთარი თავის შენახვას მხოლოდ საკუთარი დაფინანსებით ახლო მომავალში.

1997 წელს ბაზისური პაკეტის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხორციელდებოდა და შედგებოდა 24 პროგრამისაგან (ფედერალური და მუნიციპალური დაყოფით). ამ პროგრამების გარდა ჯანდაცვის სამინისტრო აფინანსებდა რამდენიმე სხვა პროგრამასაც, რომელიც ბაზისურ პაკეტში არ შედიოდა, მაგრამ ჰქონდა თავისი მნიშვნელობა.

1998 წლისთვის, თითქმის იგივე დაფინანსების პირობებში, პროგრამების რიცხვი 27-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, მოხდა რამდენიმე პროგრამის გაერთიანება, ზოგიერთი მათგანის სამოქმედო არეალის გაფართოება. მაგალითად, თუ ბავშვთა მკურნალობის პროგრამა 1997 წელს ემსახურებოდა 1 წლამდე ასაკის ბავშვებს, 1998 წელს უკვე - 2 წლამდე, ხოლო 1999 წელს - 3 წლამდე ასაკის ბავშვებს მოიცავდა. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული პაციენტების რაოდენობა მატულობდა, მაგრამ რესურსების დონე იგივე რჩებოდა. როგორც მონაცემები გვიჩვენებენ 1976-2000 წლებში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად

გამოყოფილი სახსრები 49 მლნ-ის ფარგლებში მერყეობდა, მაგრამ პროგრამების რაოდენობა 1997 წელს თუ იყო 24 (19 ფედერალური + 5 მუნიციპალური) 2000 წლისათვის მისი რაოდენობა 45 აღწევს (40 ფედერალური + 5 მუნიციპალური).

ამგვარად, ბაზისური პაკეტის შემადგენლობა საკმაოდ ხშირად იცვლებოდა, ამასთან, იგი არ იყო ადვილად გასაგები მოსახლეობისთვის. პაციენტებისთვის გაუგებარი რჩებოდა რომელი მომსახურება იყო დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ და რომელი ექვემდებარებოდა თანაგადახდას. ამგვარი სისტემა მომსახურების მიმწოდებლებს აძლევდა საშუალებას ადვილად გაეკეთებინათ მომსახურების ფასებით მანიპულირება. სამწუხაროდ, გარკვეული თვალსაზრისით, ეს მდგომარეობა დღემდე გრძელდება. უცხოელი ექსპერტების სიტყვებს თუ გავიმეორებთ, შეიძლება ითქვას, რომ თუ ბაზისური პაკეტის სტრუქტურა ისე არ იქნება აგებული, რომ მოსახლეობისთვის ადვილად გასაგები გახდეს, მაშინ იგი ემსახურება პოლიტიკოსებს და არა ხალხს. რადგან გაწეული ფულადი დახმარებები მოსახლეობისთვის გაუგებარი რჩება, შედეგად, ჯანდაცვის დაფინანსების ბალანსმა კერძო ხარჯებზე გადმოინაცვლა.

ამ პერიოდიდან იღებს სათავეს ის უსაფუძვლო და ბუნდოვანი „დასაბუთებები“, რომელიც თან ახლავს შემდგომში ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას საქართველოში. სწორედ ამ დროიდან შეიცვალა ყოველ გატარებულ ავადმყოფზე ქვითრის შევსების პრაქტიკა (სადაც დაფიქსირებული იყო თითოეულ ავადმყოფზე გაწეული ხარჯები) მთელი დაწესებულების ერთიანი ბუნდოვანი მოთხოვნა-განაცხადის ფორმით, სადაც ყოველ ავადმყოფზე გამოყოფილია გარკვეული თანხა ე.წ. 'ნორმატივი', რომელსაც მთლიანად ითხოვს დაწესებულება იმის მიუხედავად ჩატარდა ავადმყოფს მკურნალობა თუ არა, დაიხარჯა მედიკამენტები თუ არა, გაუკეთდა სხვადასხვა მანიპულაცია თუ არა და ა.შ. საერთოდ არ აღირიცხება რა რაოდენობის მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები შეიძინა პაციენტმა. ჩატარებული მკურნალობის სტანდარტთან შესაბამისობას და

თითოეულ პაციენტზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვიანობას დამატებით გამოაცალა საფუძველი ჯანდაცვის სამინისტროს 1999 წლის 14 ივნისის №206/ო ბრძანებამ, თუმცა, როგორც მისი სათაურიდან ჩანს, იგი სისტემაში აღრიცხვა-ანგარიშგების სრულყოფას ისახავდა მიზნად. აღნიშნული ბრძანებით, კიდევ ერთხელ გაუქმდა 1998 წელს (9 იანვრის №11/ო ბრძანებით) უკვე გაუქმებული 1996 წლის №54/ო ბრძანება, რომელიც როგორც აღნიშნეთ, თითოეულ ავადმყოფზე სათანადო წესის დაცვით ქვეთრის შევსებას ითვალისწინებდა და აღნუსხავდა გაწეულ დანახარჯებს. ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში საკმაოდ ბუნდოვანია დანახარჯების აღრიცხვიანობა (პაციენტის სახიანოდ). უფრო მეტიც, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი ვიფიქროთ, რომ 1996 წლის №54/ო ბრძანების გაუქმების შემდეგ სამედიცინო სფეროში შემოსული ჰუმანიტარული დახმარებები შეიტანება სამედიცინო მომსახურების ტარიფში და იფარება პაციენტის მიერ. რაც იმას ნიშნავს, რომ პაციენტი ყიდულობს ქვეყანაში შემოსულ ჰუმანიტარულ დახმარებებს.

მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის 1999 წლის გამოკვლევებით საქართველოში სამედიცინო მომსახურების ღირებულების 87%-ს თვითონ პაციენტი ფარავდა. სამწუხარო ფაქტია, რომ 2007-2008 წლის ანალოგიური მაჩვენებლების მიხედვით ეს ტენდენცია შენარჩუნებულია.

2007 წელს ქვეყანაში უცხოელი დონორების მიერ ჩატარდა გამოკითხვა ჯანდაცვითი სერვისების მოხმარებისა და ჯანდაცვითი დანახარჯების შესახებ. გამოკითხვის მიზანი იყო დაედგინათ საბაზისო სამედიცინო დახმარების ფინანსური ხელმისაწვდომობა სოფლისა და ქალაქის მოსახლეობისათვის (საბაზისო სამედიცინო დახმარებაში იგულისხმებოდა მედიკამენტები, ლაბორატორიული გამოკვლევები და ჰოსპიტალური მკურნალობის ჩატარება) გამოკითხული იქნა მოქალაქეები, მათ მიერ სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვისა და სამედიცინო კონსულტაციების მიღების შემდეგ. გამოკვლევამ აჩვენა, რომ როგორც სოფლად ისე ქალაქად მცხოვრები მოქალაქეების მნიშვნელოვან რაოდენობას არ შეუძლია შეიძინოს დანიშნული მედიკამენტები (დაახლოებით

14%), ან ჩაიტაროს ლაბორატორიული გამოკვლევები (დაახლოებით 27%) მისი სიძვირის გამო, თავს არიდებს ჰოსპიტალიზაციას (16%) ფინანსური მიზეზების გამო. სოფლისა და ქალაქის მაცხოვრებლებს შორის განსაკუთრებით დიდი განსხვავება დაფიქსირდა ჰოსპიტალური დახმარების ხელმიუწვდომლობის მაჩვენებლებში (შესაბამისად 12% და 19%).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები კერძო, უმთავრესად ჯიბიდან გადახდილი თანხების პროცენტული განაწილების შესახებ ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში სამედიცინო სერვისების ტიპების მიხედვით.

კერძო დანახარჯების პროცენტული წილი ჯანდაცვაზე გაწეულ მთლიან ხარჯებში სამედიცინო სერვისის ტიპების მიხედვით (2001-2007 წწ) <sup>1</sup>

ცხრილი 1.

| სამედიცინო სერვისის ტიპი                      | 2001  | 2002  | 2003  | 2004  | 2005  | 2006    | 2007    |
|---|-------|-------|-------|-------|-------|---------|---------|
| ოჯახური დახმარება                             | 31    | 29    | 29    | 30    | 30    | 29      | 28      |
| სტაციონარული მკურნალობა                       | 8     | 8     | 17    | 17    | 16    | 16      | 15      |
| ამბულატორიული მკურნალობა                      | 15    | 15    | 13    | 13    | 13    | 13      | 13      |
| დამატებითი სახელ. სერვისი                     | 7     | 6     | 6     | 6     | 6     | 9       | 9       |
| სამედიცინო დანიშნულების საქონელი და პატარაობა | 31    | 34    | 40    | 40    | 39    | 34      | 34      |
| ცრბის დანახარჯები სულ                         | 72    | 71    | 77    | 76    | 77    | 72      | 71      |
| შედეგად დახმარების ხარჯები (1000 ლარიზე)      | 521.6 | 650.7 | 724.6 | 636.9 | 996.3 | 1,156.6 | 1,206.6 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, კერძო დანახარჯები ჯანდაცვაზე 72 %-ზე მეტია მონაცემები გვიჩვენებს, რომ ჯანდაცვის მიზნებისათვის გაწეული დანახარჯების სიდიდე ფულადი გამოხატულებით

<sup>1</sup> ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მონაცემები.



თითქმის 2.6 ჯერ გაიზარდა, მაგრამ არ შეცვლილა დანახარჯების დაფინანსების წყაროების წილი მთლიან მოცულობაში. კვლავინდებურად დიდი ადგილი უკავია კერძო სექტორიდან დაფინანსებას, ან სხვაგვარად, 'ჯიბიდან გადახდებს'. მისი წილი თითქმის ყოველწლიურად 72%-ს აღწევს, რაც ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს არამარტო ევროპის რეგიონისათვის (საშუალოდ 25%) არამედ მნიშვნელოვნად აჭარბებს დსთ-ს ქვეყნების საშუალო დონეს (დაახლოებით 46%); დაახლოებით 20%-ის ფარგლებში მერყეობს სახელმწიფო დაფინანსების წილი; დანარჩენი 7-9 % კი დონორების წილად მოდის. დონორების მიერ გადახდილი სახსრებიდან ნაწილი წარმოადგენს გრანტს, ნაწილი კი პროცენტთან სესხს, რომელიც ტვირთად აწევა მომავალ თაობებს.

ჯანდაცვის დანახარჯები მაკროეკონომიკურ ჭრილში ასეთ სურათს იძლევა:<sup>1</sup>

- ჯანდაცვის მთლიან დანახარჯები მშპ-თან მიმართებით, იგი 2001-2007 წლებში 7.8%-დან 8.2%-მდე გაიზარდა; სახეზეა შედარებით ზომიერი ზრდა, რომელიც უახლოვდება ევროკავშირის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს 8.9%;

- სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯები ჯანდაცვაზე მშპ-თან მიმართებით, იგი 1.4%-დან 1.5% მდე იცვლებოდა 2001-2007 წლებში

- სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯების თანაფარდობა მთლიან სახელმწიფო დანახარჯებთან, ამავე პერიოდში 7.6%-დან 4.2%-მდე შემცირდა.

სახსრების გამოყოფა თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ არ შესრულდა ის მიზნები, რომლისთვისაც სახსრები იქნა გამოყოფილი. ამის გარკვევა კი ხდება მონიტორინგისა და კონტროლის გზით. როგორც ჩვენს მიერ უკვე აღინიშნა, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში თითქმის არ არსებობს გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე მონიტორინგი და კონტროლი. ჯანდაცვის სამინისტროს სისტემაში წლების მანძილზე არ არსებობს შიდა აუდიტის სისტემა. გარე აუდიტორულ შემოწმებებს სამინისტროს

<sup>1</sup> ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მონაცემები.

სისტემის ცალკეულ დაწესებულებებში კი ფრაგმენტული ხასიათი აქვს. ზოგიერთ სახელმწიფო პროგრამა თვითონ მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორებს, მაგრამ არც მათი გამოყენება ხდება. 2005-2008 წლებში შეფასების ინდიკატორების მქონე სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოგვითხრობს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი.

სახელმწიფო პროგრამები და მონიტორინგისა და შეფასების სისტემა წლების მიხედვით <sup>1</sup>  
ცხრილი 2

|  | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|--|------|------|------|------|
| უნივერსიტეტის სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა   | 8    | 17   | 10   | 11   |
| უნივერსიტეტის სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა, რომელზეც მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორებს                   | 0    | 0    | 0    | 1    |
| მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორთა რაოდენობა, რომელზეც ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სახელმწიფო პროგრამები      | 0    | 0    | 10   | 9    |
| მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორების მქონე პროგრამების წილი უნივერსიტეტის იმეორე მთლიან სახელმწიფო პროგრამებში | 0%   | 0%   | 60%  | 1%   |

ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2007 წლამდე სახელმწიფო პროგრამები (ფაქტიურად, ჯანდაცვის პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტები) არ შეიცავდა არც ერთ ინდიკატორს, რომლითაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მონიტორინგი და შეფასება და განსაზღვრულიყო პროგრამის ეფექტიანობა, დახარჯული სახსრების ეფექტიანობა. 2007 წელს 10 დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამიდან 4 პროგრამა (რომლის წილადაც მოდიოდა ჯანდაცვის სექტორზე გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების დაახლოებით 68%), ითვალისწინებდა საერთო ჯამში 96 ინდიკატორს, რომელთა 84% შეტანილი იყო ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის რუტინულ ნაწილში, რაც უდიდეს წინ

<sup>1</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის მონაცემები.

გადადგმულ ნაბიჯს ნიშნავდა. ამის მიუხედავად, მონაცემები ამ ინდიკატორებზე არ იქნა სწორად შეგროვებული და გაანალიზებული. ეფექტიანობის საბოლოო ანალიზი არ იქნა ჩატარებული და სახელმწიფო პროგრამების შესრულების ოფიციალური ანგარიში არ იქნა წარმოდგენილი 2008 წლის განმავლობაში. 2008 წელს მხოლოდ ერთი პროგრამა მოიცავდა მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორებს, რომლის წილაც სახელმწიფო ასიგნებების მხოლოდ 1% მოდიოდა. ეფექტიანობის საბოლოო ანალიზი არც ამჟერად ჩატარებულა.

ჯანდაცვის რეფორმის ბოლო ათწლეულში საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, განსაკუთრებით კი გადაუდებელი დახმარების საავადმყოფოებში. მიუხედავად ამისა, დარჩენილი საწოლებიც ჯერ ისევ ნაკლებად არის დატვირთული, რომლის მაჩვენებელი 40% არ აღემატება, რაც აკნინებს ჰოსპიტალური სექტორის ეფექტიანობას.

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით ახალი საავადმყოფოების მშენებლობისა და ცალკეული საავადმყოფოების რეაბილიტაციასთან ერთად საწოლების რაოდენობა დაიკლებს 50%-ით, იმ გათვლებით. რომ ეს პროცესი დასრულდეს 2011 წლისათვის. აუცილებელია პროცესის საგულდაგულო მონიტორინგი. საჭიროა გამოკვლეულ იქნეს ისედაც შემცირებული საავადმყოფო საწოლების დაუტვირთობის მიზეზები.

სამედიცინო სერვისების სამართლიანი დაფინანსების მიღწევა ჯანდაცვის რეფორმის ერთ-ერთი ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში აირჩია საკუთარი გზა ამ მიზნის რეალიზაციისათვის, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, სამედიცინო დაზღვევის კერძო კომპანიებისაგან შეისყიდოს აუცილებელი სამედიცინო მომსახურება დარიბი მოსახლეობისა და სახელმწიფო მოხელეთა ცალკეული კატეგორიის ( მაგ., მასწავლებლები, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, სამხედრო პირები) სადაზღვევო მომსახურებისათვის. აგრეთვე დამატებით განახორციელოს კერძო, ნებაყოფილობითი დაზღვევის სუბსიდირება დანარჩენი მოსახლეობისათვის წინას-

წარ განსაზღვრულ საბაზისო სამედიცინო სერვისებზე. კერძო, ნებაყოფილობითი სამედიცინო დაზღვევის საბაზისო პაკეტის (სასწრაფო-გადაუდებელი სამედიცინო დახმარება და პირველადი ჯანდაცვის საბაზისო სერვისები) სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირება მიზნად ისახავს სამედიცინო დაზღვევის პროპაგანდას და ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდას რისკების დაზღვევის ნაციონალური სქემის შექმნის მეშვეობით, რაც სტიმულს მისცემს მოქალაქეებს გაიფართოვონ სადაზღვევო სერვისების მოცულობა იმ კომპანიებში, სადაც ისინი არიან დაზღვეულები. ეს შეამცირებს ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების მოცულობას, ხოლო წინსწრებით გადახდის პრაქტიკას აქცევს ჯანდაცვაზე კერძო დანახარჯების გაწვეის უპირატეს ფორმად, ნაცვლად ჯიბიდან გადახდებისა, რაც ჯანდაცვის სერვისების დაფინანსების არასამართლიან ფორმად განიხილება.

დაზღვეული პირების რაოდენობა საქართველოში 2008 წლის სექტემბრის მდგომარეობით<sup>1</sup>

ცხრილი 3.

|  |           |
|--|-----------|
| სასულწიფო პრეტანში დაზღვეულები   | 100,000   |
| სასულწიფო ან კრბი დაშტატუბლის შტრ დაზღვეულები  | 23,500    |
| ნებაყოფილობითი დაზღვეულები   | 34,250    |
| კრბი წესით დაზღვეულები სულ   | 264,250   |
| მოსახლეობა სულ   | 4,300,000 |
| დაზღვევის რაბულში სასტრბო შტრბული მოსახლეობის სტრბორბი და პრეტრბული  | 34,5%     |
| სასტრბორბი დაზღვევის პრეტრბის შტრბი იმ პრეტრბი სტრბორბი წინა პრეტრბული რაბულში და პრეტრბული სასტრბორბის შტრბი დაფინანსებული სასტრბორბი დაზღვევის რაბულში | 60,3%     |

მესამე ცხრილი წარმოგიდგენს 2008 წლის მონაცემებს კერძო წესით, ან სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევის მქონე პირთა რაოდენობას, აგრეთვე, სამედიცინო

<sup>1</sup> ფინანსური ზედამხედველობის სააგენტოს მონაცემები.

დაზღვევის პოლისის მქონე იმ პირთა რაოდენობას, რომელთაც არ ეკუთვნით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო/სადაზღვევო ვაუჩერი და დაზღვეულნი არიან ნებაყოფილობით, ან დამქირავებლის მიერ. სახელმწიფო პროგრამებით დაზღვეულები როგორც ცხრილიდან ჩანს, 2008 წელს მოსახლეობის თითქმის 24.5% დაფარული იყო სამედიცინო დაზღვევის ამა თუ იმ ფორმით. ამასთან, 265000 კაცამდე ანუ მთელი მოსახლეობის 6.03%, რომელთაც არ ეკუთვნით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო/სადაზღვევო ვაუჩერი და დაზღვეულნი არიან ნებაყოფილობითი კერძო სამედიცინო დაზღვევით ან დამქირავებლის მიერ დაფინანსებული პაკეტით. 2006 წელს არაღარიბი მოსახლეობის კერძო სამედიცინო დაზღვევის მაჩვენებელი ოდნავ აღემატებოდა მთელი მოსახლეობის 3%-ს, ე. ი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გვაქვს არაღარიბი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევით დაფარვის მაჩვენებლის გაუმჯობესების ტენდენცია.

რაც შეეხება სახელმწიფო ჯანდაცვის პაკეტით და/ან სამედიცინო ვაუჩერით ღარიბად დარეგისტრირებული მოსახლეობის დაფარვის რაოდენობას, იგი გაიზარდა 2007-2008 წლების განმავლობაში და მიაღწია 750,838 პირს, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 17.2%-ს (იხ. ცხრილი 4).

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, ჯერ კიდევ მთლიანად არ არის მოცული ღარიბად დარეგისტრირებული მოსახლეობა. სათანადო კრიტერიუმების მიხედვით მოსახლეობის ღარიბად დარეგისტრირებაზე და სადაზღვევო ვაუჩერების გაცემაზე პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო). მის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ღარიბი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევით დაფარვის შესახებ ინფორმაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს ღარიბად დარეგისტრირებული მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები. თუმცა, 2007-2008 წლებში შეინიშნება ზრდის ტენდენცია. რეგიონების მიხედვით ყველაზე დაბალი დაფარვის მაჩვენებელი აქვს სამცხე-

ჯავახეთს (31%), ხოლო ყველაზე მაღალი – (77%) რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსახლეობის რაოდენობა ამ რეგიონში უკიდურესად შემცირებულია, ნათელია რატომ გვაქვს ასეთი მაღალი მაჩვენებელი.

ღარიბი მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც დაფარული იყო სახელმწიფო ჯანდაცვის პაკეტით და/ან სამედიცინო ვაუჩერით 2007-2008 წლებში<sup>1</sup>.

ცხრილი 4

| რეგიონი                 | 2007    | 2008    | % ცვლილება |
|-------------------------|---------|---------|------------|
| საქართველო, სულ         | 673 000 | 750 838 | 12         |
| თბილისი                 | 66 624  | 61 000  | 10         |
| ივრია                   | 33 074  | 36 000  | 9          |
| რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი | 36 000  | 36 000  | 19         |
| ქვემო სვანეთი           | 12 000  | 9 000   | 12         |
| იმერეთი                 | 15 000  | 15 000  | 3          |
| მცხეთა-მთიანეთი         | 25 000  | 30 000  | 19         |
| სამცხე-ჯავახეთი         | 9 000   | 10 000  | 4          |
| სამცხე-ჯავახეთი         | 23 000  | 25 000  | 11         |
| ქვემო ქართლი            | 52 000  | 61 000  | 14         |
| შიდა ქართლი             | 38 000  | 66 000  | 14         |
| აჭარა                   | 11 000  | 10 000  | 0          |
| აფხაზეთი                | 10 000  | 11 000  | -3         |

ჯანდაცვის სისტემის არსებობისა და ფუნქციონირების საბოლოო, შემაჯამებელი მაჩვენებელია ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ კუთხით სიტუაციის გასაშუქებლად ხშირად იყენებენ შემდეგ მაჩვენებლებს:

- დაბადებისას დაბალი წონის მქონე ახალშობილთა რაოდენ-

<sup>1</sup> ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს მონაცემები.

ნობა 100 ცოცხალშობილზე;

- ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები მოსახლეობის 100 000 სულზე დაავადებათა 5 მაღალსისხირიანი ჯგუფისათვის;

- ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა;
- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის 2009წლის მონაცემებით, დაბადებისას დაბალი წონის ახალშობილთა წილი ყოველ 100 ცოცხალშობილზე საქართველოში, 2001-2007 წლებში კლების ტენდენციით ხასიათდება; ეს მაჩვენებელი 7-დან 6-მდე შემცირდა, მაგრამ განსაკუთრებით მაღალი იყო 2004 წელს და თითქმის 10-ს აღწევდა. განსხვავებული სურათი გვაქვს რეგიონების მიხედვითაც.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებლის ანალიზი. მოსახლეობის 100 000 სულზე ავადობის 5 უზშირესი მიზეზის მონაცემთა ანალიზიდან ირკვევა, რომ 2001-2007 წლებში საქართველოში ადამიანები ყველაზე უფრო ხშირად რესპირატორული დაავადებებით ხდებიან ავად. ავადობის ეს მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება ავადობის სხვა მიზეზებს და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ბოლო წლებში ამას დაემატა ფრინველისა და ღორის გრიპები. გაუმართლებლად მაღალი ადგილი უკავია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, რომელიც სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელიც არის. 2001-2007 წლებში გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა - დაახლოებით 50%-ით მოიმატა.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს დღეისათვის წამყვანი ადგილი უკავიათ სიკვდილიანობის მიზეზთა შორის 2001-2007 წლებში მოსახლეობის 100 000 სულზე ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა და შეადგენდა დაახლოებით 640-645 კაცს. სიკვდილიანობის ეს დონე ნაკლებია დსთ-ს ქვეყნებზე, მაგრამ აღებატება ჯანმო-ს ევროპის რეგიონისა და ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს.

ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი. ბავშვთა სიკვდილიანობის დონემ 2001 წლიდან 2007 წლამდე ყოველ 100000 ცოცხალშობილზე 20-დან 14-მდე დაიკლო. მაგრამ ჯერ კიდევ მისაღწევია ‘ათასწლეულის განვითარების’ სამიზნე მაჩვენებელი (7 - ყოველ 100000 ცოცხალშობილზე). დედათა სიკვდილიანობა 2001 წლიდან 2007 წლამდე პერიოდში 58.7-დან 20.2-მდე შემცირდა (სამიზნე მაჩვენებელია 12.3 ყოველ 100 000 ცოცხლადშობიარეზე).

ჯანდაცვის სისტემის წარმატებული ფუნქციონირების საბოლოო შემაჯამებელი მაჩვენებელია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი. იგი აფასებს მოსახლეობის ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას. მონაცემები გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი საქართველოში ძლიერ დაეცა 90-იან წლებში, თუმცა შემდგომ წლებში ადგილი აქვს ამ მაჩვენებლის მატებას. 2005 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 74 წელს, ხოლო 2006 წელს მოიმატა 75.1-მდე. ეს უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი (78.5 წელი), ოდნავ აღემატება ჯანმოს ევროპის რეგიონის საშუალო მაჩვენებელს (74.6 წელი), და მნიშვნელოვნად აღემატება დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს 2005 წელს (67.0 წელი: 61.6 წელი მამაკაცებში და 72.9 წელი ქალებში).<sup>1</sup> ჯანმრთელად გატარებული ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში ბოლო მონაცემებით შეადგენს 67 წელს ქალებში და 62 წელს მამაკაცებში, რაც რეგიონისა და დსთ-ს ქვეყნების საშუალო მაჩვენებლის იდენტურია.

**Accounting, Financial and Managerial Problems in Health Care Sistem of Georgia**



It is generally recognized that if health systems throughout the world vary widely in their design, content, management and performance, - they share the same core goals of *good health, responsiveness to people's expectations and fair financing*. One of the main topics for the WHO European Ministerial Conference on Health Systems: "Health Systems: Health and Wealth" conducted in Tallinn in June 2008. The charter adopted at this conference ("Tallinn Charter") commits member states to: **promote transparency and be accountable** for health system performance to achieve measurable results; to achieve this objectives it is necessary to develop system of internal audit. We attempted to show financial, accountable and management problems in Georgian Health Care system.

ღაჰიმი ნარმანიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

2008 წლის აგვისტოში რუსული აგრესიისა და საქართველოს ეკონომიკაზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის შემდეგ, საქარო ფინანსების მართვის თვალსაზრისით რამდენიმე სერიოზული ხარვეზი წარმოიშვა. საგარეო და საშინაო ვალის მაღალი ინტენსივობით აღების შედეგად, ქვეყნის საგარეო მდგომარეობა მნიშვნელოვნად დამძიმდა. საქართველოს სახელმწიფო ვალმა 2010 წლის ბოლოს მშპ-ს 47%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების 1,5-ჯერ მეტი შეადგინა. 2011 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება, ვინაიდან მიმდინარეობს დამატებითი ვალდებულებების აღება 500 მლნ ლარის ოდენობით ადრე აღებული ვალდებულებების რეფინანსირებისათვის.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ბოლო წლებში ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური დასუსტებისა და საქარო ფინანსების მაქსიმალურად ცენტრალურ დონეზე აკუმულირების პოლიტიკას ატარებდა. 2007 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტების წილი (ქ. თბილისის ჩათვლით) ნაერთ ბიუჯეტში 24,1%-ს შეადგენდა, 2008 წელს – 18,9%-ს, 2009 წელს - 18,2%-ს, ხოლო 2010 წელს – 18,8%-ს. თბილისის გამოკლებით 2010 წლის ეს მაჩვენებელი მხოლოდ 12%-მდეა. ბოლო წლებში მცირდება ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების წილი მშპ-თან მიმართებაში. თუკი 2007 წელს ეს მაჩვენებელი 7,0%-ს შეადგენდა, 2008 და 2009 წლებში 5,8% შეადგინა, ხოლო 2010 წელს - 5,3%.

საბიუჯეტო სისტემაში საკმაოდ მნიშვნელოვანია საჯარო ფინანსების იმგვარი განაწილება, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ადგილობრივმა თვითმმართველობებმა შეძლონ უფლებამოსილებების დამოუკიდებელი განხორციელება საკუთარი შემოსავლებით. ამასთან, არ უნდა იქნეს დაშვებული ცენტრალური ხელისუფლების არანაირი ჩარევა ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებამოსილებებსა და სხვა საკითხებში. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ეს ფუნდამენტური პრინციპები დარღვეულია. პრინციპულად და სისტემურად ახალი რეგულაციების დაწესების ნაცვლად, 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულმა საბიუჯეტო კოდექსმა მექანიკურად გააერთიანა ადრე მოქმედი ცალკეული საკანონმდებლო აქტები და მხოლოდ მცირედი სიახლეები დააწესა. კოდექსით პრინციპულად მიუღებელი მთავარი ხარვეზებია:

- პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდების მიზნობრიობის და ხარჯვის წესების არარსებობა;
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის არამიზნობრიობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის საკუთარი და არასაკუთარი შემოსავლების გაუმიჯნავობა, რაც საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაში დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხს განაპირობებს;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებით გაზრდილი როლი ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიმართებით, რაც დეცენტრალიზაციის დაბალ ხარისხს განაპირობებს.

გარდა საკანონმდებლო ხარვეზებისა, საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში ინსტიტუციური პრობლემებიცაა: სუსტი საბიუჯეტო პროგნოზირება; სუსტი ფისკალური დეცენტრალიზაცია; საბიუჯეტო ფონდების გაუმჭვირვალობა; სახელმწიფო ვალის (საგარეო და საშინაო) სიმძიმე. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საქართველოს საბიუჯეტო სისტემა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. ერთი მხრივ, ბოლო წლების ბიუჯეტების დეფიციტი და მაღალი საგარეო ვალი, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანაში არსებული დაბალი საინვესტიციო აქტივობა, მოუწეს-

რიგებელი ბიზნეს-გარემო, საწარმოო სექტორის დაბალი დონე და სუსტი ექსპორტი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის ფინანსური სექტორის სტაბილურობას.

საქართველოს 2011 წლის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული ამ წლისთვის ეკონომიკური განვითარების საპროგნოზო მაჩვენებლები, კერძოდ ეკონომიკური ზრდა (4.5%), ფასები (მშპ-ს დეფლატორის ცვლილება 7.0%), საგადასახადო პოლიტიკა, ადმინისტრირების დონის გაუმჯობესება და სხვა ფაქტორი<sup>1</sup>. ეკონომიკური ზრდის რისკი დაბალანსებულია და დამოკიდებულია უცხოური კაპიტალის ნაკადებზე, განსაკუთრებით უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებზე<sup>2</sup>. 2011 წელს, 2010 წლის გეგმასთან შედარებით, ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება 592,3 მლნ ლარით (11%). ზრდა ძირითადად განპირობებულია გადასახადების ამოღების გეგმის ზრდით, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალი საგადასახადო კოდექსით ზოგიერთი გადასახადის განაკვეთის ზრდა, დაბეგვრის არეალის გაფართოვება, გამკაცრებული საგადასახადო ადმინისტრირება და ინფლაციის მაჩვენებელი, რომელიც განსაკუთრებით არაპირდაპირი გადასახადების სახით მისაღები გეგმის ზრდას უწყობს ხელს<sup>3</sup>.

გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო წლებში მუდმივად მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური შესუსტება, იზრდება დამოკიდებულების ხარისხი ცენტრალური ხელისუფლებისადმი და უფლებამოსილებები, ამ ორი დონის ხელისუფლებას შორის მკაფიოდ არ არის გამიჯნული, ფისკალური დეცენტრალიზაცია საქართველოში პრაქტიკულად ძალიან დაბალ დონეზეა. შედეგად, დაბალია ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების დონე, რის გამოც მაღალია მოსახლეობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქში.

სახელმწიფო ვალი საგარეო და საშინაო ვალის ერ-

<sup>1</sup> საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თანდართული განმარტებითი ბარათი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

<sup>2</sup> Georgia: Seventh and Eighth Reviews Under the Stand-By Arrangement, and Requests for Waivers of Non-observance of Performance Criteria and Rephasing of Purchases, IMF Country Report No. 11/31, January, 2011, p. 5.

<sup>3</sup> Bhatia H.L., Public Finance, 26th edition, Delhi, 2010., p. 50-51.

ობლიობაა. იგი წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდისათვის სახელმწიფო სექტორის მიერ გამოყენებულ, მაგრამ დაუფარავ სავალო ვალდებულებათა ჯამს<sup>1</sup>. ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ადეკვატურად, 2005-2006 წლებში შეიმჩნეოდა საქართველოს საგარეო ვალის კლების ტენდენცია, რაც ერთი მხრივ, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდით და, მეორე მხრივ, სავალუტო კურსის ცვლილებით იყო გამოწვეული<sup>2</sup>. ამასთან, ამ წლებში პრაქტიკულად არ ხდებოდა სახელმწიფო შიგა ვალის აღება. საგარეო ვალის მოცულობა ბოლო 3 წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა, რაც 2008 წლის აგვისტოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგია. ამასთან, 2008 წლის აპრილში (როცა ბიუჯეტს დადებითი საოპერაციო საღდო გააჩნდა, არც აგვისტოს მოვლენები იყო მომხდარი და არც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენა შეინიშნებოდა) საქართველოს ხელისუფლებამ 500 მლნ დოლარის ვერობლიგაციები გამოუშვა, რამაც საგარეო ვალის მოცულობა გაზარდა და საგარეო სავალო მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

მსოფლიო ბანკის მხრიდან არსებობს მიდგომა, რომ ზღვარი, რომლის ზემოთ საგარეო ვალის მოცულობის ზრდაც უკვე ეკონომიკურ ზრდას აფერხებს, დაახლოებით მთლიანი შიგა პროდუქტის 50%-ია. ასეთი მიდგომის მიხედვით, ექსპორტთან მიმართებით ანალოგიური ზღვარი 100-105%-ზე გადის. თუკი საქართველოს საგარეო ვალის მაჩვენებლებს ამ მიმართებით გაანალიზებით, 2011 წლის ბოლოსათვის საგარეო ვალის თანაფარდობა როგორც მშპ-თან (42,7%), ასევე ექსპორტთან მიმართებით (106,1%) კრიტიკულ ზღვარზეა.

ტრადიციული ფილოსოფიის მიხედვით, ვალის მართვა გულისხმობდა სესხის აღებას შესაძლო მინიმალური საპროცენტო განაკვეთით და გადახდას რაც შეიძლება მოგვიანებით. სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოები, სოციალურ-ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, ცდილობენ ვალი აიღონ

<sup>1</sup> ჯიბუტი ა., კაკულია რ., ბახტაძე ლ., საჯარო ფინანსები, თბ., 2009., გვ. 383.

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგი, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, ავტ. ნარმანია დ., მურდულია შ., ხადური ნ., მურდულია თ., თბ., 2010., გვ. 50.

შესაძლო მინიმალური საპროცენტო განაკვეთით და მოახმარონ ეკონომიკურ სტაბილიზაციას, ზრდას, დასაქმებას და საყოველთაო კეთილდღეობას<sup>1</sup>. საქართველოს შემთხვევაში, ადგილი აქვს ვალის აღების მცდელობას დაბალი საპროცენტო განაკვეთებით, გადახდას გვიან (მაგ., პარიზის კლუბის ფარგლებში 2005 წელს 5-წლიანი რესტრუქტურისაც კი განხორციელდა) და ხარჯვას რიგ შემთხვევაში მიმდინარე ვალდებულებების გასასტუმრებლად და არა გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის მისაღებად. აქვე დავძენთ, რომ საქართველოს საგარეო ვალის გასტუმრების თვალსაზრისით ყველაზე მძიმეა 2013 წელი, როდესაც დგება 2008 წელს 5 წლის ვადით გამოშვებული ევროობლიგაციების გასტუმრების ვადა. ამასთან, ამავე წელს საქართველოს სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ვალდებულებების გასტუმრებაც უწევს. გასასტუმრებელი ვალდებულება დაახლოებით 800 მლნ აშშ დოლარამდეა (იხ. დიაგრამა), რომლის მთლიანად გადახდის საშუალებაც ქვეყანას ერთიანად არ ექნება. შესაბამისად, საჭირო გახდება მისი რეფინანსირება (დაფარვა სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული სახსრებით)<sup>2</sup>.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ 2010 წლის შემოდგომაზე ჩინეთში გამართულ ბიზნეს-ფორუმზე, ასევე 2011 წლის მარტში საპარლამენტო გამოსვლისას გაცხადებული ევროობლიგაციების სამომავლო ემისია, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ჯერ-ჯერობით არ არის ასახული. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ქვეყნის საგარეო ვალდებულებები კიდევ უფრო გაიზრდება.


საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 17 სექტემბერს ახალი საგადასახადო კოდექსი მიიღო, რომელიც 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ამ კოდექსით ხელისუფლებამ საგადასახადო ტვირთი ძირითადად ფიზიკურ პირებზე გაზარდა: საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი გრანტიდან და საჯარო ქირიდან მიღებულ შემოსავლებზე გაზარდა 12%-დან 20%-მდე, პარალელურად აღარ შეამცირა მთლიანი საგადასახადო განაკვეთი 20%-დან 18%-

<sup>1</sup> Bhatia H.L., Public Finance, 26th edition, Delhi, 2010., p. 216-217.

<sup>2</sup> საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგი, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, ავტ. ნარმანია დ., მურდულია შ., ხადური ნ., მურდულია თ., თბ., 2010., გვ. 52.

მდე. შედეგად, 2011 წელს საშემოსავლო გადასახადის გეგმა 2010 წელთან შედარებით გაზარდა 21,9%-ით, მაშინ როცა ეკონომიკური ზრდა 4,5%-ია ნაგარაუდევო.

საგარეო ვალის მომსახურება (მლნ აშშ დოლარი)<sup>1</sup>




ეფექტიან საგადასახადო სისტემას რამდენიმე წინაპირობა გააჩნია, რომელთაგან სოციალურ-შრომით ურთიერთობაში მნიშვნელოვანია ის, რომ გადამხდელთა მზადყოფნა შრომისათვის (დაქირავებისათვის) არ უნდა შეიზღუდოს<sup>2</sup>. ამასთან, საშემოსავლო გადასახადი ანალოგიური განაკვეთის მქონე კაპიტალისა და შრომითი რესურსის გადასახადის ეკვივალენტურია. ვინაიდან წარმოების ფაქტორთა მიწოდება ფიქსირებულია, ამ გადასახადის გადანაწილება შეუძლებელია. იგი ინდივიდების თავდაპირველ შემოსავალზე წესდება და მთელ საგადასახადო ტვირთს ატარებს. ამის თვალსაჩინოდ ქვემოთ მოყვანილი გრაფიკიდან შეგვიძლია გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა. ვთქვათ,  $D_L$  შრომით რესურსზე მოთხოვნა, ხოლო  $S_L$  - შრომითი რესურსის მიწოდებაა. დავეუშვათ,  $S_L$  სრულად არაელასტიკურია. დაბეგვრამდე ხელფასი  $W_0$ -ა უდრის.

<sup>1</sup> მონაცემები აღებულია საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, [www.mof.ge](http://www.mof.ge)

შრომითი რესურსის ღირებულებაზე გადასახადი მიმდინარე მოთხოვნის მრუდს  $D'_L$ -მდე გადასწევს. როგორც ყოველთვის,  $D'_L$ -სა და  $D_L$ -ს შორის შუალედი არის სხვაობა გადახდილ და მიმწოდებლის მიერ მიღებულ თანხას შორის. გადასახადის დაწესების შემდეგ მომუშავეს მიერ მიღებული ხელფასი - მდე მცირდება. მეორე მხრივ, დამქირავებლის მიერ გადახდილი ხელფასი, კვლავ წერტილში რჩება. მიუხედავად იმისა, რომ გადასახადის განაწილება სამართლებრივად და რეგულირებული, ცხადი ხდება, რომ მომუშავეს მიერ მიღებული ხელფასი გადასახადის ტოლი თანხით მცირდება, შესაბამისად მთელი საგადასახადო ტვირთი მას აკისრია<sup>1</sup>.

ხელფასზე გადასახადის ზემოქმედება შრომის არაელასტიკური მიწოდების შემთხვევაში



საათობრივი ანაზღაურება წლიურად.

ამდენად, ხელისუფლების მიერ განხორციელებული ცვლილებებით, სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მისაღებად დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებსა და სხვა ტიპის შემოსავლის მიმღებ პირებზე საგადასახადო ტვირთი გაიზარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის გამჭვირვალობის თვალსაზრისით პროგრესულია საქართველოში საბიუჯეტო კოდექსის

<sup>1</sup> როუზენი პ.ს. საჯარო ფინანსები, ქართული გამოცემა (რედ. ნ. ხაღური), საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - GIPA, ტ. II, თბ., 2006, გვ. 317-318.



მე-9 მუხლში არსებული პროგრამული ბიუჯეტის შემოღება. თუმცა, მიუხედავად არასამთავრობო სექტორის არაერთი მცდელობისა, სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების დონეზე პროგრამული ბიუჯეტის შედგენა აქამდე ვერ მოხერხდა. ცალკეულ ადგილობრივ თვითმმართველობაში ასეთი ბიუჯეტები დგებოდა და გარკვეული პრაქტიკაც დამკვიდრდა. აქამდე მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ ბიუჯეტები დგებოდა ცალკე, ხოლო მიზნობრივი პროგრამები ცალკე და დარღვეული იყო მათი ერთიანობის პრინციპი. პროგრამული ბიუჯეტების მომზადება ყველა დონეზე სავალდებულო ხდება 2012 წლიდან. ამასთან, მნიშვნელოვანია, პროგრამული ბიუჯეტები არ იყოს ფორმალური და რეალურად იყოს გამიზნული როგორც გამჭვირვალობის, ასევე ანგარიშვალდებულების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

**Public Finance Management Requires Improvement**

D. Narmania

Since the 2008 August war and the world economic crisis, there have been some problems in Georgian public finance management (PFM) system. The main problems of Georgian PFM system are: unreasonable regional development funds; high rate of external debt of Georgia; weak fiscal decentralization and dominant role of central government in decision making process; low transparency of public finance (especially special foundations of president and government). After the existing obligations towards the International Monetary Fund and World Bank comes the obligations by emission of state bonds (Eurobonds) which according to the budget data of 2010 comprises 850 million GEL. These state bonds of 2008, which are valid for 5 years, should be returned in 2013. When taking this responsibility the State budget of Georgia had a positive operational balance and taking the new responsibility was not a positive point. This year, the government is planning additional emission of Eurobonds for refinancing previous obligations. This worsens the debt situation of Georgia. According to a new tax code of Georgia, from January 1, 2011 income tax rate increased and condition of physical persons got worse. There will be some new regulations in PFM: from 2012 there will be program budgeting on all levels of Georgian budget system. This reform will improve managing of public finance and support its transparency.



**ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარღების კირითაღი ასპექტები**

მარინა მაისურაძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

სხვადასხვა ქვეყნის მრავალი საწარმო წარუდგენს გარე მომხმარებელს

ფინანსურ ანგარიშგებას. ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტების განმარტებით არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური ანგარიშგება ერთმანეთის მსგავსია, მათ შორის მაინც არსებობს გარკვეული განსხვავება. ეს გამოწვეულია მრავალი სოციალური, ეკონომიკური და საკანონმდებლო ფაქტორით, აგრეთვე იმით, რომ ამ ქვეყნებში ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების ჩამოყალიბება ხდება ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის ინტერესთა გათვალისწინებით.

ამ განსხვავებულმა ფაქტორებმა გამოიწვია ფინანსური ანგარიშგების მუხლების ასახვისა და შეფასების დროს განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენება.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არიან: არსებული და პოტენციური ინვესტორები, დაქირავებული მუშაკები, კრედიტის გამცემები, მომწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები, მომხმარებლები, მთავრობები და მათი უწყებები, საზოგადოება. მათ ფინანსური ანგარიშგება სჭირდებათ ისეთი საინფორმაციო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, როგორცაა:

ა) ინვესტორები. სარისკო კაპიტალის მომწოდებლები და მათი მრჩეველები ზრუნავენ რისკზე, რომელიც თან ახლავს ინვესტიციებს

და ინვესტიციებიდან მიღებულ ამონაგებს. მათ სჭირდებათ ინფორმაცია იმისათვის, რომ განსაზღვრონ: გაყიდონ, დაიტოვონ თუ იყიდონ ფასიანი ქაღალდები. აქციონერები აგრეთვე დაინტერესებულნი არიან შეაფასონ საწარმოს უნარი გადაიხადოს დივიდენდები;

ბ) დაქირავებული მომუშავეები. დაქირავებული მომუშავეები და მათი წარმომადგენელთა ჯგუფები დაინტერესებულნი არიან თავიანთი დამქირავებლის ფინანსური სტაბილურობითა და მომგებიანობით. აგრეთვე საწარმოს ისეთი შესაძლებლობებით, როგორცაა: შრომის ანაზღაურებისა და პენსიის გადახდა, დასაქმების შესაძლებლობა;

გ) კრედიტის გამცემები. საკრედიტო ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან გაცემული სესხისა და შესაბამისი სარგებლის დროული დაბრუნებით;

დ) მომწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები. დაინტერესებულნი არიან ინფორმაციით, რომელიც საშუალებას მისცემს მათ განსაზღვრონ დროულად მიიღებენ თუ არა კუთვნილ თანხებს. სავაჭრო კრედიტორებს, როგორც წესი, საწარმო აინტერესებთ შედარებით ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, ვიდრე კრედიტის გამცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი დამოკიდებული არიან საწარმოზე, როგორც მთავარ მომხმარებელზე;

ე) მომხმარებლები. დაინტერესებულნი არიან საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათ საწარმოსთან აქვთ ხანგრძლივი ურთიერთკავშირი ან დამოკიდებული არიან მასზე;

ვ) მთავრობები და მათი უწყებები. დაინტერესებულნი არიან რესურსების განაწილებით და, მაშასადამე, საწარმოს საქმიანობით. ისინი აგრეთვე მოითხოვენ ინფორმაციას, რათა დაარეგულირონ საწარმოს საქმიანობა, განსაზღვრონ საგადასახადო პოლიტიკა და ეს ინფორმაცია გამოიყენონ ეროვნული შემოსავლის აღრიცხვისა და სხვა ამგვარი ტიპის სტატისტიკის საწარმოებლად;

ზ) საზოგადოება. საწარმოები, მრავალი ფორმით, გარკვეულ გავლენას ახდენს თავის წევრებზე. მაგალითად, საწარმოებმა შეიძლება დიდი წვლილი შეიტანოს ადგილობრივ ეკონომიკაში სხვადასხვა გზით, მათ შორის მოსახლეობის დასაქმებითა და ადგილობრივი მომწოდებლებისაგან მუდმივი შესყიდვების გზით. ფინანსური ანგარიშგება შეიძლება დაეხმაროს საზოგადოებას მიიღოს ინფორმაცია

საწარმოს განვითარების მიმართულებების, დასაქმებულთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მიღწეული მიმდინარე შედეგებისა და ეკონომიკური საქმიანობის მასშტაბების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით ყველა მომხმარებლის საინფორმაციო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, არსებობს ისეთი ტიპის მოთხოვნილებებიც, რომლებიც ყველა მომხმარებლისათვის საერთოა. ვინაიდან ინვესტორები საწარმოსთვის სარისკო კაპიტალის მომწოდებლები არიან, მათი მოთხოვნილებების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება დააკმაყოფილებს სხვა მომხმარებელთა ძირითად მოთხოვნილებებსაც.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის;

ბ) პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებას;

გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;

დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას;

ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია;

ვ) როდესაც საწარმო სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ასევე ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაინგარიშებს ან, როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების შესახებ ისეთი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც გამოადგება მომხმარებელთა ფართო წრეს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. ფინანსური ანგარიშგება ასევე გვიჩვენებს საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მათთვის მიწოდებული რესურსების მართვის შედეგებს. ამ მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

ა) საწარმოს აქტივები;

ბ) საწარმოს ვალდებულებები;

გ) საკუთარი კაპიტალი;

დ) შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის, შემოსულობები და დანაკარგები;

ე) მესაკუთრეთა შენატანები საკუთარ კაპიტალში და მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე განაწილებული დივიდენდები;

ვ) საწარმოს ფულადი ნაკადები.

ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს მომხმარებლები-სათვის სასარგებლო ინფორმაცია, კერძოდ ისეთი ხარისხობრივი მახასიათებლებით, როგორცაა: აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა.

აღქმადობა. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ღირსებაა მისი ადვილად აღქმადობა. ამასთან იგულისხმება, რომ მომხმარებელს აქვს ბიზნესის, ეკონომიკური საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის შესაბამისი ცოდნა. თუმცა ინფორმაცია იმ რთული საკითხების შესახებ, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგება და რომელიც აუცილებელია მომხმარებლისათვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, დაუშვებელია არ აისახოს ანგარიშგებაში იმის გამო, რომ იგი ძნელად აღსაქმელი იქნება ზოგიერთი მომხმარებლისათვის.

შესაბამისობა. იმისათვის რომ ინფორმაცია იყოს სასარგებლო, იგი უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებელთა ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო მოთხოვნილებებს. ინფორმაციას მაშინ გააჩნია შესაბამისობის თვისება, თუ იგი გავლენას ახდენს მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე იმით, რომ ეხმარება მას შეაფასოს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობა.

საიმედოობა. ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, ის უნდა იყოს საიმედო. ინფორმაცია საიმედოა, თუ არ შეიცავს არსებით შეცდომას და არ არის ტენდენციური. ამასთან, მომხმარებელი შეიძლება ენდოს მას იმდენად, რამდენადაც სრულად და მიუკერძოებლად ასახავს ის საქმის რეალურ ვითარებას.

ინფორმაცია რომ იყოს საიმედო, ამისათვის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს სრული არსებითობისა და ღირებულების თვალსაზრისით. ინფორმაციის გამოტოვებამ შეიძლება გამოიწვიოს საიმედოობისა და შესაბამისობის ხარისხის დაქვეითება.

შესადარისობა. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს უნდა შეეძლოს საწარმოს სხვადასხვა წლის საქმიანობის შედარება და შეფასება საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების განსაზღვრის მიზნით. მომხმარებელს აგრეთვე უნდა შეეძლოს სხვადასხვა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მათი საქმიანობის შედეგების და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების ფარდობითი შედარება. ამდენად, მსგავსი ოპერაციების და მოვლენების შეფასება და ასახვა უნდა ხდებოდეს ერთიდაიგივე მიდგომით მთელი საწარმოს მასშტაბით და არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ვინაიდან ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს სურს შეადაროს საწარმოს სხვადასხვა პერიოდის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებები, მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს წინა ანგარიშგებითი პერიოდების შესაბამის ინფორმაციას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად სჭირდება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობების, აგრეთვე მათი გამომუშავების საიმედოობისა და დროულობის შეფასება. ეს უნარი განსაზღვრავს მაგალითად, საწარმოს შესაძლებლობას გადაუხადოს დაქირავებულ მუშაკებსა და მომწოდებლებს, დაფაროს პროცენტები და მიღებული სესხები, აგრეთვე გაუნაწილოს მოგება მესაკუთრეებს. საბოლოოდ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები უკეთ შეაფასებენ საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების გამომუშავების უნარს, თუ კი მათ ხელთ ექნებათ ინფორმაცია, რომელიც ფოკუსირებულია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის შედეგებსა და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებზე.

ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების, განსაკუთრებით კი მისი მომგებიანობის შესახებ, საჭიროა იმ ეკონომიკური რესურსების ცვლილებების შესაფასებლად, რომელიც მან შესაძლოა გააკონტროლოს მომავალში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების ცვალებადობის შესახებ. ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შესახებ სასარგებლოა საწარმოს მფლობელობაში არსებული რესურსების საფუძველზე ფულადი

სახსრების გამომუშავების უნარის პროგნოზირებისათვის. იგი ასევე გამოსადეგია საწარმოს მიერ შესაძლო დამატებითი რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ სასარგებლოა საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს საინვესტიციო, ფინანსური და საოპერაციო საქმიანობის შესაფასებლად. ეს ინფორმაცია სასარგებლოა, რათა მომხმარებელი გაეცნოს იმ საფუძველს, რომლითაც შეაფასებს საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მისი ექვივალენტების გამომუშავების უნარსა და ფულადი სახსრების გამოყენების საჭიროებას. ფინანსური მდგომარეობის ცვლილების ანგარიშგების შედეგის პროცესში სახსრები შეიძლება განიმარტოს როგორც ფინანსური საშუალებების ერთობლიობა, საბრუნავი კაპიტალი, ლიკვიდური აქტივები ან ფულადი საშუალებები. ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ძირითადად მოცემულია ბუღალტრულ ბალანსში; ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ ძირითადად მოცემულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო ინფორმაცია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ მოცემულია ცალკე ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები ურთიერთკავშირშია იმ თვალსაზრისით, რომ ასახავს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციებისა და მოვლენების სხვადასხვა ასპექტს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ანგარიშგება შეიცავს სხვა ანგარიშგებისგან განსხვავებულ ინფორმაციას, არც ერთი მათგანი არ ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს და ვერც მომხმარებელთა კონკრეტული საინფორმაციო მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება დიდი რაოდენობის სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების დამუშავების რაოდენობრივი შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია შინაარსის ან ფუნქციების მიხედვით. მონაცემთა აგრეგირებისა და კლასიფიცირების საბოლოო სტადიას წარმოადგენს დაჯგუფებული და კლასიფიცირებული მონაცემების წარდგენა, რაც წარმოქმნის უშუალოდ ფინანსური ანგარიშგების მუხლებს. თუ ცალკე აღებული რომელიმე მუხლი არაა არსებითი, იგი აგრეგირდება სხვა მუხლებთან და აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის განმარტებით შენიშვნებში. ნაკლებად არსებითი მუხლი, რომელიც ცალკე მუხლად არ აისახება უშუალოდ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაძლოა იმდენად არსებითი შინაარსის მქონე იყოს,

რომ განმარტებით შენიშვნებში იმსახურებდეს ცალკე წარმოდგენას. რაც შეეხება ურთიერთგადაფარვას, არ შეიძლება აქტივებისა და ვალდებულებების ან ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთგადაფარვა, თუ ამას არ მოითხოვს ან დაშვებული არ არის რომელიმე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ანგარიშგებაში ცალ-ცალკე იყოს წარდგენილი აქტივები და ვალდებულებები, შემოსავლები და ხარჯები. თუ ურთიერთგადაფარვა არ ასახავს ოპერაციის ან მოვლენის შინაარსს, მაშინ მუხლების ურთიერთგადაფარვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში (თუ წარდგენილია) ინფორმაციის მომხმარებელს მცირე შესაძლებლობას აძლევს იმისათვის, რომ გაერკვეს განხორციელებულ ოპერაციებში, სხვა მოვლენებსა და პირობებში და შეაფასოს საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადები.

## Main Aspects of Preparation and Submission of Financial Reports

*Marina Maisuradze*

Financial reporting is a set of the financial information of general use, which is gathered, processed and prepared for a user according to established format.

Financial reporting should represent actual financial state of a company, the results of its financial activity and the cash-flow operations. A just submission requires an appropriate reflection of the company's economic transactions, other related events and circumstances in pursuance of the criteria of explanations and recognition of its obligations, incomes and expenses.

A company's financial reports should cover all the information enabling an user to evaluate the objectives, policy and procedures related to management of the company's capital.

Preparation of the financial reports is to be based upon a just and a true viewpoint regarding the financial state, performance results and changes in the financial condition of a company.

Financial report should be prepared as of a last date of the relevant period of reporting.

Use of the qualitative indicators of the information obtained, as well as of the relevant standards applied in the financial reporting creates a basis



for introducing a well-justified and impartial viewpoint on the financial state, performance results and changes in the financial condition of a company.

The financial reporting should demonstrate the results of managing the financial resources entrusted to the company leaders.

The economic resources held by a company as well as its financial structure, liquidity and solvency, plus the skills of adaptation with the changing economic environment, have a certain influence on the company's financial state.

ფინანსური შედეგის აღიარების  
თავისებურებები სამშენებლო კომპანიაში

ნინო ლომიძე  
თსუ დოქტორანტი

ბიზნესსუბიექტებს შორის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებამ და მსოფლიოს მასშტაბით გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა წარმოშვა საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომზადებისა და მომხმარებელამდე დაყვანის საკითხისადმი ერთნაირი მიდგომის აუცილებლობა. სწორედ ამიტომ, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო მასშტაბით რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს) და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს). შესაბამისად, საქართველოში 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ”, რომლითაც კერძო სამართლის იურიდიულ პირებს დაევალებათ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) დაცვით.<sup>1</sup>

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლების თანახმად ფინანსური ანგარიშგება უნდა მომზადდეს დარიცხვის მეთოდის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულად ასახვას მისი მოხდენისთანავე და არა ფულადი სახსრების მიღების ან გადახდის დროს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ასეთი დაშვების აუცილებლობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ბიზნესი ცოცხალი მექანიზმია და საწარმოს ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს უწყვეტ პროცესს. თუმცა, პერიოდულად (წლიურად, კვარტალურად) ხდება ამ პროცესის “შეჩერება” და მზადდება ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგების შესახებ. ანგარიშგებითი პერიოდის (საქართველოში ეს პერიოდი განისაზღვრება ერთი წლით და სრულდება 31 დეკემბერს) ფინანსური შედეგი შეიძლება იყოს მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება შემოსავლებიდან ხარჯების გამოკლებით. ეს, ერთი შეხედვით, უმარტივესი

<sup>1</sup> საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ, მუხლი 10, თბ, 1999.

კომბინაცია ბუღალტრული აღრიცხვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს მშენებლობის ბიზნესში, რომლისთვისაც დამახასიათებელია გრძელვადიანი კონტრაქტები და სადაც შემოსავლების გამოთქმების და ხარჯების გაწევის პროცესი გრძელდება რამდენიმე წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, საკითხავია: როდის (რომელ სააღრიცხვო პერიოდში) უნდა აღიაროს სამშენებლო კომპანიამ შემოსავალი, ხარჯი და შესაბამისად – მოგება ან ზარალი? კონტრაქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დასრულებისას, თუ ეტაპობრივად, იმ სააღრიცხვო პერიოდებში, რომელთა განმავლობაშიც ხორციელდებოდა მშენებლობა? აღნიშნულ საკითხს არეგულირებს ბასს II – სამშენებლო კონტრაქტები, რომელსაც საფუძვლად უდევს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურულ საფუძვლებში აღწერილი აღიარების კრიტერიუმები. ამდენად, სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგებისა და ხარჯების ბუღალტრულად აღრიცხვა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვა შესაძლებელია მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი პირობა: 1. მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა (ამონაგები) ან საწარმოდან გასვლა (ხარჯი); 2. შესაძლებელია ამონაგების და ხარჯების ღირებულების საიმედოდ შეფასება;

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგებისა და ხარჯების საიმედოდ შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება კონტრაქტის შინაარსიდან გამომდინარე. სტანდარტის თანახმად დამკვეთსა და მენარდე (მშენებელ) კომპანიებს შორის შესაძლებელია გაფორმდეს ფიქსირებულფასიანი კონტრაქტი ან კონტრაქტი დანახარჯებს დამატებული ანაზღაურებით. ფიქსირებულფასიანი კონტრაქტის შემთხვევაში მენარდე თანხმდება ფიქსირებულ საკონტრაქტო ფასზე ან შესრულებული სამუშაოს ერთეულის ფიქსირებულ განაკვეთზე.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში სამშენებლო კონტრაქტების დაახლოებით 90% ფიქსირებულფასიანია, რაც, ვფიქრობ, გამომდინარეობს ორივე მხარის ინტერესებიდან. დამკვეთი იხდის კონტრაქტით გათვალისწინებულ ფასს და არ ანაზღაურებს მშენებლის მიერ ზედმეტად გაწეულ დანახარჯებს, რომელიც შესაძლებელია უკავშირდებოდეს ფასების ზრდას, ვალუტის კურსის ცვლილებას, ფორსმაჟორულ სიტუაციას. მეორე მხრივ, დამკვეთის ამგვარი დამოკიდებულება გარკვეულ სტიმულს აძლევს მენარდე კომპანიას რაც შეიძლება ზედმიწევნით გააკონტროლოს მშენებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები, მიიღოს ფიქსირებული ამონაგები და გამოიმუშაოს მაქსიმალური მოგება.

სტანდარტით ასევე განისაზღვრება სამშენებლო კონტრაქტის მეორე ტიპი – კონტრაქტი დანახარჯებს დამატებული ანაზღაურებით.

ეს ისეთი ტიპის კონტრაქტია, რომლის მიხედვითაც მენარდეს მოლიანად აუნაზღაურდება დასაშვები ან სხვა რაიმე გზით განსაზღვრადი დანახარჯები და მასზე დამატებული ამ დანახარჯების პროცენტი ან ფიქსირებული გასამრჯელო.<sup>1</sup> ამ ტიპის კონტრაქტების გამოყენება იშვიათად ხდება პრაქტიკაში, რადგან ნაკლებად უსაფრთხოა მენარდე კომპანიებისთვის. დამკვეთის მიერ საკონტრაქტო სამუშაოების ანაზღაურება ეფუძნება შემსრულებლის მიერ გაწეული დანახარჯების მიზანშეწონილობის დადგენას. აქედან გამომდინარე, ხშირად წარმოიქმნება დავა მენარდესა და დამკვეთს შორის შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რაც როგორც წესი სამშენებლო კომპანიის დაზარალებით მთავრდება.

კონტრაქტის სახეობის მიუხედავად, ბასს II-ის თანახმად, გრძელვადიან კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგების და ხარჯების აღიარება უნდა მოხდეს სააღრიცხვო პერიოდებზე გადანაწილებით ბალანსის შედგენის თარიღისთვის საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით.<sup>2</sup> ასეთი მიდგომა გამოიყენება მსოფლიოს იმ ქვეყნებშიც, სადაც ბასს-ების ნაცვლად მოქმედებს ეროვნული სტანდარტები. ასეთი ქვეყნებია მაგალითად, აშშ,<sup>3</sup> იაპონია,<sup>4</sup> კანადა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ქვეყნებში საკონტრაქტო შედეგების აღიარების ალტერნატიული, დასრულებული საკონტრაქტო სამუშაოების (Completed Contract Method) მეთოდიც არსებობს. საინტერესო გამოწვევის წარმოადგენს გერმანია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბასს-ებს აღიარებს, გრძელვადიან კონტრაქტებთან მიმართებით მხოლოდ დასრულებული საკონტრაქტო სამუშაოების მეთოდს იყენებს,<sup>5</sup> რაც თავის მხრივ გულისხმობს საკონტრაქტო ამონაგების, პროექტის თვითღირებულების და მოგების აღიარებას კონტრაქტის დასრულების წელს.

ბასს II-ის აღრიცხვით ვერსიით გრძელვადიანი კონტრაქტების აღრიცხვა დასაშვები იყო ორივე მეთოდით.<sup>6</sup> ახლანდელი ვერსიით კი ერთადერთი ალტერნატივა საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის დადგენაა. უნიკალური არცერთი მეთოდი, თუმცა, ბუღალ-

<sup>1</sup> ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი II – სამშენებლო კონტრაქტები, მუხლი 3, თბ, 2009.

<sup>2</sup> ბასს II სამშენებლო კონტრაქტები, მუხლი 22.

<sup>3</sup> იხ: Accounting Research Bulletin, No. 45, The Percentage-of-Completion Method of Accounting for Long-Term Construction Contracts.

<sup>4</sup> იხ: ASBJ Statement No. 15, Accounting Standard for Construction Contracts and Guidance on Accounting Standard for Construction Contracts.

<sup>5</sup> Barry J. Epstein, Eva K. Jermakowicz, IFRS Policies and Procedures, chapter 5 – Revenue Recognition, p. 91.

<sup>6</sup> იქვე.

ტრული აღრიცხვის მიზნიდან გამომდინარე – პერიოდულად მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ, უპირატესობა სწორედ სამუშაოების შესრულების სტადიის მეთოდს ენიჭება. აღნიშნული მეთოდის გამოყენების სირთულეა საკონტრაქტო შედეგების შეფასების საიმედოობა. ამასთან დაკავშირებით სტანდარტი განმარტავს:

ფიქსირებულფასიანი კონტრაქტის დროს, სამშენებლო კონტრაქტის შედეგის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) შესაძლებელია მთლიანი საკონტრაქტო ამონაგების სიდიდის საიმედოდ განსაზღვრა;

ბ) მოსალოდნელია, რომ კონტრაქტებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში;

გ) შესაძლებელია ბალანსის შედგენის თარიღისათვის საიმედოდ განისაზღვროს კონტრაქტის დასამთავრებლად საჭირო დანახარჯები და კონტრაქტის შესრულების სტადია;

დ) შესაძლებელია მოცემულ კონტრაქტებთან დაკავშირებული დანახარჯები თავისუფლად გაიმიჯნოს და მისი სიდიდე საიმედოდ ისე განისაზღვროს, რომ ფაქტობრივად გაწეული საკონტრაქტო დანახარჯები წინასწარ შეფასებას შეუდარდეს;

დანახარჯებს დამატებული ანაზღაურების შემცველი კონტრაქტის დროს, სამშენებლო კონტრაქტის შედეგის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) მოსალოდნელია, რომ კონტრაქტებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში;

ბ) შესაძლებელია მოცემულ კონტრაქტებთან დაკავშირებული საკონტრაქტო დანახარჯები თავისუფლად გაიმიჯნოს და მისი სიდიდე საიმედოდ განისაზღვროს, იმისდა მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა კონტრაქტი მათ ანაზღაურებას.

ფაქტობრივად, ფიქსირებულფასიანი კონტრაქტის შემთხვევაში მენარდე კომპანიას არ უნდა გაუჭირდეს საკონტრაქტო შედეგების საიმედოდ შეფასება, რადგან თავიდანვე ცნობილია კონტრაქტის თვითღირებულება და გასაყიდი ფასიც. ერთადერთი საზრუნავი მშენებლობის პროცესის მაქსიმალური კონტროლია, რათა დაგეგმილი და რეალურად გაწეული დანახარჯები შეუდარდეს ერთმანეთს და გადახრა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი. დანახარჯებს დამატებული ანაზღაურებით კონტრაქტის შედეგების საიმედოდ შეფასება გაცილებით რთულია. საქმე ისაა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული დანახარჯების საიმედოდ

განსაზღვრის მიუხედავად, შეიძლება სათუო გახდეს, რამდენად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში. საკონტრაქტო შედეგების საიმედოდ შეფასების შეუძლებლობის შემთხვევაში საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალი უნდა აღიაროს ამავე პერიოდში გაწეული იმ საკონტრაქტო დანახარჯების ოდენობით, რომელთა ანაზღაურებაც მოსალოდნელია.<sup>1</sup> ამდენად, თუ კონტრაქტის შედეგების საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, არც შესაბამისი მოგება არ აღიარდება. იმის მიუხედავად, რომ სტანდარტი ითვალისწინებს მსგავს შემთხვევას, მენარდე კომპანიები მაინც არიდებენ თავს საკონტრაქტო შედეგების არასაიმედოდ შეფასებას. ეს ძირითადად განპირობებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნით – გრძელვადიან კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოსავლები და გამოქვითვები აღიარდეს საგადასახადო წლის განმავლობაში პროპორციულად, მათი ფაქტობრივი შესრულების შესაბამისად<sup>2</sup>, რაც თავის მხრივ აუცილებლად მოითხოვს საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის დადგენას.

საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადია შესაძლებელია დადგინდეს სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდებიდან ერთ-ერთის გამოყენებით:

ა) პროპორციულობის მეთოდი, რომლის თანახმად საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადია განისაზღვრება და შესაბამისად საკონტრაქტო ამონაგები აღიარდება მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში რეალურად გაწეული დანახარჯების ხვედრითი წონის განსაზღვრით მთლიან საკონტრაქტო დანახარჯებში (პროექტის თვითღირებულებაში). საყურადღებოა, რომ მოცემულ სააღრიცხვო პერიოდში გაწეული დანახარჯები არ მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია მომავალი პერიოდის საკონტრაქტო სამუშაოებთან. კერძოდ, მშენებლობის ტერიტორიაზე შემოზიდულ ნედლეულსა და მასალაზე გაწეულ დანახარჯებს, რომლის გამოყენება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად დაგეგმილია მომავალში;

ბ) შესრულებულ სამუშაოთა გამოკვლევის მეთოდი, რაც ეყრდნობა საკონტრაქტო სამუშაოთა შესრულების სტადიის დადგენას ექსპერტული შეფასებით. შესრულებული სამუშაოს შეფასება ხდება უშუალოდ მშენებელი კომპანიის მიერ, ან დამკვეთთან შეთანხმებით. შესაძლოა გამოყენებული იქნეს დამოუკიდებელი ექსპერტ-შემფასებლის მომსახურებაც. ამ მეთოდით, კონტრაქტის შესრულების პროცენტული წილი განისაზღვრება დამტკიცებული (ექსპერტულ შეფასებაზე დაყრდნობით გაანგარიშებული) სამუშაოს ხვედრითი წონის დადგენით კონტრაქტის ფასში;

<sup>1</sup> ბას 11 – სამშენებლო კონტრაქტები, მუხლი 32, თბ, 2009.

<sup>2</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 144, პუნქტი 1, თბ, 2011.

გ) საკონტრაქტო სამუშაოების დასრულების ფიზიკური პროპორციულობის მეთოდი, რაც ნაკლებად პოპულარულია.

სტანდარტი არ ანიჭებს უპირატესობას განხილული მეთოდებიდან რომელიმეს. მთავარია საწარმომ აირჩიოს ის მეთოდი, რომელიც ყველაზე უკეთ შეძლებს საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის დადგენას და შესაბამისად საკონტრაქტო შედეგების სწორად შეფასებას სააღრიცხვო პერიოდების მიხედვით. თუ გაითვალისწინებთ გრძელვადიან კონტრაქტებთან მიმართებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნას, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროპორციულობის მეთოდის გამოყენება ყველაზე მეტად აქტუალურია.<sup>1</sup>

ცხადია, საწარმოს ფინანსური შედეგი ყოველთვის მოგება არ არის. ფინანსური სახსრების არამიზნობრივი მობილიზაციის, საქმიანობის არასწორი დაგეგმვის, გაუმართავი მენეჯმენტის, რისკების არასრულფასოვნად შეფასების, ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების და კიდევ სხვა მრავალი მიზეზის გამო, სამშენებლო კონტრაქტი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს. კონსერვატიზმის პრინციპის თანახმად, საწარმომ ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს წინდახედულად, ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს საწარმოს ქონების და ფინანსური შედეგების გადაჭარბებულ შეფასებას. აღნიშნული კონცეფციიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო კონტრაქტი შესაძლოა საბოლოოდ მომგებიანი აღმოჩნდეს, თუ რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში მოსალოდნელია მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯების გადაჭარბება მთლიან საკონტრაქტო ამონაგებზე, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს.<sup>2</sup>

ფინანსური შედეგის აღიარების თავისებურებების უკეთესად გაგების მიზნით, განვიხილოთ სამშენებლო კომპანიის სამწლიანი კონტრაქტს პირობითი მაგალითი. კონტრაქტი იწყება 2011 წლის იანვარში და გრძელდება 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით. საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის დასადგენად მოცემული კომპანია იყენებს პროპორციულობის მეთოდს. კონტრაქტი ფიქსირებულფასიანია

და შეფასებულია 5 მლნ ლარად. თვითღირებულება შეადგენს 4 მლნ 100 ათას ლარს. განხილულია ორი შემთხვევა: 1. სამშენებლო კონტრაქტი მომგებიანია; 2. სამშენებლო კონტრაქტი ზარალიანია. ინფორმაცია საკონტრაქტო სამუშაოებს განხორციელების და პერიოდების მიხედვით საკონტრაქტო შედეგების აღიარების შესახებ მოცემულია შესაბამის ცხრილებში (იხ. ცხრილი 1, 2).

მოცემული ცხრილების ანალიზით ირკვევა, რომ გრძელვადიანი კონტრაქტის პირველი წელი ორივე შემთხვევაში მომგებიანია. ეს ბუნე-

მომგებიანი სამშენებლო კონტრაქტი ცხრილი 1

| სტრ. № | საწარმოო შედეგებზე   | ლარი               |                     |                      |
|--------|--|--------------------|---------------------|----------------------|
|        |  | 2011 წელი I კვარტი | 2012 წელი II კვარტი | 2013 წელი III კვარტი |
| 1      | პროექტის დასრულო ფასი  | 5 000 000          |                     |                      |
| 2      | პროექტის ივერტი  | 4 100 000          |                     |                      |
| 3      | ივერტი მიეზამხარალო პროექტიდან   | 900 000            |                     |                      |
| 4      | სადავროცხო პერიოდში ფაქტობრივად იანვარული დანახარჯები                                | 1 500 000          | 1 700 000           | 900 000              |
| 5      | წინსადავროცხო პერიოდში იანვარული დანახარჯები   |                    | 1 500 000           | 3 300 000            |
| 6      | დანახარჯები სულ  | 1 500 000          | 3 300 000           | 4 200 000            |
| 7      | პროექტის დასრულებისათვის მომდებული დასრულო დანახარჯები (სტრ. 2- სტრ. 6)              | 2 000 000          | 900 000             | 0                    |
| 8      | საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის დასადგენად (სტრ. 2)                       | 35.6%              | 78%                 | 100%                 |
| 9      | მოცემული მომდებლისთვის განმარტებული საკონტრაქტო მიეზამხარალო (სტრ. 3 - სტრ. 7)       | 3 39 400           | 702 000             | 900 000              |
| 10     | წინსადავროცხო პერიოდში აღარტებული საკონტრაქტო მიეზამხარალო                           |                    | (3 39 400)          | (702 000)            |
| 11     | მომდებელი სადავროცხო პერიოდში აღარტებული საკონტრაქტო მიეზამხარალო (სტრ. 9 - სტრ. 10) | 3 39 400           | 372 600             | 600 000              |
| 12     | წლის დასადავროცხოში იანვარული დანახარჯები (სტრ. 4)                                   | 1 500 000          | 1 700 000           | 900 000              |
| 13     | სადავროცხო პერიოდში დასადავროცხო ამონაგები - დანახარჯების სულ (სტრ. 11 + სტრ. 12)    | 1 839 400          | 2 072 600           | 1 500 000            |

<sup>1</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 144, პუნქტი 2, თბ, 2011.

<sup>2</sup> ბასი 11 - სამშენებლო კონტრაქტები, მუხლი 36, თბ, 2009.



ზარალიანი სამშენებლო კონტრაქტი  
ცხრილი 2

| სტრუქ. № | საწყისი მხარეები   | ღარი                |                      |                       |
|----------|--|---------------------|----------------------|-----------------------|
|          |  | 2011 წელი<br>I წელი | 2012 წელი<br>II წელი | 2013 წელი<br>III წელი |
| 1        | პროექტის იმპლემენტაცია   | 5 000 000           |                      |                       |
| 2        | პროექტის იმპლემენტაცია<br>თვითღირებულება   | 4 100 000           |                      |                       |
| 3        | დამკვეთის მიერ დახარჯული<br>პროექტისთვის   | 500 000             |                      |                       |
| 4        | სადავოების პერიოდში<br>დასრულებული იმპლემენტაცია<br>და მასშტაბები  | 1 200 000           | 2 100 000            | 500 000               |
| 5        | წინასადავოების პერიოდში<br>დასრულებული იმპლემენტაცია<br>და მასშტაბები  |                     | 1 500 000            | 4 200 000             |
| 6        | დასრულებული იმპლემენტაცია  | 1 200 000           | 4 200 000            | 5 100 000             |
| 7        | პროექტის დასრულებისას<br>შემატებული იმპლემენტაცია<br>და მასშტაბები (სტრ. 2-სტრ. 6)   | 2 600 000           | 200 000              | 0                     |
| 8        | II წლის ბილანსის აღმნიშვნელი<br>რამაც პროექტის<br>თვითღირებულება ატარებს<br>შესაბამისად იმპლემენტაცია<br>(სტრ. 6 +<br>სტრ. 7)  |                     | 5 000 000            | 5 100 000             |
| 9        | საკონტრაქტო სამუშაოების<br>შესრულების სტადია (სტრ. 6<br>+ სტრ. 8)  | 36.0%               |                      |                       |
| 10       | შეცვლილი სამუშაოების<br>ტენდერული ღირებულება<br>საკონტრაქტო შიდა (სტრ. 3<br>+ სტრ. 9) და შიდა<br>(ტენდერული ღირებულება)        | 329 400             | [100 000]            | [100 000]             |
| 11       | წინასადავოების პერიოდში<br>დასრულებული სამუშაოების<br>შეცვლილი ღირებულება  |                     | [329 400]            | -[100 000]            |
| 12       | შეცვლილი სადავოების<br>პერიოდში დასრულებული<br>საკონტრაქტო შიდა (სტრ. 10 -<br>სტრ. 11)   | 329 400             | [429 400]            | 0                     |
| 13       | წლის დასრულებისას  |                     |                      |                       |
| 14       | დასრულებული იმპლემენტაცია<br>(სტრ. 6)  | 1 200 000           | 2 100 000            | 500 000               |
| 15       | სადავოების პერიოდში<br>დასრულებული იმპლემენტაცია<br>და მასშტაბები (სტრ. 4)<br>დასრულებული იმპლემენტაცია<br>(სტრ. 12 + სტრ. 14) | 1 029 400           | 2 270 600            | 500 000               |

ბრივია, რადგან რთული წარმოსადგენია სამშენებლო კომპანიამ ისე ვერ განსაზღვროს პროექტის თვითღირებულება, რომ პირველივე წელს ზარალი არ მიიღოს. მომდევნო წლები შედარებით რთულია, რამდენადაც უფრო მეტად იხენს თავს გაუთვალისწინებელი, ხშირ შემთხვევაში ნაკლებად პროგნოზირებადი პრობლემები, რაც იწვევს პროექტის გეგმიური დანახარჯების ფაქტობრივ ზრდას. შესაძლებელია ამის შედეგი იყო 2012 წელს აღიარებული ზარალი. თუმცა, არც იმას გამოვირიცხავ, რომ ზარალიანობას ხელი შეუწყო პროექტის თვითღირებულების მცდარმა შეფასებამ ან საკონტრაქტო სამუშაოების უგულისყუროდ განხორციელებაში, რაც ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, დაგეგმვის პროცესის, ხოლო მეორე მხრივ, კონტროლის მექანიზმების სისუსტეს.

ცხრილების ანალიზი გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია საკონტრაქტო დანახარჯების მაქსიმალური სიზუსტით შეფასება. სწორედ ამავა დამოკიდებული სამშენებლო კომპანიის საქმიანობის ფინანსური შედეგი, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია მომხმარებელთა მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებისას.

Recognition Features of Financial Results in Construction Companies

N. Lomidze

The article deals with the recognition features of the financial results in long-term construction contracts. The paper emphasizes the types and content of construction contracts. It also highlights issues regarding reliable assessment criteria of the outcome of construction contract as well as the methods that defines the stage of completions of a contract.

The article provides an example of long-term contract and discusses construction profit and loss recognition procedure works during the accounting periods using percentage of completion method.

მეცნიერული ბაზაფულობის ღირსეულ

მსურველთა გვაგველევით\*

„აკადემიური წერა“ როგორც საუნივერსიტეტო დისციპლინა, თუმცა, ხუთიოდე წელია, რაც საქართველოს უნივერსიტეტებში იკითხება, სულ უფრო მკვიდრდება ქართულ სინამდვილეში. მისი საჭიროება კი დიდი ხანია არსებობს. ამასთან, საქართველოს უმაღლეს სკოლაში „აკადემიური წერა“ როგორც სასწავლო დისციპლინა, უფრო ადრე გაჩნდა, ვინემ ადეკვატური სახელმძღვანელოები შეიქმნებოდა.

ამ ფონზე უდავოდ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა სარეცენზიო წიგნი, რომელიც ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთი პირველია. თუ წიგნის რედაქტორს, პროფესორ ბადრი ცხადაძეს დავესხებით, „აკადემიზმით გამორჩეული ეს წიგნი-სახელმძღვანელო ძირითადად განკუთვნილია სტუდენტის მაგისტრანტებისათვის, მისი აქმა და გამოყენება სასაფუძვლოდ მომზადებულ სტუდენტ ბაკალავრსაც არ გაუჭირდება“ (გვ. 4). მე კი დავძინდი, რომ ეს სრულქმნილი სახელმძღვანელო გამოადგებათ დოქტორანტებსაც და იმ მეცნიერ მუშაკებსაც, რომელთა წერის კულტურა კვლავაც მოითხოვს გარკვეულ „გარანდას“.

სახელმძღვანელოში, ლოგიკური თანმიმდევრულობითა და განსახილველი საკითხები ღრმა ცოდნითაა გაშუქებული აკადემიური წერის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: აკადემიური წერის საგანი და ამოცანები, სამეცნიერო ურთიერთობათა წრე, თემის ძიება და შერჩევა, წყაროების მოძიება-დამუშავება, სამეცნიერო ნაშრომის გეგმის შედგენა, კვლევა-ძიების აზროვნებით პროცესისა და მექანიზმების საფუძვლები, აკადემიური წერის ჟანრები, მეცნიერული ტექსტის სახეობები და ძირითადი ელემენტები, მეცნიერების პროფესიული ეთიკა და სხვა.

წიგნის ავტორები სავსებით სამართლიანად მიანიშნებენ „აკადემიური წერის“ საგნის ორ უმთავრეს სფეროზე, რომელთაგან პირველი ადგენს სტრუქტურულ-ფორმალისტური, სამეცნიერო ტექსტის სტრუქტურირების, ტექსტის ნაწილების ურთიერთდაკავშირების პრინციპებს, წესებსა და უნარჩვევებს, ხოლო მეორე – წერის სტილსა და წესების შერჩევას კვლევის მიზნის შესაბამისად.

მთლიანობაში კი, „აკადემიურ წერაში“ ავტორთა კვლევისა და განსჯის სფეროა: აკადემიური აზროვნების სწავლება, აკადემიური კვლევის უნარ-ჩვევების შექმნა, აკადემიური წერის წესებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლება, სამეცნიერო ნაშრომის წერის ფორმების სწავლება, წერის როგორც ინტელექტუალური შემოქმედების ხელოვნებასა და საიდუმლოებაში ჩაწვდომა და სხვა.

ხემაღლიწიწილის ფონზე, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: შესაძლებელია თუ არა აკადემიური წერის დაუფლება მხოლოდ სახელმძღვანელოს მეშვეო-

\* თემურ ჯავახიანი, ივანე ჯავახიანი, მარიამ ვარდიანი. აკადემიური წერა. კვლევისა და წერის სახელმძღვანელო, რედაქტორი პროფესორი ბადრი ცხადაძე, თბ., 2009, გვ. 419.

ბით? – რა თქმა უნდა, არა. სახელმძღვანელომდე, აუცილებელია გარკვეული აზროვნებითი და წერითი კულტურის ათვისება საშუალო სკოლის მაღალ კლასებში, ასევე უნივერსიტეტების პირველ-მეორე კურსებზე კვალიფიციურ ლექტორთა ლექცია-სემინარების მოსმენით, ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინაში საკურსო ნაშრომების თუ სხვა სახეობის წერითი სავარჯიშოების შესრულების პროცესში, რაც კვლევითი ჩვევების, მეცნიერული აზროვნებისა და აკადემიური წერის საწესის და აუცილებელი ეტაპია. მომდევნო, მაღალი ეტაპის მოთხოვნებს კი ზედმიწევნით უპასუხებს სარეცენზიო წიგნი, რის გამოც იგი მაღალ შეფასებას იმსახურებს.

მოსაწონია, რომ წიგნს თან ერთვის ზოგიერთი ცნება-ტერმინის განმარტება, ასევე გამოყენებული ლიტერატურის სია.

წიგნის მიმართ გვაქვს ორიოდე შენიშვნა. მართალია, იგი სრულად უპასუხებს მის წინაშე დასმულ ამოცანებს, თუმცა, მისდამი ინტერესი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ მასში მცირეოდენი ადგილი მაინც დათმობოდა არაფილოლოგიურ სფეროებში, ვთქვათ, ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობებზე, აკადემიური წერის საკითხს, რომელიც თავისი მკვეთრად გამოხატული სპეციფიკური ტერმინებითა და საერთოდ – ტერმინოლოგიის სირთულით ხასიათდება. ამასთან დაკავშირებით, სასურველად (თუ აუცილებლად არა) მიმანია ფილოლოგთა და ეკონომისტთა ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნას სახელმძღვანელო - „აკადემიური წერა ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობების სტუდენტთათვის“.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია რისი თქმა სურთ ავტორებს 327 გვ-ზე: „ამგვარი კვლევაძიებითი მანერით ჩვენში იღია ჭავჭავაძე ცნობილი, მაგრამ მას პლაგიატი მისმა უსასტიკესმა მტრებმაც კი ვერ დასწამეს, თუმცა ასეთი ფაქტები მათთვის კარგად იყო ცნობილი“ (?!).

ნაშრომში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება აზრობრივი თუ კორექტურული შეცდომები, დასაზუსტებელი ადგილები. მაგალითად, „რამდენად ღირებულია მისი შემეცნებითი ასპექტი“; „რამდენად ფასეულია ავტორის მიღწევები“ (გვ. 295); „კვლევის ღირებულება“ (გვ. 53) და ა.შ. კარგი იქნებოდა, თუ გაგვიზნავდით, სად გამოვიყენოთ „ფასეულობა“ და სად - „ღირებულება“. საქმე ისაა, რომ აღნიშნული ტერმინებისადმი მიდგომა ერთმეორისაგან სრულიად განსხვავებულია ქართულ ეკონომიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებებში.

სარეცენზიო ნაშრომი, მისი ერთობ სპეციფიკურობისა და ანალოგების ნაკლებად არსებობის მიუხედავად, დიდი პასუხისმგებლობითა და პრობლემის ღრმა ცოდნითაა დაწერილი. ამიტომ, სრულ თანხმობას ვუცხადებ წიგნის რედაქტორს იმამიძე, რომ ეს წიგნი „დიდხანს იქნება საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტთა მგზური და გზამკვლევი მეცნიერული გაწაფულობის შედგომის გზაზე“.

რევაზ გოგონია  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**„დიდნი საქმენი” – წიგნი, რომელის მოგვითხრობს,  
თუ „რანი ვიყავით, რანი ვართ და რაღ შეიძლება  
ვიყოთ კვლავაღას”**

„ამ წიგნის შექმნა განპირობებული იყო იმითაც, რომ გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ახალგაზრდობა კარგავს კავშირს წარსულთან და მათშივე იკარგება იმედი მომავლისა. ამიტომ წარმოიშვა ეს იდეა, რომ კიდევ ერთხელ დაგვეწერა წიგნი, რომელიც შეახსენებს მათ ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, როგორ შრომობდნენ და როგორ მოღვაწეობდნენ ისინი”, - აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მისი თაოსნობითა და ლოცვა-კურთხევით მომზადებული და გამოცემული წიგნის „დიდნი საქმენი” პრეზენტაციაზე, რომელიც ამ დღეებში საქართველოს საპატრიარქოში შედგა. წიგნში მოცემულია ცალკეული ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, მოთხრობილია სხვადასხვა განსაკუთრებული მოვლენისა და ფაქტის შესახებ, ნათლადაა წარმოჩენილი როგორ ვიცხოვრეთ, ვიღვაწეთ და რამ გადაატანინა ისტორიის ქარტეხილები ამ პატარა ქვეყანასა და მცირერიცხოვან ერს. ამ გამოცემაში საოცრად უნიკალური მასალებია შესული საქართველოს ისტორიიდან. აქ საქმე გვაქვს როგორც სხვადასხვა სახის მიმე ბრძოლებთან, ღრმა დრამატიზმთან, ასევე საეტაპო წარმატებებთან, რომელთა წყალობითაც საქართველომ გარკვეულ პერიოდში პოლიტიკურ ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მიაღწია. ქართული ენის, ამ უნიკალური ფენომენისადმი მიძღვნილი რამდენიმე ნარკვევი. ასევე დიდი ადგილი ეთმობა ქართული ეკლესიისა და მართლმადიდებლობის ადგილსა და როლს ქართველთა ისტორიაში, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებსა და მათ ავტორებს, წმინდანებს. ცალკეულ ნარკვევებში დიდი ადგილი უკავია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პრობლემას. წიგნში განსაკუთრებულადაა წარმოჩენილი საუკუნის დიდი ქართველი მამულიშვილების, მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების დამსახურება ერის წინაშე.

წიგნზე მრავალი ქართველი მეცნიერი – ისტორიკოსი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი, ხელოვნებათმცოდნე, გამოცემის მთავარი რედაქტორის

აკად. როინ მეტრეველის ხელმძღვანელობით 2 წლის განმავლობაში მუშაობდა. „დიდნი საქმენის” პრეზენტაციაზე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში შეტანილი წვლილისთვის როინ მეტრეველი უმაღლესი საეკლესიო ჯილდოთი – წმიდა გიორგის ოქროს ჯვრის მედლით დაჯილდოვდა.

ეს უნიკალური გამოცემა გამომცემლობა „არტანუჯმა” ბუბა კუდავას ხელმძღვანელობით გამოსცა, წიგნის დიზაინერი გახლავთ ბაჩა მაღაზონია, გამოცემის მეწეველი – ბადრი ბერიაია. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული და უხვადაა ილუსტრირებული უნიკალური ფოტო და საარქივო მასალით.

პროექტის წარმატებით განხორციელებას განსაკუთრებული ამაგი დასდო ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა, რომლის უშუალო შემწეობითაც იხილა წიგნმა მზის სინათლე, მისივე წინადადებით, რადგან წიგნი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სასაჩუქრე გამოცემაა და არ იქნება გაყიდვაში, პროექტი გაგრძელდება. II ეტაპი ითვალისწინებს წიგნის „დიდნი საქმენი” სამეწიველი ელექტრონული ვერსიის ვებგვერდის შექმნას. საიტი გაფორმდება მაღალ დონეზე შესაბამისი აუდიო-ვიდეომასალებით და ამით ხელმისაწვდომი გახდება მკითხველთა ფართო წრისათვის. მომავალში საიტი ჩამოყალიბდება ენციკლოპედიურ გზამკვლევადაც საქართველოსა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში და ყველა დაინტერესებულ პირს მსოფლიოში საშუალება ექნება მრავალმხრივი ინფორმაცია მიიღოს საქართველოს შესახებ. საიტით ასევე სათანადო პასუხი გაეცემა ჩვენი არაკეთილმოსურნეების მიერ საქართველოზე გაგრძელებულ სიცრუესა და სიყალბეს. დიდი ყურადღება დაეთმობა ქართული ეკლესიის ისტორიასა და დღევანდელობას, პატრიარქის ქადაგებებს, ქართულ საეკლესიო გალობასა და ფოლკლორს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ქართული ემიგრაციისათვის, რათა ისინი სულიერად არ მოსწყდნენ სამშობლოსა და დედა ეკლესიას. საიტი მუდმივად განახლებადი და შევსებადი იქნება.

„კვირის პალიტრა”  
11-17 აპრილი, 2011





ხოლმე, თუნდაც წერილმანებში, იმპერიალისტურ ურთიერთობაში რუსეთის სხვა ტომელების მიმართ და ამით სავსებით ძირს ეუთხრით მთელს ჩვენს პრინციპულ გულწრფელობას“. იგი მკაცრ გაფრთხილებას იძლეოდა, რომ საბჭოთა კავშირის შექმნით ზიანი არ მიეყენებიათ რომელიმე ერის ინტერესებისათვის, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, “კავშირიდან გასვლის თავისუფლება, რითაც ჩვენ თავს ვიმართლებთ, ფარატიანა ქალაქი აღმოჩნდება, რომელიც ვერ შეძლებს დაიცვას რუსეთის სხვატომელები იმ ველიკორუსული შოეინისტის თავდასხმისაგან, როგორც არის, ტიპური რუსი ბიუროკრატი“ და შემდეგ დასძენდა: ...ეჭვი არ არის, რომ სარკინიგზო ერთიანობის საბაბით, ფისკალური ერთიანობის საბაბით და სხვა, ჩვენში ჭეშმარიტად რუსული თვისების უამრავი ბოროტმოქმედება იპოვის გზას. ამ ბოროტმოქმედებებთან საბრძოლველად საჭირო გახდება დეტალური კოდექსი, რომელიც მხოლოდ მოცემულ რესპუბლიკაში მცხოვრებ ნაციონალებს შეუძლიათ რამდენადმე მიანიც წარმატებით შეადგინონ“ (ვი.ი.ლენინი, თხზ. ტ. 36, გვ: 689-696). ამიტომ იყო, რომ თავის დროზე, ლენინმა წარმოადგინა საბჭოთა კავშირის შექმნის პრინციპულად განსხვავებული პროგრამა, ვიდრე ი.ბ.სტალინმა. “ჩვენ, რფსრ, ვცნობთ თავს თანასწორუფლებიანად სხვა დანარჩენ რესპუბლიკებთან და მათთან ერთად შეგდევართ რესპუბლიკების ნებაყოფლობით გაერთიანებაში – საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. . . საჭიროა ერთა თანასწორობისა და გამოყოფის თავისუფლების უზრუნველყოფა განხორციელდეს სინამდვილეში, რათა მივალწოდოთ ყველა ერის საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობით უმჭიდროეს კავშირს. . . ველიკორუსულ შოეინიზმს ვუცხადებ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლასო“ - წერდა იგი (ვი.ი.ლენინი, თხზ.ტ. 29, გვ 113, ტ. 33. გვ: 438).

... როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში მრავალი ერი და ეროვნება შედის. მათი თვითყოფადობის შენარჩუნება მთელი კაცობრიობის მოვალეობაა. ი.გოგებაშვილი წერდა: „როგორც სიმღერის ქოროს ჰარმონია ირღვევა, თუ მას რომელიმე ხმა მოაკლდება, ასევე, კაცობრიობის ჰარმონიას რაღაც აკლდება და ირღვევა, იგი, თუ რომელიმე ერი გადაშენდაო“. მეცნიერებაში უკვე სადავო აღარაა ის ფაქტი, რომ დედამიწაზე ყველა მანვე ცხოველი ან მწერიც კი თუ გადავაშენეთ, გაცილებით მეტ ზიანს მივიღებთ, ვიდრე ისინი თავიანთი არსებობით გვაყენებენ. ჩვენ კი, ადამიანები ვართ, ბოლოს და ბოლოს...

1961 წელს მიღებული პროგრამული მიზნის – ენობრივ განსხვავებათა წაშლის განხორციელების ერთ-ერთი მცდელობა იყო, 1978 წელს, საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტიდან, ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების მცდელობა. მართალია, სახელმწიფო ენა კონსტიტუციაში მაშინ შევიწინარჩუნეთ, მაგრამ, პრაქტიკულად იგი ფარატიანა ქალაქად გადაქცეული. ქართული ენა განდევნილია საქართველოს მართვა-გამგეობიდან, ყველა დოკუმენტი და ანგარიში რუსულად დგება, კომპარტიის ცეკას სხდომები რუსულად მიმდინარეობს, დისერტაციები რუსულად იწერება და ა.შ. არადა, ქართულ ენას პრიორიტეტი საქართველოში თუ არ ექნება, მაშინ სად, აფრიკის ქვეყნებში მოვითხოვთ იგი? სამუშაო ძალის „გეგმაზომიერი გადაადგილების“ მოტივით ხდება მოსახლეობის ხელოვნური ასიმილაცია და მალე გადაგვარებისაგან თავს ვეღარ დავიცავთ და ეს ყველაფერი ე.წ. „ფისკალური ერთიანობის“ საბაბით.

ყოველი ერი თავის სულიერ და მატერიალურ ცხოვრებას დედაენაზე და საკუთარ მიწა-წყალზე უნდა სრულყოფდეს და ავითარებდეს. ჯერ კიდევ უშინსკი წერდა: „ადამიანთა სამეტყველო ენა დაკავშირებულია ერის ფსიქიკასთან, ადამიანის სხეულის ბიოლოგიურ და ფიზიკურ აგებულებასთან. თუ ადამიანს შეუვცვლით მშობლიურ ენას და მას რომელიმე სხვა ენაზე გაეზრდით, ირღვევა ჰარმონია ამ ადამიანის ბიოლოგიურ სხეულსა და სამეტყველო ენას შორის, ირღვევა მისი ფსიქიკა და ეცემბა მისი პოტენციური ნიჭიერება“. ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ სამყარო უსასრულოდ მრავალფეროვანია. ერთ ხეზეც კი ორი ერთნაირი ფოთლი არ არსებობს და ნუთუ შეიძლება ერთ ენაზე შეიქმნას შედეგები. ერთ „მშობლიურ“ ენას ერთ ფსიქიკაზე დაჰყავს ადამიანები, რაც ბუნებრივ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. ბუნების წინააღმდეგ ბრძოლა კი აუცილებლად მარცხით მთავრდება.

... საბჭოთა კავშირმა თავისი მისია, ჩემი აზრით, უკვე შეასრულა, ამოწურა. ახლა დღის წერიტში დადგა მისი დაშლის საკითხი. ეს აუცილებელია ცალკეული რესპუბლიკების და თვით რუსეთის შემდგომი ჭეშმარიტი პროგრესისათვის. „წარსულიდან შემორჩენილი ეროვნული საკითხიო“, – ვკითხულობთ 1986 წელს მიღებულ სკკპ განახლებულ პროგრამაში. რას ნიშნავს წარსულიდან შემორჩენილი? ნუთუ ეროვნულობა ნეგატიური მოვლენა იყო? ნუთუ ბალზაკი, შექსპირი, რუსთაველი, ბახი და ა.შ. ნეგატიური მოვლენაა.

... ამრიგად, შეიძლება ვცდები, მაგრამ, ჩემი აზრით, კომპარტიის ახალ პროგრამაში, ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით, უნდა იყოს შემდეგი ფორმულირება: „სსრ კავშირის კომუნისტური პარტია 2000 წლამდე პერიოდში განახორციელებს სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის ორგანიზაციას, პირველი ხუთი წლით სამხედრო ერთიანობის შენარჩუნებით. მიმანია, რომ სწორედ ეს იქნებოდა საქმით განხორციელებული „გამოყოფის უფლება“ და რეალური „გარდაქმნა“.

ბატონმა პაატამ, წერილის კითხვის პერიოდში რამდენჯერმე დაკვირვებით გამოიმხედა. მე „მშვიდად“ ვიჯექი. ყველა ციტატა იქვე ლენინის ტომებში გადაამოწმა. თითქოს, რაღაც განაჩენს ველოდი. მას სახეზე სასიამოვნო გაოცება ეტყობოდა. კითხვა რომ დაამთავრა მითხრა: „არ გეწინოთ და ჭკვიანი გოგო ყოფილხართო“ (ისე, უკვე 34 წლის ვიყავი). შემდეგ, დაწვრილებით გამომკითხა, ვინ ვიყავი, სად ვმუშაობდი, მყავდა თუ არა ოჯახი. როცა გაიგო, რომ უკვე დისერტაცია დასაცავად მაქვს წარდგენილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში, - მოეწონა. იქვე გადაურეკა ბატონ ვასილ ჩანტლაძეს, რომელიც საბჭოს თავმჯდომარე იყო და შეამოწმა, სიმართლეს ვამბობდი თუ არა. მითხრა, მე მაგ საბჭოს წევრი ვარ და თუ რამე დახმარება დაგჭირდეს, აუცილებლად მითხარით. ჩემთვის ეს სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა, რადგან საბჭო ახალი შექმნილი იყო და მისი სრული შემადგენლობა ჯერ არ ვიცოდი. ხოლო, როცა ვუთხარი, რომ მყავს მეუღლე - ზურაბ თორია და ორი შვილი (მაშინ მესამე შვილი ჯერ კიდევ არ მყავდა), მამაშვილურად ტკბილად მითხრა: შვილები გყოლია გასაზრდელი და აჯობებს ასეთ საკითხებზე თუ არ იფიქრებო. ვუპასუხე: შვილები რომ მყავს გასაზრდელი, ეს საკითხები კიდევ

უფრო მეტად მაწუხებს მეთქი. აქ კი აღფრთოვანება აღარ დამალა. თავის თანამესაიდუმლე მეუღლეს, ქალბატონ ნინოს დაუძახა, მოდი ერთი კარგი ახალგაზრდა ქართველი ქალი უნდა გაგაცნო. ორივეს თბილი მოპყრობით, სულ მალე გავემინაურდი. უფრო მეტიც, არაფრით არ გამომიშვეს, სანამ სუფრა არ გაშალეს. დალოცვის დროს ბატონმა პაატამ მითხრა: ნუ გეშინია. შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ და ყველაფერს მოესწრები. მე კი, მართლა მინდა ახლა ერთი ოცი წლით ახალგაზრდა ვყოფილიყავიო. წამოსვლისას, თითქოს გრძნობდაო, კიდევ ერთხელ შემასხენა: დახმარება თუ დაგჭირდეს აუცილებლად მითხარი, არ მოგერიდოსო. მაშინ რა ვიცოდი, მისი დახმარება მართლა რომ დამჭირდებოდა...

1986 წლის 28 მარტს, სკკპ XXVII ყრილობის მიერ გორბაჩოვის განახლებული პროგრამის მიღებასთან დაკავშირებით, კომუნისტებს ერთიანი პოლიტიკური დღე ჰქონდათ მთელ საბჭოთა კავშირში გამოცხადებული. მათ შორის თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის კომუნისტებმაც ჩაატარეს პოლიტსემინარი პარტიის ახალი გადაწყვეტილებების შესახებ. მე კომუნისტური პარტიის წევრი არ ვიყავი, მაგრამ რადგან უნივერსიტეტში ვმუშაობდი, ვაღიარებდი ვიყავი ამ სხდომას დავსწრებოდი. როცა მომხსენებელმა თავისი ხანგრძლივი გამოსვლა დაამთავრა, შეკითხვა მივეცი: ეროვნულ პრობლემებს გვერდს რატომ უვლით? ადამიანის ფაქტორზე რომ საუბრობთ, ჩვენ სახელი და გვარი ხომ გვაქვს? მიპასუხა, ეროვნული საკითხები ჩემს მოხსენებას არ ეხებაო. მაშინ, დამსწრე საზოგადოებას ვთხოვე ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ჩემი წერილი წამეკითხა, რომლის გაგზავნას მოსკოვში ვაპირებდი. მათ ნება დამრთეს და ზემოთ დასახელებული წერილი სრულად წავიკითხე. კომუნისტები უხერხულად იშეშნებოდნენ, მაგრამ, ყველაფერს ვასაბუთებდი. სხდომის თავმჯდომარე, პროფ. გთოდუა კართან რამდენჯერმე მივიდა და გარეთ გაიხედა ხოლმე. შეშინებული ადამიანების შეხედვამ, შემადრწუნა. ვაჟა ფშაველას სიტყვები გამახსენდა: „დადვლებული მამალი, საელდო სანახავია“. სხდომაზე არავინ გამომხმაურებია. გარეთ რომ გამოვედით, ზურგს უკან, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვმუგასაშვილი მომიახლოვდა და ყურში ჩამწურწულა: მე ყველაფერში გეთანხმებიო.

ჩემი გამოსვლის შესახებ მალევე უცნობებიათ უნივერსიტეტის „კაგებს“ განყოფილებისათვის, მაგრამ, კომუნისტები თავს იმართლებდნენ: ჩვენ არაფერ შუაში ვართ, პარტიის წევრი არ არისო და ლამის გიჟად შეძრაცხეს. მაშინ, რადგან დისერტაციის დაცვას აპირებს, დაცვა არ უნდა შედგესო - იყო მითითება თურმე „ხემოდან“. ეგ ახლა დისერტაციას დაიცავს და დისიდენტურ მოძრაობაში ხელფეხი უფრო გაეხსნებაო, რამაც ძალიან გამაკვირვა. მე პირადად პატრიოტულ მოღვაწეობაში დისერტაციის არ დაცვა ხელს ნამდვილად არ მიშლიდა. მხოლოდ ხელფასი მომემატებოდა. რაგინდ დაუჯერებელიც იყოს დღევანდელი თაობებისათვის, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობა სამწუხაროდ, ძალიან ბევრს, სიგიჟედ და უტოპიად მიაჩნდა.

დისერტაციის დაცვის დრო უკვე დანიშნული იყო (1986 წ. 25 აპრილი). დაცვის წინ, საბჭოში დახასიათება უნდა მიმეტანა, რაზეც ხელი უნდა მოეწერა ფაკულტეტის კომკავშირის, პროფკავშირების და პარტიული ბიუროს ხელმძღვანელებს. დახასიათებაზე ხელი მხოლოდ ეკონომიკის

ფაკულტეტის კომკავშირის კომიტის მხელმძღვანელმა მოაწერა. ფაკულტეტის პარტიული თვამჯდომარემ (ნ.ბერძენაძემ) კი მითხრა: ფაკულტეტზე საგანგებო სხდომა უნდა მოვიწვიოთ, დახასიათება მოგცეთ თუ არაო. დახასიათებას თუ არ მომცემდნენ, დაცვა რა თქმა უნდა აღარ შედგებოდა. მაშინ გამახსენდა ბატონ პაატას ნათქვამი: დახმარება თუ დაგჭირდეს აუცილებლად გამაგებინეო. მას სამსახურში, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მივაკითხე. კაბინეტში შევედი. ჩემი ნახვა ძალიან გაეხარდა. ვუთხარი: ბატონო პაატა, თქვენი დახმარება მართლა დამჭირდა მეთქი და რაც მოხდა ყველაფერი მოვუყვი. ერთი სასაყვედურო სიტყვა არ უთქვამს ჩემთვის. რამდენიმე წუთით თავდახრილი, მაგიდას დასჩერებოდა, სახეზე შეშოვთება შეეცყო და მის სახეს რომ ვუყურებდი, მაშინ ვიგრძენი რა, სერიოზული საფრთხის წინაშე ვიდექი. კომუნისტები ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ყურმილი აიღო, ცეკაში ჯუმბერ პატიაშვილთან დარეკა. იგი მოსკოვში აღმოჩნდა წასული. შემდეგ იდეოლოგიური განყოფილების თანამშრომელს ათოთაძეს დაურეკა და უთხრა, თუ გცალია, ათ წუთში შენთან ვიქნები, რაღაც საქმე მაქვსო. მან აქეთ უპასუხა, მე თავად მოვალო და მართლაც, რამდენიმე წუთში ინსტიტუტში მოვიდა. კაბინეტში როცა შემოვიდა, ბატონ პაატას თხოვნით გარეთ გამოვედი. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სტუმარი წავიდა. მე მათი საუბრის შინაარსი არ ვიცი, მაგრამ ბატონმა პაატამ დამარიგა, ფაკულტეტის სხდომას მოიწვევენ, შენს წერილს განიხილავენ, შენიშვნებს მოგცემენ და დახასიათებაზე ხელს მოგიწერენო. რაც არ უნდა გითხრან, არ აღვლდე, წყნარად იყავიო.

ეს სხდომაც შედგა, პარტიუროს მდივანმა ჩემი წერილი მთლიანად წაიკითხა. იმდენად მართალი ვიყავი, რომ ლამის ტაში დაეკრათ, მაგრამ ამის უფლება არ ჰქონდათ. სხდომაზე ღიად და თამამად მხარდაჭერა მხოლოდ დოცენტმა ჭადეიშვილმა გაბედა. შეიძლება ითქვას, თავდაუზოგავად მიცავდა. ასევე მხარდაჭერა გამოხატა ბატონმა ბიგენტი გაბიძაშვილმა, რომელმაც თქვა: ამ ქალბატონმა მხოლოდ თავისი მოსაზრება დაწერა და ამის გამო თუ მას დახასიათებას არ მივეცემთ, ამას ჩვენი უცხოელი ოპონენტები ისევ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებენო.

ასე, რომ დახასიათება მომცეს. თან უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის პარტიულ ხელმძღვანელობას მისცეს მითითება, რომ დაცვაზე გასვლის უფლება მოეცათ, მაგრამ არავინ არ უნდა დამხმარებოდა, თუკი დამჭირდებოდა. ზოგჯერ დისერტანტს შეიძლება რაღაც შეეშალოს, გამორჩეს, მაგრამ ხელმძღვანელი და ოპონენტები ავსებენ ხარვეზს. ჩემი ხელმძღვანელი (ფ. მენთეშაშვილი) გაფრთხილებული იყო, რომ არაფერი ეთქვა და სიტყვით არც გამოსულა. ეს, ალბათ, ერთადერთი შემთხვევა იყო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ისტორიაში, როცა დისერტანტის ხელმძღვანელი თავის დასკვნას არ კითხულობს. ოპონენტებიც გაფრთხილებულნი იყვნენ. პროფ. გ.პაპავა არ შეშინებულა, თავისი დადებითი დასკვნა ჩვეულებრივ წარმოადგინა. მეორე ოპონენტი კი - ს.სოსელია, ისე იყო შეშინებული, რომ აიკვიტა, მარქსს ეწინააღმდეგებოთ და როცა მის შენიშვნებს პასუხი გავეცო, აღმოჩნდა, რომ მარქსის „კაპიტალიზმში“ თავად არ იყო გარკვეული კარგად. მას დილემანტური მტკიცებულებები ბატონმა პაატამ შეაწვევინა: შენ დასკვნა წაიკითხე, მარქსის ხმს ნუ გვას-

წავლი, ეგ ჩვენ კარგად ვიცითო. ყველასათვის მოულოდნელად, სიტყვით გამოვიდა სამეცნიერო საბჭოს წევრი, პროფესორი გიორგი მშვილდაძე, რომელიც კარგად მიცნობდა, რადგან მისი ყოფილი სტუდენტი ვიყავ და ოპონენტ სოსელიას პრეტენზიები სრულიად გააქარწყლა. დისერტაცია წარმატებით დავიცავი. საბჭომ ერთხმად დამიჭირა მხარი. დაცვა რომ დამთავრდა. ბატონმა პაატამ მომილოცა, ყოჩაღო, მითხრა, ეს ნამდვილი დაცვა იყო. მე გავიღიძე და ვუპასუხე: თქვენი თანადგომის გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევდი მეთქი. მან ჯიბიდან კანფეტი ამოიღო და „ჯილდოდ“ გადმომცა. მაგრამ, ის პატარა კანფეტი რაოდენი სიდიადე იყო დიდი კაცისა...

იმავე წლის ბოლოს ბატონი პაატა მე და ჩემმა მეუღლემ სამსახურში მოვინახულეთ. ვუთხარი რომ მოსკოვში ჩემი დისერტაცია დაამტკიცეს, მიუხედავად იმისა, რომ აქედან ჩემს წინააღმდეგ ვილაცის „დოსიეც“ ყოფილა გაგზავნილი. ბატონმა პაატამ მათ მადლობა გადაუხადა, თითქოს მისის შვილის ვყოფილიყავი და შემდეგ მე მომილოცა. შემდეგ ჩემი ის წერილი გაიხსენა და მითხრა, შენი წერილი ცეკაში რამდენიმე კაცს წავაკითხე, ისე გაუკვირდათ, ქალის დაწერილი არ ეგონათო და იუმორით დაამატა, უფრო სწორად, ქალისთვის ვერ გაიმეტესო. მერე დიდხულონად დაგემოდღვრა და წარმატებები გვისურვა ოჯახურ და სამეცნიერო მოღვაწეობაში. ისიც დასძინა, ნუ გეშინიათ, თქვენ თავისუფალ საქართველოში იცხოვრებთო.

1987 წლის 4 მარტს ბატონი პაატა მოულოდნელად გარდაიცვალა. ოთხიოდე წელიწადში, 1991 წლის 14 აპრილს, საქართველოში უკვე აღარ იყო კომუნისტური ძალაუფლება და ეროვნულმა ხელისუფლებამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ბატონ პაატა გუგუშვილის ეკონომიკური აზროვნება დამოუკიდებელ საქართველოს პაერივით სჭირდებოდა. მაგრამ სამწუხაროდ, თავისუფლებას მის გარეშე შევხვდით... დიდი პაატა ჩვენთან აღარ იყო. გალაქტიონი მახსენდება: „... დავდივარ, ვწუხვარ და მენანება...“

ბატონი პაატა ჯერ კიდევ მაშინ, თითქოს, დამოუკიდებელ საქართველოს უკვე ხედავდა. ის ნამდვილი ბრძენკაცი, ჭეშმარიტი მეცნიერი და სამშობლოს უდიდესი გულშემატკივარი იყო. ასეთი შვილი ერისთვის დუთის სანუქარია. ერის უკვდავებას ასეთი მამულიშვილები განაპირობებენ. ის გარდაიცვალა, მაგრამ არ გამქრალა. მე ძალიან ხშირად ვგრძნობ მის უხილავ სულიერ თვალს, რაც ჩემს მამულიშვილურ პასუხისმგებლობას კიდევ უფრო მიძლიერებს. მე მისი უდიდესი მადლიერი ვარ.

მე მას ხშირად ვუნთებ სანთელს...

იზოლდა ჭილაძე  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

### პბოთყსლოტი ტყვან გოგოხია-75

რევაზ აკაკის-ძე გოგოხია დაიბადა 1936 წლის 28 აპრილს, სამეგრელოს ერთ-ერთ უღამაზეს – მდ. ენგურისპირა სოფელ ფახულანში, სადაც სახელოვანი ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში გაატარა თავისი ბავშვობა. იქვე მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლის სრული კურსი. 1953 წელს ჩაირიცხა და 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1961-1964 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი. 1965 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. რ. გოგოხია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორია 1988 წლიდან, ხოლო პროფესორი – 1989 წლიდან. მისი კვლევის ძირითადი ობიექტია ეკონომიკური თეორიისა და საბაზრო ეკონომიკის, ასევე აგრარული პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 130-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მ.შ. 7 მონოგრაფია და 4 სახელმძღვანელო (თანაავტორობით). არის მრავალი მონოგრაფიის, კრებულის და ა.შ. რედაქტორი და რეცენზენტი.

1965-1977 წლებში მუშაობდა დასახელებული ინსტიტუტის ჯერ უმცროს, მერე კი უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1978 წლიდან 1988 წალამდე იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი, 1989 წლიდან 2006 წლის სექტემბრამდე – ამავე კათედრის პროფესორი, ხოლო 2006-2008 წლებში ასრულებდა თსუ პროფესორის ფუნქციას საკონტრაქტო საფუძველზე. 1980-1981 წლებში იყო თსუ ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1982-1986 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სექტორის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ლაბორატორიის გამგეა, ხოლო 1991-1992 წლებში – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე.

1995 წელს რ. გოგოხიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა თსუ სოს-უმის ფილიალის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კათედრა, რომლის გამგეც იყო (შეთავსებით) 1995-2002 წლებში, ასევე 2001-2004 წლებში (შეთავსებით) ხერლმძღვანელობდა თსუ ზუგდიდი ფილიალის ზოგად ეკონომიკურ დისციპლინათა კათედრას.

პროფესორი რ. გოგოხია თსუ-სა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა და კითხულობს მსოფლიო ეკონომიკის, ეკონომიკური თეორიის, საბაზრო ეკონომიკის, ეკონომიკის, შერეული ეკონომიკის,



ეკონომიკის პრინციპების კურსებს. ამჟამად თსუ-ში უძღვება „აკადემიური წერის“ კურსს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებთან. იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და ამჟამადც ხელმძღვანელობს სამეცნიერო ხარისხის მრავალ მაძიებელსა და ასპირანტს (დოქტორანტს), რომელთაგან ორ ათეულზე მეტმა დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

გავლილი აქვს ერთწლიანი სამეცნიერო სტაჟირება (დოქტორანტურა) სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, ასევე, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვალიფიკაციის ამადლების კურსები. მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციაში.

რ. გოგოხია ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით. სტუდენტობის წლებში იყო თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ეკონომიკის ინსტიტუტში – ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. 1993-2005 წლებში იყო თსუ დიდი სამეცნიერო საბჭოს, ასევე, ეკონომიკური ფაკულტეტის და ეკონომიკაში რამდენიმე სადისერტაციო საბჭოს წევრი. არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის, აგრეთვე, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

განსაკუთრებით დიდია რ. გოგოხიას დამსახურება ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის განვითარებაში. იგი ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნ. „მაცნეს“ ეკონომიკის სერიის საზოგადოებრივი მდივანი იყო, ხოლო მოგვიანებით, ჟურნ. „ეკონომისტის“ განყოფილების გამგე (შეთავსებით). ორივე ჟურნალს რედაქტორობდა გამომხენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკად. პაატა გუგუშვილი, რომლის ხელმძღვანელობითაც მან მიიღო, პირველი, როგორც ჟურნალისტიკური, ასევე მეცნიერული წრეობა. პროფ. რ. გოგოხიამ 1999 წელს ჩამოაყალიბა და ათი წლის განმავლობაში, როგორც მთავარი რედაქტორი, გამოსცემდა რეცენზირებად და რეფერირებად საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს – „სოციალური ეკონომიკა“. 2008 წლის იანვრიდან იგი ივ. ჯავახიშვილის თსუ საერთაშორისო ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ მთავარი რედაქტორია და ბრწყინვალედ ასრულებს თავის მოვალეობას.

რ. გოგოხია ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოებულია სხვადასხვა ორდენითა და მედლით, მათ შორისაა: „ივანე ჯავახიშვილის მედალი“ და „ღირსების ორდენი“.

რ. გოგოხია ჩინებული მეოჯახეა, მისი მეუღლე ოჯახსა და ნორჩი თათბის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. ჰყავს ორი შვილი – მაია და მამუკა, რომლებიც მამის კვალს გაჰყვნენ – მათ წარჩინებით დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასპირანტურა და დაიცვეს ეკონომი-

მიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი, ასევე, ამჟამად არიან შესანიშნავი სპეციალისტები და, ყოველდღიური საქმიანობითა და მოქმედებით, ღირსეულად აგრძელებენ თავიანთი მშობლების ქართულ ტრადიციებს. ბატონი რეზო მდიდარია შვილიშვილებითაც.

ბ-ნი რეზო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანია, საიდანაც იღებს სათავეს მისი ყველა ამქვეყნიური სიკეთე. მისი უპირველესი საფიციარი ღვთივკურთხეული საქართველოა და შეძლებისდაგვარად ცდილობს იყოს მსახური დიდი ილიას სენტენციისა – „ენა, მამული, სარწმუნოება“. ბატონი რეზო მეგობრობაში გამოირჩეული პიროვნებაა, საოცრად ყურადღებიანი და თავმდაბალი. მეგობრის წარმატებას აღიქვამს როგორც საკუთარს, ხოლო წარუმატებლობას – როგორც საკუთარ მარცხს. ამასთან, იგი სიტყვისა და საქმის ერთიანობის კაცია და ამასვე მოითხოვს სხვებისგანაც. ბ-ნი რეზოს კაცურკაცობისა და სიბრძნის დასტური ისიცაა, რომ იგი ყოველთვის დიდი პატივისცემით მოიხსენიებს თავის მასწავლებლებს, გამოჩენილ ეკონომისტ მეცნიერებს, აკადემიკოსებს – პ. გუგუშვილს, ვ. ჩანტლაძეს; პროფესორებს – ნ. იაშვილს, ნ. ქოიავას, ს. ბერაძეს, შ. ბერაძეს, ლ. გოკიელს, ა. ფანცხავას, ა. გოკიელს, ი. ბაჯაძეს, გ. ჭანუყვაძეს, ვ. ბახტაძეს, ბ. ლუტიძეს, ო. საღარეიშვილს... და თვლის, რომ მასში თუ რამ კარგია, ეს დიდწილად მათი დამსახურებაა.

75 წლის ბ-ნი რევაზი, ღვთის წყალობით, კვლავ მხნედ გამოიყურება და ახალგაზრდული ენერჯით განაგრძობს თავის პროფესიულ საქმიანობას. რაც მთავარია, ურყევია მისი აზრი, რომ საქართველო მაღეუ გამოთლიანდება, სრულად გაბრწყინდება და მზადაა კვლავ შეიტანოს თავისი მოკრძალებული წვლილი ამ პროცესში. ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა და ახალი წარმატებები ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ელენე ხარაბაძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სრული პროფესორი,  
ვლადიმერ პაპაძე, ავთონილი სილაბაძე, ლეო ჩიქაძე  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტები,  
ელაზარ მამუკაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ეკონომიკის პრინციპების კათედრის ხელმძღვანელი,  
სრული პროფესორი,  
ნუზუარ პაპაძე, რეზო ქუჭიძე,  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები



---

---

მთავარი რედაქტორის მაგიერ  
ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **მ. ტურაპა**

გადაეცა ასაწყობად - 10.04.2011  
ხელმოწერილია დასაბეჭდად - 25.04.2011  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი - 12, გირაჟი - 150.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14.  
0128, Tbilisi, 14, I. Chavchavadze Av.  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge) (25-14-32).

დაიბეჭდა სტამბაში - „გეორგიკა“  
თბილისი, ჯიქიას 10.

კომპიუტერული უბრუნველოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი.